ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

სამშაბათი, 29 სექტემბერი, 2009 №255 (4995) ფასი: 30 თეთრი

## სააკაშვილს რუსეთის განაწყენება არ უნდა

გვ.3



# ირაკლი დოკვაძეს 30-წლიანი ციხე ემუქრება



გვ.4

პროცესი დაიწყო. ადვოკატები მოწმე მაისურა ის დაკითხვას ითხოვენ

## მთავარი პროკურორი დეპუტატი მურთაზ ზოდელავა გახდა



გვ.2



პრემიერის პოსტი მამუკა ხაზარა ეს შესთავაზეს?

## ევროსაბჭო საქართველოსა და რუსეთის პრეზიდენტებისგან პასუხს ელის

გვ.2

## სააკაშვილი თბილისის მერის პოსტს არ დათმობს

„მოვუწოდებთ ყველა პოლიტიკურ პარტიას, ერთხელ მაინც გამოვაცხადოთ ყველამ ბოიკოტი“



გვ.3



## ჩამოართმევენ თუ არა რუსეთს ხმის უფლებას?

გვ.6

## საქართველოში 2 ოქტომბრიდან გამოიდარებს

გვ.3

## ზამთარში პურის გაძვირება მოსალოდნელი არ არის

გვ.4



## გოგიჩაიშვილისთვის გამოტანილი განაჩენი პოლიტიკურია

გვ.2



## გიორგი ბარამიამ ქართველ და აფხაზ ხალხს მიმართა

გვ.5



„თუ ოპოზიცია ერთ კანდიდატზე ვერ შეთანხმდება, ნაციონალებს არჩევნების გაყალბება აღარ დასჭირდებათ“

გვ.5

**4** ალავერდობის დღესასწაულზე პატრიარქმა 460-მდე პატარა მონათლა

**6** ოფიციალური თბილისი ანგელა მერკელს არჩევნებში გამარჯვებას ულოცავს

**5** ტალიავინის კომისიის დასკვნა სიტუაციას დაძაბავს

**6** ყაზბეგის რაიონი ელექტროენერგიის გარეშეა დარჩენილი

## გოგიჩაიშვილისთვის გამოტანილი განაჩენი პოლიტიკურია

სამოქალაქო მოძრაობა „რატომ“ სასამართლოს მიერ „9 აპრილის საორგანიზაციო შტაბის“ წევრების ლევან გოგიჩაიშვილისათვის და გიორგი ალ-



ხაზიშვილისთვის გამოტანილ განაჩენს აპროტესტებს და პოლიტიკურ განაჩენს უწოდებს.

როგორც პრესკონფერენციაზე „რატომის“ ერთ-ერთმა ლიდერმა დავით ფაცაციამ განაცხადა, მათი მოძრაობა გოგიჩაიშვილს და ალხაზიშვილს სოლიდარობას უცხადებს და მიაჩნიათ, რომ ორივე პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლია.

— გოგიჩაიშვილის და ალხაზიშვილის წინააღმდეგ არანაირი მტკიცებულება არ ჰქონდათ და ყველაფერი სრული ფალსიფიკაცია იყო. ამასთან, ჯგუფურ მკვლელობაში ბრალდებულ, გირგვილიანის მკვლელებსაც 7 წელი მიუსაჯეს და გოგიჩაიშვილსაც, რომელსაც სხეულის დაზიანებაში ედება ბრალი. ამავე დროს, გირგვილიანის მკვლელები შეიწყალეს და დღეს თავისუფლები არიან. ის, რაღაც ორი წელი და რამდენიმე თვეც ციხეში სრულ კომფორტში გაატარეს. ასეთ უსამართლობას და უკანონობას არასდროს შევეგუებით. ყველასთვის ცხადია, რომ გოგიჩაიშვილიც და ალხაზიშვილიც პოლიტპატიმრები არიან და ხელისუფლების მიერ თავიანთი საქმიანობის გამო დაისაჯნენ. ჩვენ პოლიტპატიმრად მიგვაჩნია ასევე მელორ ვაჩნაძეც და სხვა ოპოზიციის წარმომადგენლებიც, რომლებიც სხვადასხვა შეთითხნილი ბრალდებით, 9 აპრილის აქციების შემდეგ დაიჭირეს, — აღნიშნა დავით ფაცაციამ და დასძინა, რომ გოგიჩაიშვილის და ალხაზიშვილის საქმის შესახებ საქმის კურსში საერთაშორისო ორგანიზაციებსა და საელჩოებსაც ჩააყენებენ.

— ჩვენ მომავალშიც გავაგრძელ;ებთ ამ ადამიანების მხარდაჭერას, თუმცა რა ფორმით, ეს ჯერ გადაწყვეტილი არ არის, — განაცხადა ფაცაციამ.

ცნობისთვის: ლევან გოგიჩაიშვილი და გიორგი ალხაზიშვილი მიმდინარე წლის ივნისში ირაკლი ბათიაშვილის ქალიშვილის ირინა ბათიაშვილის დაბადების დღეზე მომხდარი ინციდენტის გამო დააკავეს. გოგიჩაიშვილს ბრალად ერთ-ერთი პირის სხეულის განზრახ დაზიანება ედებოდა და შვიდი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს, ალხაზიშვილს კი — ხულიგნობა და 4 წლიანი პატიმრობა მიესაჯა. ამასთან, მას 2500 ლარის ოდენობის ჯარიმაც დაეკისრა.

**მედიანიუსი**

## ფოთში სახურავიდან გადმოვარდნის გამო 60 წლის მამაკაცი დაიღუპა

ფოთში საცხოვრებელი სახლის სახურავიდან 60 წლის მამაკაცი ზურაბ მორჩილაძე გადავარდა და დაიღუპა. უბედური შემთხვევა ჭანტურიას ქუჩაზე მოხდა. ზურაბ მორჩილაძე სამსართულიანი შენობის სახურავის შესაკეთებლად იყო ასული. როგორც თვითმხილველები აცხადებენ, მას სველ თუნუქზე ფეხი დაუცურდა და წონასწორობის დაცვა ველარ შეძლო. იგი ადგილზევე დაიღუპა. წინასწარი ინფორმაციით, მისი დაღუპვის მიზეზი ქალა-ტვინის ღია მოტეხილობა გახდა.

**მედიანიუსი**

# მთავარი პროკურორი დეპუტატი მურთაზ ზოდელავა გახდა

## პრემიერის პოსტი მამუკა ხაზარა ეს შესთავაზეს?

**მთავარ პროკურორად გუშინ მურთაზ ზოდელავა დაინიშნა. დეპუტატ მურთაზ ზოდელავას მთავარ პროკურორად დანიშვნის საკითხი გასულ კვირას გადაწყდა, თუმცა, ეს გუშინ გახდა ოფიციალურად ცნობილი.**

ნანა მიშელაშვილი

ჯერ კიდევ გასულ კვირას, ზოდელავა ამერიკაში მიემგზავრებოდა სხვა დეპუტატებთან ერთად. უმცირესობისა და უმრავლესობის წევრი დეპუტატები „ენდიაის“ ორგანიზაციით ამერიკაში წავიდნენ. დელეგაციის შემადგენლობაში მურთაზ ზოდელავაც იყო, თუმცა, ის ამერიკაში არ წასულა. ამის მიზეზი კი ის საკადრო ცვლილება იყო, რომელიც გუშინ მთავარ პროკურორთან დაკავშირებით განხორციელდა.

33 წლის მურთაზ ზოდელავა პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეა. სანამ პარლამენტის წევრი გახდებოდა, ზოდელავა მუშაობდა: იუსტიციის უმაღლეს საბჭოში, პრეზიდენტის ადმინისტრაციაში, საქართველოს პროკურატურაში სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის იურიდიული სამმართველოს უფროსად. მეშვიდე მოწვევის პარლამენტში მოხვედრამდე ზოდელავა იყო პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი.



მთავარი პროკურორი რომ შეიცვლებოდა, ამის შესახებ კარგა ხანია საუბრობენ. ბოლო ორი კვირის განმავლობაში მამუკა გვარამიას შეცვლის თაობაზე მედიაში არაერთი ინფორმაცია გავრცელდა.

ვიდრე ამ თანამდებობაზე მურთაზ ზოდელავას დანიშავდნენ, მთავარი პროკურორის პოსტზე სხვადასხვა გვარები სახელდებოდა, მათ შორის კახეთის ამჟამინდელი გუბერნატორი გიორგი ღვინიაშვილი.

გიორგი ღვინიაშვილის მთავარ პროკურორად დანიშვნის შესახებ ინფორმაცია არ გამართლდა, თუმცა, გამართლდა ის ვერსია, რომ საქართველოს ახალი მთავარი პროკურორი ჰყავს.

რაც შეეხება ყოფილ მთავარ პროკურორ მამუკა გვარამიას, ის თბილისის პროკურორის პოსტს დაიკავებს.

პარლამენტში მურთაზ ზოდელავას მთავარ პროკურორად დანიშვნას სხვადასხვანაირად აფასებენ. უმრავლესობის წევრები ამბობენ, რომ სწორი საკადრო ცვლილება განხორციელდა, როდესაც მთავარ პროკურორად ზოდელავა დაინიშნა. რაც შეეხება რადიკალურ ოპოზიციას, ისინი უარყოფითად აფასებენ ახალ გადაწყვეტილებას.

იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე პავლე კუბლაშვილი მურთაზ ზოდელავას მთავარ პროკურორად დანიშვნას დადებითად აფასებს. კომიტეტის თავმჯდომარე საკუთარი მოადგილის პროკურატურაში გადასვლასთან დაკავშირებით აცხადებს, რომ ზოდელავას საკმაოდ კარგი გამოცდილება აქვს და კვალიფიციური კადრია.

— დარწმუნებული ვარ, რომ მურთაზ ზოდელავა დაკისრებულ მოვალეობას წარმატებულად შეასრულებს, — აღნიშნა პავლე კუბლაშვილმა.

საკმაოდ მკაცრი შეფასება გააკეთა ზოდელავას მთავარ პროკურორად დანიშვნასთან დაკავშირებით ოპოზიციონერმა დეპუტატმა გიორგი ცაგარეიშვილმა.



ჟურნალისტებთან საუბარში გიორგი ცაგარეიშვილმა განაცხადა, რომ ზოდელავას ინკვიზიტორის ყველა თვისება აქვს. „იგი ნებისმიერ ადამიანს ეშაფოტზე ისე გაუშვებს, რომ თვალს არ დაახამხამებს“, — ამბობს ცაგარეიშვილი. მისივე თქმით, ნაციონალურ მოძრაობას მამუკა გვარამიასთან იმის გამო ჰქონდა რთული ურთიერთობა, რომ ის მათ მოთხოვნებს არ ასრულებდა. „ამ მხრივ, ზოდელავა მათთვის საკმაოდ კარგი კანდიდატია“, — მიაჩნია ცაგარეიშვილს.

მურთაზ ზოდელავას მთავარ პროკურორად დანიშვნის შემდეგ ვაკანტური გახდება პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის პოსტი. მას შემდეგ, რაც ზოდელავას სადეპუტატო უფლებამოსილებას შეუწყვეტენ, იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის ახალ მოადგილეს აირჩევენ. ამ პოსტს ისევ ნაციონალი დეპუტატი დაიკავებს, რადგან ეს უმრავლესობის კვოტაა.

მურთაზ ზოდელავას პროკურატურაში წასვლით, კიდევ ერთი ნაციონალური მოძრაობის წევრი იხეირებს. პარტიული საარჩევნო სიით კიდევ ერთი ნაციონალი შევა პარლამენტში და უმრავლესობის რიგებს დაიკავებს.

აქტიურად საუბრობენ იმაზეც, რომ პარლამენტიდან კიდევ რამდენიმე დეპუტატი წავა სხვადასხვა თანამდებობაზე. კიდევ ვინ გადაბარგდება საკანონმდებლო ორგანოდან აღმასრულებელ ხელისუფლებაში, ამაზე ჯერ მხოლოდ ვარაუდები გამოითქმის.

ბოლო პერიოდში ასევე აქტიურად საუბრობენ იმაზე, რომ მინისტრთა კაბინეტში სერიოზული ცვლილებები განხორციელდება.

ერთ-ერთი ვერსიით, შესაძლოა პრემიერ-მინისტრიც შეიცვალოს. მართალია ნიკა გილაურის მუშაობით ჯერ ყველა კმაყოფილია, მაგრამ პერიოდულად მაინც ვრცელდება მოსაზრებები ნიკა გილაურის შეცვლასთან დაკავშირებით.

ყველაზე უფრო აქტუალურად განიხილება გილაურის ისევ ფინანსთა მინისტრად დანიშვნის საკითხი. თუმცა, ეს ამ ეტაპზე მხოლოდ ვარაუდია და სხვა არაფერი.

იმ შემთხვევაში, თუ ნიკა გილაური ფინანსთა მინისტრად დაბრუნდება, მაშინ ქვეყანას ახალი პრემიერი ეყოლება.

კულუარული ინფორმაციით, პრემიერის პოსტი უკვე შესთავაზეს „ტი-ბი-სი“ ჯგუფის ხელმძღვანელს მამუკა ხაზარაძეს. როგორც ამბობენ, ამ შეთავაზებაზე ხაზარაძეს ჯერ თანხმობა არ უთქვამს.

კულუარებში იმასაც ამბობენ, რომ ხაზარაძეს პრემიერი პოსტი მაინცდამაინც არ ხიბლავს. ის წარმატებული ბიზნესმენია და აღმასრულებელ ხელისუფლებაში წასვლის სურვილი არ აქვს.

ჯერ კიდევ წინა ხელისუფლების დროს საუბრობდნენ იმაზე, რომ მამუკა ხაზარაძეს საკმაოდ მაღალ პოსტებს სთავაზობდნენ, თუმცა, ის მაშინ არც ერთ თანამდებობაზე არ წასულა. დათანხმდება თუ არა ახალ შეთავაზებას და საერთოდ შესთავაზეს თუ არა პრემიერის სავარძელი ხაზარაძეს, ამის შესახებ ოფიციალურ კომენტარს ჯერ არავინ აკეთებს.

სამაგიეროდ, გუშინ საუბრობდნენ იმაზე, რომ დღეს პარლამენტში პრემიერი ნიკა გილაური მივა მინისტრებთან ერთად და დავით ბაქრაძის ოთახში დახურულ შეხვედრას გამართავს. ეს შეხვედრა საკადრო ცვლილებებს არ უკავშირდება.

საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარეებსა და უმრავლესობის წევრებს ნიკა გილაური ახალ ეკონომიკურ პაკეტს გააცნობს. ეს ინფორმაცია გუშინ პარლამენტის თავმჯდომარემ აცნობა დეპუტატებს.

დავით ბაქრაძის შეფასებით, ბოლო თვეებში ეკონომიკის გაძლიერება შეიმჩნევა და შესაბამისად უნდა გაგრძელდეს ეკონომიკური ოპტიმიზაციის პროცესი.

ჯერჯერობით, ნიკა გილაური დეპუტატებისთვის ახალი ეკონომიკური პაკეტის გაცნობით არის დაკავებული. მომავალში რა საკადრო ცვლილებები განხორციელდება და შეიცვლება თუ არა პრემიერი, ამაზე ამჯერად არავინ საუბრობს.

## ევროსაბჭო საქართველოსა და რუსეთის პრეზიდენტებისგან პასუხს ელის

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარე ლუის მარია დე პუჩი საქართველოსა და რუსეთის პრეზიდენტებს ასამბლეის ტრიბუნას სთავაზობს.

როგორც დე პუჩიმ საშემოდგომო სესიის დაწყებამდე გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, მან რუსეთის პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრს დიმიტრი მედვედევსა და ვლადიმერ პუტინს, ასევე საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს ასამბლეის წინაშე სიტყვით გამოსვლა და გასული წლის აგვისტოს კონფლიქტის შესახებ საკუთარი პოზიციების დაფიქსირება შესთავაზა.

— პასუხი ჯერჯერობით არცერთი მხარისგან არ მიმიღია. ჩემი შეთავაზება ძალაში რჩება, — განაცხადა დე პუჩიმ და განმარტა, რომ „ასამბლეას სურს, მედიატორის როლი ითამაშოს“.

აღსანიშნავია, რომ ევროსაბჭოში რუსული დელეგაციის წარმომადგენლებმა დე პუჩის შეთავაზებაზე წინასწარი უარი განაცხადეს.

— ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა, როგორც მარგინალი რუსეთის კრიტიკას განაგრძობს. არადა, ყველამ იცის, რომ 2008 წლის აგვისტოს მოვლენებში დამნაშავე სააკაშვილი და მისი რეჟიმია, — განუცხადა ჟურნალისტებს რუსული დელეგაციის წევრმა სერგეი მარკოვმა, რომლის აზრით, „ასეთ პირობებში ევროსაბჭოში რუსეთის პრეზიდენტის გამოსვლა მისი მხრიდან გმირობის ტოლფასი იქნებოდა“.

— ვიდრე ასამბლეა ასეთ პოზიციაზე დგას, ნაკლებად სავარაუდოა, რომ რუსეთის პრეზიდენტი იქ სიტყვით გამოვიდეს. ეს მისი მხრიდან გმირობის ტოლფასი იქნებოდა, — დასძინა მარკოვმა.

თავის მხრივ, ევროსაბჭოში ქართული დელეგაციის წარმომადგენლების თქმით, ქართული მხარე დიალოგისთვის ყოველთვის მზადაა, მხოლოდ - გარკვეული პირობების გათვალისწინებით.

— ევროსაბჭოში 1 წლის წინ მიღებულ რეზოლუციაში ის მინიმა-



ლური პირობებია განსაზღვრული, რომელიც რუსეთ-საართველოს შორის დიალოგის დაწყებისთვისაა აუცილებელი. ეს პირობებია: რუსეთის ჯარების ოკუპირებული ტერიტორიიდან გაყვანა, სეპარატისტული რეგიონების აღიარების გადაწყვეტილების გაუქმება და დევნილების დაბრუნების უზრუნველყოფა. საქართველო მზადაა, აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით მოლაპარაკებები გამართოს. თუმცა რუსული მხარე ამ ვალდებულებების შესრულებას არ აპირებს, ამიტომაც მედვედევი და პუტინი ევროსაბჭოში არ ჩამოვლენ, — განაცხადა საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერმა მიხეილ მაჭავარიანმა.

**პირველი**

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

**დამფუძნებლები:** ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
**მთავარი რედაქტორი** – სოსო გოგინაშვილი
**რედაქტორი** – ლალი ასლანიშვილი
**რედაქტორის მოადგილე** – შორენა მარსაგიშვილი

**კონსულტანტები**
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
**საფინანსო სამსახური** – კლარა ბალავაძე

**სარეკლამო სამსახური** – 84-92-55
**გავრცელების სამსახური** – მერაბ ლევერაშვილი
**დირექტორი** – ზურაბ ბერიძე

**დაკაბადონება** – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

**მისამართი:** ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24, თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
**ტელეფონი/ფაქსი** 95-25-89
**E-mail: axtaoba@mail.ru**

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

# სააკაშვილი თბილისის მერის პოსტს არ დათმობს

## „მოვუწოდებთ ყველა პოლიტიკურ პარტიას, ერთხელ მაინც გამოვაცხადოთ ყველამ ბოიკოტი“

შორენა კოწოწაშვილი

**ლეიბორისტების ინფორმაციით, სააკაშვილის ხელისუფლების ანტისაგანმანათლებლო პოლიტიკის შედეგად, მიმდინარე სასწავლო წელს მოსწავლეთა 90%-ზე მეტი ატირებული შეხვდა. ამის მიზეზი კი სკოლის სახელმძღვანელოების ძალიან მაღალი ფასებია, რაც არა მხოლოდ სოციალურად შეჭირვებული მოსახლეობისთვის არის მძიმე ტვირთი.**



შრომის პარტიაში აცხადებენ, რომ სკოლის სახელმძღვანელოების ერთი კლასის სრული პაკეტის ღირებულება საშუალოდ 150 ლარია. ამას ემატება სკოლის ჩანთის ფასი, რომელიც საშუალოდ 40-50 ლარია, რაც მშობლისთვის ძალიან ძნელად გასაღები თანხაა, მით უფრო, თუკი მას სკოლაში ორი ან მეტი შვილი დაჰყავს.

ამ საკითხთან დაკავშირებით გუშინ ლეიბორისტული პარტიის გენერალურმა მდივანმა **სოსო შატბერაშვილმა** პრესკონფერენცია გამართა და სააკაშვილს მოუწოდა, პრეზიდენტის პირადი ფონდიდან გაიღოს სასკოლო სახელმძღვანელოებისთვის საჭირო თანხა.

— საშუალო ღირებულება ზოგადად ჩანთისა და სახელმძღვანელოების კომპლექტისა გახლავთ 200 ლარი. მე ვეკითხები მიხეილ სააკაშვილს, რომელიც ისევ პიარით და ტაშ-ფანდურით არის დაკავებული, რა უნდა გააკეთოს ოჯახმა, რომელსაც ორი ან სამი შვილი დაჰყავს სკოლაში, როგორ გადაიხადოს 600 ლარი? ძალიან საინტერესოა, სააკაშვილი ამაზე რა პასუხს გაგვცემს, — განაცხადა სოსო შატბერაშვილმა.

შალვა ნათელაშვილის თანაგუნდელები შექმნილი უკიდურესად მძიმე მდგომარეობიდან გამოსავალს ისევ საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებაში ხედავენ, რომლებმაც მილიარდობით თანხები ჩადეს საქართველოში და ქვეყნის საგარეო ვალმა უკვე 7 მლრდ-ს გადააჭარბა.

— მივმართავთ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს, აგრეთვე საერთაშორისო სავალუტო ფონდს, რომელსაც ამ 6 წლის განმავლობაში საქართველოსთვის ძალიან დიდი თანხები აქვს გამოყოფილი, დაახლოებით 7 მლრდ, დახმარება კიდევ ერთხელ გამოყოს 20-30 მლნ-ის ფარგლებში ჩვენი ბავშვებისთვის წიგნების შესაძენად. თუ დავუშვათ, ეს საერთაშორისო დახმარება არ მოხდება, მაშინ პრეზიდენტის ფონდიდან, რომელიც 50 მლნ-ს შეადგენს, ამ თანხის ნაწილი სკოლის მოსწავლეთა წიგნების უზრუნველყოფას მოხმარდეს, — განაცხადა სოსო შატბერაშვილმა, რომელიც მიიჩნევს, რომ კეთილი უნდა ინებოს სააკაშვილმა, ამ წელს ნაკლები ფული დახარჯოს, ასე ვთქვათ, ქამარი შემოიჭიროს და პრეზიდენტის ფონდიდან 30 მლნ გამოყოს სახელმძღვანელოების შესაძენად.

ამას გარდა, შრომის პარტიის ლიდერები ინიციატივითაც გამოდიან, იქედან გამომდინარე, რომ ყოველ სასწავლო წელს პრობლემას წარმოადგენს მშობლებისთვის სკოლის წიგნების შეძენა, შეიქმნას სასკოლო ბიბლიოთეკები, სადაც მოხდება კარგად შენახული წიგნების ჩაბარება, რომელიც შემდგომ სასწავლო წელს სხვა მოსწავლეებს გადაეცემათ.

შატბერაშვილი ეჭვობს, რომ ხელისუფლება ამაზე არ წავა იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ სააკაშვილის ხელისუფლება სასკოლო სახელმძღვანელოებზე ძალიან დიდ ფულს აკეთებს. მისი თქმით, ამ ბიზნესით საკმაოდ სოლიდურ შემოსავალს იღებს სააკაშვილის თანაგუნდელი და მისი კარის მომღერალი, დეპუტატი ნუგზარ წიკლაური, რომელსაც საკუთარი გამომცემლობა აქვს.

გუშინვე ლეიბორისტული პარტიის გენერალური მდივანი შეეხო ე.წ. პოლიტელიტის შვილების განათლების საკითხებსაც და პოლიტიკურ ელიტას, ბნელიტა უწოდა. შატბერაშვილის თქმით, მიხეილ სააკაშვილის და გიგი უგულავას შვილები დიდ დილომში, ამერიკულ აკადემიაში სწავლობენ, სადაც ერთი კურსი 20.000 დოლარი ღირს. თბილისში არის ევროპული სკოლა, რომელიც დავით ბეჟუაშვილის სიდედრის არის და ერთი წელი სწავლა 16.000 დოლარი ღირს. ამ სკოლებში, ბუნებრივია, იმათი შვილები სწავლობენ, რომელთაც არ ადარდებთ თავიანთი შვილების თანატოლების უწიგნებოდ, ანდა საერთოდ, სკოლის გარეშე დარჩენა. არადა, სწორედ ეს ხელისუფლებაა პიარის გამო ნიანგის ცრემლებს რომ ყრის, მოზარდების კოლოსალურმა ნაწილმა არ იცის დღეს წერა-კითხვაო.

— ე.წ. პოლიტიკური ელიტა საიმპერატორო განათლებას აძლევს თავიანთ შვილებს. მათ აბსოლუტურად არ ანაღვლებთ ჩვენი შვილების განათლება თუ გაუნათლებლობა. ჩვენ მოვითხოვთ კატეგორიულად, იმ საჯარო სკოლებში, სადაც ჩვენი შვილები დადიან, წიგნები იყოს უფასო, — აღნიშნა შატბერაშვილმა. მისი თქმით, შეგნებულად ხდება ყოველ წელს ახალი სასწავლო პროგრამების და ახალი სასკოლო სახელმძღვანელოების შემოტანა. იმიტომ, რომ ამაზე მრავალი მილიონი კეთდება.

პრესკონფერენციის ბოლოს, ლეიბორისტული პარტიის გენერალურ მდივანს რამდენიმე კითხვით მივმართეთ.

***— ბატონო სოსო, რაც ზოგად განათლებასთან მიმართებაში ხდება, არასწორი საგანმანათლებლო პოლიტიკის შედეგია? განათლების მინისტრის პასუხისმგებლობა აქ ნაკლებია?***

— განათლების მინისტრი, რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში არის მეისრე. განათლების მინისტრი არაერთხელ შეიცავლა, მაგრამ პოლიტიკა რჩება იგივე. ამის მთავარი გენერატორი არის მიხეილ სააკაშვილი და მისი ხელისუფლება, რომელსაც დავალება აქვს ხელისუფლებაში მომყვანებისაგან, სოროსისა და რუსეთის ხელისუფლებისგან: საქართველოს უნდა ჰყავდეს აბსოლუტურად გაუნათლებელი და უვიცი თაობა. ამას სააკაშვილი ბრწყინვალედ ასრულებს.

***— რატომ ეგუება ამ ყველაფერს ქართველი ხალხი?***

— ვერ გეტყვით, რომ ქართველი ხალხი ეგუება. მინდა გაგახსენოთ 2007 წლის სექტემბრის მოვლენები, როცა ქართველი ხალხი მასობრივად გამოვიდა ქუჩაში. ამას მოჰყვა ნოემბრის აქციები. შემდეგ იყო ორი არჩევნები და 9 აპრილს დაწყებული საპროტესტო ტალღა. რომ არა დაშინება და ხელების გადაგრეხვა ჩვენი მოსახლეობისა, დღეს სააკაშვილის ხელისუფლება აღარ იქნებოდა. სამწუხაროდ, იმ ოპოზიციურმა პარტიებმა, რომლებიც 9 აპრილის აქციების საორგანიზაციო ჯგუფს წარმოადგენდნენ, ვერ მიიყვანეს ეს დიდი ბრძოლა ბოლომდე.

***— ამით დღეს სააკაშვილი გამარჯვებულია?***

— რა თქმა უნდა, სააკაშვილი გამარჯვებულია და თავს გრძნობს, როგორც თეთრ ცხენზე ამხედრებული. სააკაშვილმა 2005 წელს განაცხადა, ოპოზიცია გაფარჩაკდაო. ეს მან თქვა ადგილობრივი არჩევნების შემდეგ. მაშინ ოპოზიცია არ გაფარჩაკებულა, თუმცა 2007 და 2009 წელს ოპოზიცია ნამდვილად გაფარჩაკდა.

***— ოპოზიციის ნაწილმა უკვე ღიად დააფიქსირა ადგილობრივი თვითმმართველობის და თბილისის მერის არჩევნებში მონაწილეობა. რა შანსი აქვს ამ არჩევნებში ოპოზიციას?***

— ოპოზიციას არანაირი შანსი არ აქვს. ოპოზიციას გამარჯვების შანსი აქვს მხოლოდ მაშინ, როცა სააკაშვილი საქართველოს პრეზიდენტი აღარ იქნება და არჩევნებს ჩაატარებს ეუთო ან რომელიმე სხვა საერთაშორისო ორგანიზაცია, როგორც ეს ხორვატიაში მოხდა. საქართველოში უნდა ჩატარდეს გაუყალბებელი არჩევნები. საქართველოში სათავე უნდა დაედოს ნორმალურ, პატიოსან და გაუყალბებელ არჩევნებს. ქართველმა ხალხმა უნდა გადაწყვიტოს, ვინ არის ღირსი იმისა, რომ ანდოს საქართველოს საჭე.

***— რას იტყვით „ალიანსი საქართველოსთვის“ მიერ გაკეთებულ განცხადებაზე და კანდიდატებზე, რომლებიც უკვე დასახელდა? პოლიტიკოსთა ნაწილი ფიქრობს, რომ ალასანიამ ამ განცხადებით ოპოზიცია გახლიჩა.***

— მინდა მოგახსენოთ, რომ ტყუილად ირჯებიან პატივცემული ოპოზიციონერები. მიხეილ სააკაშვილი არ არის არაფის დამთმობი. ის არც თბილისის მერის პოსტს დათმობს და არც ხელისუფლების დამარცხებას შეეგუება. შეიძლება რომელიმე პარტიას დაპირდა, რომ მის ხელმძღვანელს თბილისის მერად გაიყვანს, მაგრამ როგორც წესი, მიშა არის გადამგდები, მას ნაციონალებმა „კიდალშიკი“ შეარქვეს. შეიძლება თბილისის მერობას

გაგრძელება მე-4 გვერდზე

## საქართველოში 2 ოქტომბრიდან გამოიდარებს

საქართველოში ცივი, ნალექიანი ამინდი 2 ოქტომბრამდე გაგრძელდება. როგორც „მედიანიუსს“ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გარემოს ეროვნულ სააგენტოში განუცხადეს, 29 სექტემბერს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ნალექის ინტენსივობა შესუსტდება, 30 სექტემბერს გამოიდარებს, 1 ოქტომბერს დღისით კი ამინდი კვლავ გაუარესდება. მაღალ მთაში თოვა გაგრძელდება.

30 სექტემბერს დასავლეთ საქართველოს დაბლობსა და აღმოსავლეთ საქართველოს ბარში დღის ტემპერატურა 18, 23 გრადუსი სითო არის მოსალოდნელი.

დასავლეთ საქართველოს მთაში დღისით 16, 21; მაღალ მთაში 12, 17; დასავლეთ საქართველოს დაბლობში ღამით 3, 8; მთაში -1, 4; მაღალ მთაში -5,0 გრადუსი არის მოსალოდნელი.

30 სექტემბერს აღმოსავლეთ საქართველოს მთაში დღისით 15, 20; მაღალ მთაში 10, 15; ღამით ბარში 2, 7; ზოგიერთ რაიონში -2; მთაში -2, X3; მაღალ მთაში -6, -1 გრადუსი არის მოსალოდნელი.

1 ოქტომბერს დასავლევთ საქართველოს დაბლობში დღისით 14, 19; მთაში 11, 16; მაღალ მთაში 9, 14; ღამით დაბლობში 6, 11; მთაში 0, 5; მაღალ მთაში 3, 2 გრადუსი სითბო არის მოსალოდნელი. აღმოსავლეთ საქართველოს ბარში ჰაერის ტემპერატურა დღისით 16, 21; მთაში 13, 18; მაღალ მთაში 8, 13 გრადუს სითბოს მიაღწევს. ღამით კი ბარის ტემპერატურა 3, 8; მთის 0, 5; მაღალ მთაში -4, 1 გრადუსიაა მოსალოდნელი.

რაც შეეხება თბილისს, აქ 30 სექტემბერს დღის ტემპერატურა 21, ღამის 5.

ხოლო 1 ოქტომბერს დღისით 19; ღამით 7 გრადუსი სითბო არის მოსალოდნელი.

2 ოქტომბრიდან მთელ საქართველოში გამოიდარებს და ჰაერის ტემპერატურაც მოიმატებს.

**მედიანიუსი**

# სააკაშვილს რუსეთის განაწყენება არ უნდა

**მიხეილ სააკაშვილმა „ფოქსნიუსისათვის“ მიცემულ ინტერვიუში დაადასტურა, რომ გუანტანამოს პატიმრების მისაღებად საქართველო მზად არის. დღემდე საქართველოში ეს ინფორმაცია ჭორი ეგონათ. ამის შესახებ ხელისუფლებაში კომენტარს არ აკეთებდნენ. თუმცა, აღნიშნული ინფორმაცია პრეზიდენტმა უკვე დაადასტურა.**

ნათია ხურცილავა

სწორედ გუანტანამოს ბაზაზე, გაეროში მიხეილ სააკაშვილის გამოსვლაზე „ახალ თაობას“ ექსპერტი პაატა ზაქარეიშვილი ესაუბრა.

***— ბატონო პაატა, როგორ შეაფასებდით პრეზიდენტის გამოსვლას? მან გაეროს ტრიბუნიდან ოპოზიციაზეც, რეფორმებზეც და დემოკრატიაზე ისაუბრა...***



— თითქოს საქართველო დემოკრატიული ქვეყანაა, რადგან ოპოზიცია სამი თვე ქუჩაში იდგა და ეს ხელისუფლებამ აიტანა. ეს არის ფარისევლობა. ამ განცხადებით მან გაყიდა თავისი არადემოკრატიულობა. რატომ უნდა იდგეს ქუჩაში ოპოზიცია სამი თვე?! იმიტომ გამოვიდნენ ქუჩაში სამი თვე ადამიანები, რომ მერე გაეროში ელაპარაკა დემოკრატიაზე სააკაშვილს?! მაშინ ხმა არ ამოუღია. სამი თვე ადამიანები ქუჩაში იდგნენ, ხელისუფლებამ კი ფეხებზე დაიკიდა. ქუჩაში ოპოზიცია არ იყო გამოსული, ხალხი იყო ქუჩაში გამოსული, ოპოზიციამ ეს პროცესი მართა, სწორად თუ არასწორად, ეს სხვა საკითხია. სააკაშვილი ვერ იტყვის, რომ იმ ხალხის პატარა ინტერესიც კი დააკმაყოფილა. ოპოზიციას მინისტრების მოადგილეობა შესთავაზა, მაგრამ თავადვე ჩააგდო. საზოგადოებას შესთავაზა, რომ მე-2 არხი პოლიტიკური არხი ყოფილიყო, მაგრამ ეს იდეაც ჩააგდო. ამიტომაც ვამბობ, რომ მისი გამოსვლის ეს პასაჟი ფარისევლური იყო. რაც შეეხება ზოგადად გამოსვლას გაეროში, სხვანაირი ვერ იქნებოდა. ზომიერი, გაწონასწორებული იყო. ადრე უფრო აგრესიული იყო. ისე, უნდა ვთქვა, რომ ლათინური ამერიკის ქვეყნის, მაგალითად, განას ან სხვა პრეზიდენტები, ვერ მიხვდებოდნენ, რომელ რებუსებით ლაპარაკობდა, ბურუსში გახვია ყველაფერი. ვერ მიხვდებოდნენ საქართველოს მარსიანელები დაესხნენ თავს თუ ვინ. მკაფიოდ არ ილაპარაკა პრობლემებზე. ლათინოამერიკელები შეიძლება ვერ მიხვდნენ, მაგრამ ევროპელებმა იციან.

***— ასე რომ, მათზე იყო გათვლილი ეს გამოსვლა?***

— არა, ეს იყო გაეროში გამოსვლა მსოფლიოს წინაშე. მინდა ხაზი გავუსვა ერთ პასაჟს, რომელიც ნაციონალური გამოსვლა იყო. საერთოდ, სააკაშვილს აქვს ნაციონალისტური სისუსტეები, რომელსაც გამოავლენს ხოლმე. გაეროს ტრიბუნიდან ნაციონალური პასაჟი ძალიან თვალში საცემი იყო.

***— რომელ პასაჟს გულისხმობთ?***

— აფხაზეთი დასაბრუნებელია, რადგან ქართული ცივილიზაციის აკვანიაო. ეს იყო ძალიან ნაციონალისტური. აგრესიაზე ლაპარაკობდა სააკაშვილი. ერთხელაც არ უხსენებია რუსეთი. ფინეთზე, პოლონეთზე ყვებოდა. მერწმუნეთ, ბევრი ქვეყანა, რომლებმაც არ იციან, რა მოხდა 40-იან წლებში პოლონეთში, რი. აფხაზეთი დასაბრუნებელია იმიტომ, რომ საქართველოს ნაწილია. მაგალითად, კოსოვო სერბეთის ნაციონალისტური აკვანია, მაგრამ ახლა გამოყოფილია და მსოფლიომ დამოუკიდებლად აღიარა. ეს არ არის არგუმენტი ევროპელებისათვის. ევროპამ ასეთი აკვანი ერთი წლის წინ დამოუკიდებლად აღიარა. თუ შენ აფხაზეთის დაბრუნება გინდა, უნდა გინდოდეს იმიტომ, რომ იქ შენი მოქალაქეები არიან. მეორე პასაჟი, რომელიც არადამაჯერებელი იქნება ევროპისათვის, ეს არის ბერლინის კედლის სიმბოლოდ მოყვანა. ბერლინის კედელი სტალინმა, კომუნისტურმა რეჟიმმა ააშენეს იმისთვის, რომ ერთი ხალხი შუაში გაეყოთ. კედელი იმიტომ ააშენეს, რომ ეს ხალხი ერთმანეთისკენ ისწრაფვოდა. გერმანელებს ერთად უნდოდათ ცხოვრება. საუბედუროდ, საქართველოში მეორე მხარეს არ არის ხალხი, რომლებსაც ჩვენთან ცხოვრება უნდათ. ჩვენ არასდროს არ გვისაუბრია ამ ხალხზე, ჩვენ ყოველთვის ტერიტორიულ მთლიანობაზე ვსაუბრობთ. ჩვენ არ გვისაუბრია აფხაზების, ოსების დაბრუნებაზე. რუსეთმა შემოგვილობა ის ტერიტორიები, რომლის მთლიანობის აღდგენა ჩვენ გვინდოდა. იმ კედლის მშენებლობა, რომელსაც ბერლინის კედელი უწოდა სააკაშვილმა, დაიწყო, როდესაც კოდორში შევიდა და ყოველგვარი კონტაქტი გაწყვიტა ქართველ და აფხაზ საზოგადოებას შორის. ერთი წლის მერე კი „სანაკოევის პროექტი“ შექმნა და სანაკოევი ქურთაში დასვა. იმ კედლის შენება, რომელიც სააკაშვილმა დაიწყო, რუსებმა რეალურად აგურით და ცემენტით გააგრძელეს.

***— თუმცა, რუსები დღეს რეალურ კედელს აშენებენ...***

გაგრძელება მე-5 გვერდზე


გააგზავნეთ სმს „ჯეოსელიდან“, „მაგთიდან“, „ბილაინიდან“ ნომერზე **30-30** და 1 ლარით ყოველთვიურად დაეხმარებით მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს.

ერთჯერადი დახმარებისათვის დარეკეთ ნომერზე **30-30** და ფონდ „იავნანას“ ანგარიშზე ავტომატურად ჩაირიცხება 1 ლარი.

**შემოგვიერთდით, ერთად დავუბრუნოთ ბავშვები თავიანთ ოჯახებს!**

*ფონდი „იავნანა“ გაზეთი „ახალი თაობა“*

# სააკაშვილი თბილისის მერის პოსტს არ დათმობს

დასაწყისი მე-3 გვერდზე

სააკაშვილი ორ პირივნებასაც დაპირდა შავნაბადაზე მოლაპარაკებების დროს და მათ მართლა ჰგონიათ, რომ მიშა მართლა გაიყვანს მერად და მერის პოსტს დაუთმობს. ეს არის ტყუილი. არამც თუ მერი, არამედ საკრებულოშიც შეიძლება ორი ან მაქსიმუმ სამი ადამიანი გავიდეს ოპოზიციიდან. გამოვა მიშა სააკაშვილი და ისევ განაცხადებს, ოპოზიცია გაფარჩაკდაო.

***— გამორიცხავთ, რომ დემოკრატიული არჩევნების იმიჯისთვის სააკაშვილმა საკრებულოში ოპოზიციის დიდი ნაწილი შეუშვას?***

— გამორიცხულია. როგორ შეიძლება სააკაშვილმა პატიოსანი არჩევნები ჩაატაროს.

***— ლეიბორისტები ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებთ?***

— არავითარ შემთხვევაში. იმიტომ, რომ ეს არჩევნები არ არის. რასაც სააკაშვილი აცხადებს, ამას არჩევნები არ ჰქვია. ამავე დროს, მინდა მივმართო ჩვენს კოლეგა ოპოზიციონერებს: მათ თუ უნდოდათ პარლამენტსა და საკრებულოებში მოღვაწეობა, მაშინ რატომ ვთქვით უარი ჩვენს მანდატებზე და რატომ დავხიეთ?! მაშინ, რატომ არ შევედით პარლამენტში იმ დროს, როცა სულ რაღაც წელიწადნახევრის შემდეგ ისევ ემხადებით იმ არჩევნებისთვის, რომელსაც სააკაშვილი ისევ გააყალბებს?! ეს პოზიცია ჩვენთვის ცოტა გაუგებარია.

***— ანუ სხვა ოპოზიციურმა ძალებმა რომ მიიღონ 30 მაისის არჩევნებში მონაწილეობა, ლეიბორისტები მაინც არ მიიღებთ მონაწილეობას?***

— ჩვენ ამ არჩევნებში მონაწილეობას არ ვიღებთ. ჩვენ მოვუწოდებთ ყველა პოლიტიკურ პარტიას, ერთხელ მაინც გამოვაცხადოთ ყველამ ბოიკოტი. ხომ შეიძლება ერთხელ მაინც შედგეს საყოველთაო ბოიკოტი. ხომ შეიძლება ერთხელ ვაჩვენოთ ქართული პოლიტიკური ელიტის ისტებლიშმენტმა ერთიანობის მაგალითი? როდესაც პარლამენტის დეპუტატებმა მანდატები დავჭერით, ჩვენ ვიცოდით, რომ ე.წ. გაერთიანებული ოპოზიციიდან, რომელმაც თავის დროზე შემოგვთავაზა პარლამენტის მანდატებზე უარის თქმა, ვიცოდით, რომ ოპოზიციის ნაწილი პარლამენტში შედიოდა. ანუ თვითონ გაიხლიჩნენ შუაზე და ნაწილი შედიოდა პარლამენტში. ჩვენ იმ გარეთ დარჩენილ ნაწილს გამოვუცხადეთ სოლიდარობა, დავჭერით საპარლამენტო მანდატები და დღესაც ბოიკოტის რეჟიმში ვართ. როგორც მაშინ გაიხლიჩა ოპოზიცია, ახლაც ისევე გაიხლიჩა. ლაპარაკი მიდიოდა იმაზე, რომ ჩატარებულიყო პრაიმერი, გამოვლენილიყო საერთო ოპოზიციური კანდიდატი. ლეიბორისტები ვაცხადებდით, რომ ჩვენ არანაირ პრაიმერში მონაწილეობას არ მივიღებდით. იმიტომ, რომ ჩვენ ყველა ოპოზიციურ სპექტრს, ყოველგვარი პრაიმერის გარეშე ვთავაზობით შალვა ნათელაშვილის კანდიდატურას. ამას ოპოზიცია დღემდე არ იზიარებს. თუმცა თავის დროზე, 2007 წელს რომ გაეზიარებინათ, დღეს მიხეილ სააკაშვილი პრეზიდენტი აღარ იქნებოდა. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ თვითონვე ლაპარაკობდნენ პრაიმერზე და საერთო კანდიდატურაზე, გარკვეულმა პარტიებმა დაასწრეს ამ პრაიმერს და ირაკლი ალასანიას კანდიდატურა დაასახელეს. ეს იმას ნიშნავს, რომ ის არსებული ოპოზიციური სპექტრი უკვე გახლეჩილია. უკვე ვიცით, რომ იქნება თბილისის მერობის 3-4 ან 5 კანდიდატი, რაც დამარცხების საწინდარია. წინასწარ ვიცით, რომ არანაირი შედეგი ამ ე.წ. არჩევნებს არ მოჰყვება.

***— დავით ბერძენიშვილის თქმით, დღეისთვის ყველაზე მაღალი რეიტინგი ალასანიას და მის ალიანსს აქვს. აქედან გამომდინარე ალიანსის ლიდერებს ამ არჩევნებში გამარჯვების იმედი აქვთ.***

— ყველაზე მაღალი რეიტინგი ახლა აქვს ლეიბორისტულ პარტის. თუმცა ეს მაღალი რეიტინგი ჩვენ არ გვაძლევს იმის გარანტიას, რომ ჩვენ მიერ დასახელებული კანდიდატი გაიმარჯვებს. ასევე, რა ილუზიების ტყვეობაშიც არ უნდა იმყოფებოდეს ბატონი ბერძენიშვილი და მართლაც რომ მაღალი რეიტინგი ჰქონდეს ალიანსს, მისი გამარჯვება გამორიცხულია. მინდა შევახსენო რესპუბლიკელებს, ძალიან მაღალი რეიტინგი ჰქინდა 2007 წელს ლევან გაჩეჩილაძეს და გაერთიანებულ ოპოზიციას. მაგრამ ლევან გაჩეჩილაძემ და გაერთიანებულმა ოპოზიციამ რა, გაიმარჯვა?! მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის პირობებში გამორიცხულია, რომ თბილისის მერი ოპოზიციონერი გახდეს.

***— რატომ გამორიცხავთ. არაერთი მიანიშნებს, ირაკლი ალასანია ამერიკული პროექტია და მისით მოხდება სააკაშვილის რეჟიმის ჩანაცვლებაო.***

— შესაძლებელია მოხდეს ხავერდოვანი ჩანაცვლება, მიშა 2-ის პროექტი მართლა განხორციელდეს და გიგი უგულავა ალასანიათი იქნეს ჩანაცვლებული. თუ ეს პროექტი განხორციელდა, ალასანია იქნება მიშა-2. ანუ ამ არჩევნებს აზრი არ აქვს. ირაკლი ალასანია ოპოზიციონერი არასოდეს ყოფილა და არც ახლა არ გახლავთ.

# ირაკლი დოკვაძეს 30-წლიანი ციხე ემუქრება

**პროცესი დაიწყო. ადვოკატები მოწმე მაისურა ის დაკითხვას ითხოვენ**

**საქალაქო სასამართლოში ირაკლი დოკვაძის საქმის განხილვა დაიწყო.**

გულიკო ბალა ე



ირაკლი დოკვაძეს პროკურატურა ბრალად სდებს გოჩა კვირჭიშვილსა და მისი მეუღლის ელზა გულიაშვილის მკვლელობის მცდელობას.

წინასწარი გამოძიების მონაცემებით, გოჩა კვირჭიშვილს განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის მომზადების ბრალდება უნდა წაყენებოდა, რადგან ირაკლი დოკვაძე პირველად სწორედ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის მზადების განუცხადებლობის ბრალდებით დააკავეს.

როგორც წინასწარი გამოძიების მასალებიდანაა ცნობილი, კვირჭიშვილს თავისი რძლის მოკვლის შეკვეთა ბრალდებოდა. თუმცა, კვირჭიშვილისთვის ბრალდება არ წაყენებიათ. საბოლოოდ ის დაზარალებულად ცნეს.

ბრალდებამ კვირჭიშვილის მიერ დანაშაულის მზადება გამორიცხა. ამიტომ ირაკლი დოკვაძესაც 376-ე მუხლი (განსაკუთრებით დანაშაულის მზადების განუცხადებლობა) მოუხსნა.

ირაკლი დოკვაძის ადვოკატი ლუნა ჯიჯელავა ამბობს, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირი საერთოდ უდანაშაულოდ ზის ციხეში.

**ლუნა ჯიჯელავა:**

— ირაკლი დოკვაძე საერთოდ უდანაშაულო ადამიანია და ახლაც უდანაშაულო ადამიანი ზის ციხეში. ბრალდების წაყენება იმას კი არ ნიშნავს, რომ მისი ბრალი დადასტურებულია. სამწუხაროდ, გამოძიებამ მას დანაშაულის მზადების განუცხადებლობის მუხლი მოუხსნა, მაგრამ უმძიმესი ბრალდება წაუყენა. გოჩა კვირჭიშვილი განსაკუთრებით მძიმე დანაშაულს რომ ამზადებდა, ეს ბრალდება მოუხსნეს, რის ბრალდებაც სავარაუდოდ უნდა წაეყენებინათ. გოჩა კვირჭიშვილი გახადეს დაზარალებული, ირაკლი დოკვაძეს კი უმძიმესი დანაშაულის ჩადენა შერაცხეს. კერძოდ, ცოლ-ქმრის განზრახ მკვლელობის მცდელობა.

***— კვირჭიშვილს რომ ეთქვა, ირაკლი დოკვაძე უდანაშაულოაო, მას განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის მზადების ბრალდებას წაუყენებდნენ?***

— რას იზამდნენ, ამის თქმა არ შემიძლია. რაღაცას ნამდვილად მოიფიქრებდნენ.

***— ანუ კვირჭიშვილს არ აპატიებდნენ, ირაკლი დოკვაძისთვის ხელი რომ არ დაედო?***

— თუ კვირჭიშვილი არ იტყოდა, ირაკლი იყოო, ალბათ „თავის ადგილს" მიუჩენდნენ, საიდანაც ვერ გამოძვრებოდა.

დაზარალებულ გოჩა კვირჭიშვილს განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის მზადების ბრალდების წაყენების შემთხვევაში სულ მცირე 5 ან მეტ წლიანი ციხე ელოდებოდა.

ამდენად, საბოლოოდ ირაკლი დოკვაძეს ბრალი წაუყენეს და სასამართლოში წარმართეს 18, 109 მუხლის პირველი, მეორე და მესამე ნაწილებით, რაც განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენას ითვალისწინებს. ამ შემთხვევაში ცოლ-ქმრის განზრახ მკვლელობის მცდელობის ბრალდება და, მოსამართლის თქმით, დანაშაულთა ერთობლიობაა. ამის გამო, ირაკლი დოკვაძეს 30 წლის პატიმრობა ემუქრება.

პირველ სხდომაზე სასამართლოზე უნდა დაკითხულიყო დაზარალებული, მაგრამ ბრალდებამ და მისი დაცვის მხარემ განაცხადეს, გოჩა კვირჭიშვილი მძიმე ავადმყოფიაო. ამიტომ, ჯერჯერობით, დაზარალებულის პროცესზე მოყვანა ვერ ხერხდება. თუმცა, ისიც

გაგრძელება მე-6 გვერდზე

## დიმიტრი შაშკინმა მუდმივმოქმედი კომიიის წევრები წარადგინა



სასჯელაღსრულების პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა სამინისტროს მუდმივმოქმედი კომისიის წევრები წარადგინა. ახალი წესით დაკომპლექტებული მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარედ მინისტრმა სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის მოადგილე ლევან ზარანდია დაასახელა.

კომისიაში სამინისტროს ექვსი თანამშრომელი, ორი დეპუტატი (უმრავლესობიდან გია არსენიშვილი, უმცირესობიდან დიმიტრი ლორთქიფანიძე) და ერთი არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი, „ახალგაზრდული ორგანიზაციათა ეროვნული საბჭოს" წევრი ნინო მესტუმრიშვილი შედის, რომლის კანდიდატურაც 45-მდე არასამთავრობო ორგანიზაციამ დაასახელა. დეპუტატები და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები კომისიაში ადგილს როტაციის პრინციპით დაიკავებენ. კანდიდატების წარდგენისას, სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა განაცხადა, რომ ახალი კომისიის შექმნით, ფუნდამენტალურად შეიცვლება კომისიის მუშაობა და პატიმართა ვადამდე გათავისუფლების საკითხი უფრო დემოკრატიული პროცესი გახდება:

— ახალი წესით დაკომპლექტებული კომისიის მუშაობით პატიმართა ვადამდე გათავისუფლების საკითხი გამჭვირვალე გახდება, დაცული იქნება პატიმართა უფლებებიც და საზოგადოების უსაფრთხოებაც.

სამინისტროს მუდმივმოქმედი კომისიის პირველი სხდომა 30 სექტემბერს ჩატარდება.

**მედიანიუსი**

## ალავერდობის დღესასწაულზე პატრიარქმა 460-მდე პატარა მონათლა

ალავერდობის დღესასწაულზე სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ 460-მდე ჩვილი ბავშვი მონათლა. რიგით მერვე ნათლობის რიტუალი სამების საპატრიარქო ტაძარში ჩატარდა.

დემოგრაფიული პრობლემის აღმოსაფხრელად სამი წლის წინ პატრიარქი ინიციატივით გამოვიდა, რომ ყველა ჯვარდაწერილ ოჯახში დაბადებული მესამე ან მომდევნო ბავშვის ნათლია თვითონ იქნებოდა. ამ ინიციტივას საზოგადოებაში დიდი გამოხმაურება მოჰყვა და ყოველ რელიგიურ დღესასწაულზე პატრიქის ნათლულთა რიცხვი საგრძნობლად იზრდება. ამ დროისთვის ილია მეორე უკვე 3 200-მდე პატარის ნათლიაა.

**მედიანიუსი**

## „ქართული შაქრის" ქონება აუქციონზე არ გაიყიდა

მსხვილ გადამხდელთა საგადასახადო ინსპექციაში დღეს დაგეგმილ აუქციონზე შპს „ქართული შაქრის" ქონება არ გაიყიდა. ამის მიზეზი ის გახდა, რომ აუქციონში მონაწილეობის სურვილი არავის გამოუთქვამს. ამის გამო ქონებას აუქციონზე ხელახლა გაიტანენ.

სარეალიზაციოდ გატანილი ქონების საერთო ღირებულება 189 430 ლარს შეადგენს. ეს არის მეორადი ჩამტვირთი მოწყობილობა, ძრავები, წყალსაქაჩი, ტუმბოები, თბომავლის გენერატორი, ცისტერნა და სხვა.

**მედიანიუსი**

## ზამთარში პურის გაძვირება მოსალოდნელი არ არის

საქართველოში დამდეგ ზამთარს პური არ გაძვირდება. როგორც „მედიანიუსს" სოფლის მეურნეობის სამინისტროში განუცხადეს, ქვეყანაში ხორბლის საკმარისი მარაგი არსებობს, რომელიც, ძირითადად, ყაზახეთიდან, უკრაინიდან და რუსეთიდან შეღავათიან ფასად არის შემოტანილი.

საქართველოში ამავე ქვეყნებიდან პურის ფქვილიც საკმარისი რაოდენობით არის იმპორტირებული. ამასთან, ქვეყანას ხორბლის საკუთარი, გარკვეული მარაგიც აქვს, რაც, საშუალოდ მთლიანად მოხმარებული პროდუქციის დაახლოებით 25-30 პროცენტს შეადგენს. ამ ფაქტორების გათვალისწინებით, დამდეგ ზამთარს პურის გაძვირება მოსალოდნელი არ არის. მოსახლეობა ყოველთვიურად დაახლოებით 50 000-60 000 ტონა ხორბალს მოიხმარს.

**მედიანიუსი**


## საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს
## განცხადება

**2998-2919 სასწავლო წელს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკადემიური უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე ან პროფესიული უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთა სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსების ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ**

**საქართველოს მთავრობის დადგენილების (149, 2009 წლის 14 აგვისტო, ქ. თბილისი) მიხედვით**

საქართველოს აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხულ სტუდენტთა დაფინანსებისათვის გამოყოფილია 1 073 000 ლარი. სოციალური პროგრამის ფარგლებში დაფინანსება შეიძლება მოიპოვოს მხოლოდ იმ სტუდენტმა, რომელიც 2009 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩაირიცხა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და ვერ მოიპოვა სახელმწიფო სასწავლო გრანტის სრული ან ნაწილობრივი ოდენობა.

სოციალური პროგრამით გათვალისწინებული თანხა გადაეცემათ შემდეგი კატეგორიის სტუდენტებს:

✓ 150 სტუდენტს, რომლებიც ბოლო სამი წლის განმავლობაში სწავლობდნენ და ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს მაღალმთიან და ეკოლოგიური მიგრაციის რეგიონების შემდეგ მუნიციპალიტეტებში: მესტია, ლენტეხი, ონი, ქედა, ხულო, შუახევი, ყაზბეგი, დუშეთი - (ბარისახო, შატილი, ქვეშეთი, მლეთა, მაღაროსკარი და გუდამაყრი), ადიგენი, ახალქალაქი, ნინოწმინდა, წალკა, დმანისი, ახმეტა- (პანკისის ხეობა, ზემო და ქვემო ალვანი).

✓ 180 სტუდენტს, რომლებიც ბოლო ორი წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში (აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა, აჟარის მუნიციპალიტეტი, ცხინვალის რეგიონი - ქურთა, ერედვი, ახალგორი და სოფელი პერევი), ასევე სტუდენტები, რომლებიც 2008 წლის 7 აგვისტომდე მე-10 და მე-11 კლასებში სწავლობდნენ ოკუპირებულ ტერიტორიაზე, ხოლო სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმეტი მიიღეს ოკუპირებული ტერიტორიის ფარგლებს გარეთ;

✓ 30 სტუდენტს, რომლებიც ბოლო სამი წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს აზერბაიჯანულენოვან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში;

✓ 30 სტუდენტს, რომლებიც ბოლო სამი წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს სომხურენოვან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში;

✓ 45 სტუდენტს, რომლებიც არიან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში დაღუპულთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა შვილები;

✓ 5 სტუდენტს, რომლებიც არიან კომუნისტური რეჟიმის დროს საქართველოდან დეპორტირებული სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის შთამომავლები;

✓ 30 სტუდენტს, რომლებიც არიან ობლები (უდედმამო) ან მრავალშვილიანი ოჯახის (ოთხი და მეტი შვილით) წევრები;

✓ 6 სტუდენტს, რომლებიც არიან მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები.

***ამ დადგენილებით განსაზღვრული პრინციპის შესაბამისად, ასევე დაფინანსდებიან:***

- 2008 წელს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩარიცხული ის სტუდენტები, რომლებიც არიან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში დაღუპულთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა შვილები;
- 2009 წელს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩარიცხული ის სტუდენტები, რომელთა ოჯახები რეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და მათი სარეიტინგო ქულა არ აღემატება 70 000-ს.

დაფინანსების მოსაპოვებლად მიმართეთ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს **(მის: ქ.თბილისი, უზნაძის 52).**

განცხადებები მიიღება **2009 წლის 7 ოქტომბრის** ჩათვლით.

განცხადებებს იხილავს შესაბამისი კომისია.

**დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ ტელ: 43 88 53 ან სამინისტროს ვებ-გვერდზე www.mes.gov.ge იხილეთ: საქართველოს მთავრობის დადგენილება 149 2009 წლის 14 აგვისტო ქ. თბილისი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 07 სექტემბრის 736 ბრძანება.**

# „თუ ოპოზიცია ერთ კანდიდატზე ვერ შეთანხმდება, ნაციონალებს არჩევნების გაყალბება აღარ დასჭირდებათ“

პოლიტიკურად ცხელი გაზაფხულის წარუმატებლად დასრულების შემდეგ, ოპოზიციამ დაიწყო იმაზე საუბარი, რომ შემოდგომაზე ახალი ძალებით განაახლებდნენ ბრძოლას, თუმცა სექტემბერი მიიწურა და დღემდე ოპოზიციის სამოქმედო გეგმა და სტრატეგია ცნობილი არ არის. ამასთან, მათ თვითმმართველობის არჩევნებისთვის დაიწყეს მზადება, თუმცა შესაძლოა ამ საქმეში ოპოზიციამ ვერ შეძლოს ერთიანობის შენარჩუნება. ამ ყველაფრის გათავლისწინებით, ამჟამად რა ძალა გააჩნია ოპოზიციას საბრძოლველად და შეძლებს თუ არა თვითმმართველობის არჩევნების მოგებას, ამ საკითხებზე საინფორმაციო სააგენტო „მედიანიუსი“ პოლიტოლოგ **სოსო ცინცაძეს** ესაუბრა.

— სიმართლე გითხრათ, ძალიან პესიმისტურად ვარ განწყობილი ოპოზიციის მარგი ქმედების კოეფიციენტისადმი, ვინაიდან ოპოზიციამ დაამტკიცა ის, რასაც მე გაზაფხულზე ვეჭვობდი. პოლიტკორექტულობის გათვალისწინებით, ძალიან რბილად ვამბობდი ხოლმე, რომ ოპოზიციამ თავისი პოლიტიკური უსუსურობა დაამტკიცა, ვინაიდან 9 აპრილს დაწყებული 3- თუ 4-თვიანი კამპანია სრული კრახით დამთავრდა. იცით, ძალიან მინდა, რომ დავინახო მათი სიძლიერე, მაგრამ ვერ ვხედავ და ეს ძალიან არ მსიამოვნებს, რადგან ძლიერი ოპოზიციის გარეშე დემოკრატია არ არსებობს. ოპოზიციას სიძლიერე თუ მხოლოდ კინეტიკურ სიძლიერედ ეჩვენება, აი, მოდით, მაგრად მივაწვეთ, გადავკეტოთ 20 ქუჩა და ეს არის ძალაო, ძალიან ცდება. რომ არაფერი გამოუვიდათ, ახლა ის თქვეს, 40 ქუჩა უნდა გადაგვეკეტა და გამოვიდოდაო. ოპოზიციის დიდ ნაწილში მხოლოდ ეს იგრძნობა. იმას კი არ ამბობენ, რომ საკნების ტაქტიკა მცდარი იყო. არა, ამბობენ იმას, რომ საკნები ცოტა იყო და იმიტომ არ გამოვიდა არაფერი. თურმე 100 კი, არა 500 უნდა დაედგათ და ყველაფერი გამოვიდოდა.

***— ამჟამად როგორ შეაფასებთ ოპოზიციის ტაქტიკას?***



— უკვე ერთმანეთის საწინააღმდეგოდ განცხადებების გაკეთება დაიწყეს. დაიწყო ქართული, ტრადიცული, მამაპაპური ქიშპობა. ჩემი აზრით, ნათელაშვილი სწორი იყო, როცა თქვა, კატასტროფული შეცდომა იყო, პარლამენტში რომ არ შევედითო. შეიძლება, ეს კაცი ბევრს მოწონს, ბევრს არ მოწონს, მაგრამ ეყო ამის თქმის პოლიტიკური გამბედაობა, ვინაიდან ის ეტყობა, ძალას გრძნობს, რომ აღიაროს. მაგრამ ვინც ამბობს, სწორად მოვიქეცით პარლამენტში რომ არ შევედითო, ეს პოლიტიკური სისუსტის ბრალია. ხანდახან სიმართლის თქმას მარტო გამბედაობა არ ჰყოფნის, ძალა სჭირდება, რეალური ძალა. ნათელაშვილს სწამს, რომ ეს სიმართლე მას არ დააზარალებს, გავლენას, რეიტინგს არ დაუკარგავს.

***— მომავალ თვითმმართველობის არჩევნებზე რას იტყვით, ამ არჩევნებისთვის ოპოზიციის მზადებას როგორ შეაფასებთ?***

— ოპოზიციიდან იარაკლი ალასანიას სახით, გამოჩნდა უკვე მერობის რეალური კანდიდატი. თუმცა ჯერ არ ვიცი, კანდიდატურას კიდევ ვინ წარადგენს. ალასანია ქალაქის მერად არჩევის შემთხვევაში ძალზედ გავლენიანი ფიგურა იქნება პოლიტიკაში. ეს იქნება პოლიტიკური კონიუნქტურისაგან დამოუკიდებელი ფიგურა. მაგრამ უკვე ნახეთ, რა ხდება? — პრაქტიკულად, ოპოზიციიდან მას 5-6 კონკურენტი უჩნდება.

იცით, ვინ იყო თბილისის პირველი მერი? — სომეხი შაქრით მოვაჭრე, შაქრის ქარხნის მეპატრონე ხატისოვი. იმიტომ, რომ მაშინ ქალაქის თავის (მერის) კანდიდატად გურულებმა გურული წამოაყენეს, მეგრელებმა — მეგრელი, კახელებმა — კახელი, იმერელებმა — იმერელი. მერე ამათ დაჭამეს ერთმანეთი, თბილისელი სომხები კი გაერთიანდნენ. შედეგად მივიღეთ ის, რომ ხატისოვი დაგვისვეს ქალაქის თავად. ამიტომ დღესაც ჩვენ გვეყოლება ისეთი მერი, რომელსაც დავიმსახურებთ. ნურავის ნუ დააბრალებენ, არჩევნები გაგვიყალბესო და ა.შ.

ყოველგვარი ცინიზმის გარეშე გეუბნებით, თბილისის მერის არჩევნების დროს, ნაციონალურ მოძრაობას საერთოდ არ დასჭირდება არც გაყალბება, არც არაფერი, ვინაიდან მათ მშვენივრად იციან, რომ ოპოზიციის რამდენიმე კანდიდატი ერთმანეთს ხმებს წაართმევს. „ნაციონალები“ ერთ კანდიდატს წამოაყენებენ და გავა. გაყალბება რაღაში სჭირდებათ, თუ ოპოზიცია გონებას არ მოუხმობს და ერთ კანდიდატზე არ შეთანხმდება? მაგრამ მე გაერთიანებას ვერ ვხედავ, ასე იქნება საპრეზიდენტო არჩევნებზეც. პრეზიდენტობისთვის უკვე გამოკვეთილია 6-7 კანდიდატი, რომელსაც სჯერა, რომ ის უნდა იყოს პრეზიდენტი. მე არ ვეხები მათ თვისებებს, არ ვეხები იმასაც, ვის მეტი შანსი აქვს და ვის უბრალოდ სჯერა, რომ შანსი აქვს. მთავარი არის ის, რომ „ნაციონალები“ წარადგენენ ერთ კანდიდატს და გაიმარჯვებენ.

**მედიანიუსი**

# სააკაშვილს რუსეთის განაწყენება არ უნდა

**დასაწყისი მე-3 გვერდზე**

— დიახ, რა თქმა უნდა.

***— და სააკაშვილს ამაზე არ უნდა ესაუბრა?***

— ხმა არ ამოუღია რუსეთზე. ვერავინ ვერ მიხვდებოდა, ვინც არ იცოდა, თუ ვინ აშენებს მეორე ბერლინის კედელს.

***— როგორ ფიქრობთ, რატომ? რატომ არ იყო რუსეთზე მეტი ხაზგასმა?***

— ეტყობა, რუსეთის განაწყენება არ უნდოდა. პირველი შეხვედრა სააკაშვილს ჰილარი კლინტონთან ჰქონდა. ეტყობა, კლინტონმა სთხოვა, რომ ძალიან არ გაემწვავებინა რუსეთთან ურთიერთობა, რომ დაძაბულობა არ ყოფილიყო. ამერიკელებს რუსებთან კარგი ურთიერთობა სჭირდებათ.

***— ეს საკითხი ძალიან მნიშვნელოვანია. ამერიკამ უარი თქვა ანტისარაკეტო სისტემის განთავსებაზე, უკვე მესამედ შეხვდა ოფიციალურ დონეზე ობამა მედვედევს. რა ხდება, ურთიერთობების დათბობასთან გვაქვს საქმე?***

— რა თქმა უნდა. ამერიკა აღიარებს, რომ რუსეთთან ურთიერთობა მნიშვნელოვანია, სტრატეგიული მნიშვნელობისაა, ამიტომ ცდილობენ, რომ კარგი ურთიერთობა ჰქონდეთ, რადგან კარგი ურთიერთობა სჯობია ცუდ ურთიერთობას. მხოლოდ ჩვენი ხელისუფლება ვერ მიხვდა ამას. ახლა უკვე გვიანია ამაზე საუბარი, რადგან რუსეთმა თავისი უკვე გამოავლინა.

***— ამ ფონზე ჩვენი ინტერესები ხომ არ ილახება, როგორც ამერიკის სტრატეგიული პარტნიორის?***

— ჩვენ არ ვართ სტრატეგიული პარტნიორები. ხელშეკრულება არსებობს, მაგრამ სტრატეგიული ფაქტორი რუსეთი უფროა. სტრატეგიულობის დოკუმენტზე ხელი ბუშის დროს მოეწერა. ობამა ვერ გააუქმებს, მაგრამ აშკარაა, რომ საქართველო ვერ არის სახელმწიფო, რომლის გარშემოც ბუშის ადმინისტრაცია მითებს თხზავდა.

***— ბუშის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებას სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ ობამას ადმინისტრაციამ გადახედა?***

— კი, ეს უფრო რეალისტურია. ბუშის ადმინისტრაციის მთავარი ამოცანა იყო რუსეთის გაღიზიანება. ბუშის ადმინისტრაცია ნეოკონსერვატული იდეოლოგიიდან ამოდიოდა, სადაც მტრის ხატს გარეთ ეძებენ. სააკაშვილი მუდმივად ცდილობდა, რომ გული მოეგო ამერიკელი პარტნიორებისათვის, მე ვიტყოდი, პატრონებისთვის. მუდმივად აღიზიანებდა რუსეთს, რომ აგრესია გამოეწვია, რაც 8 აგვისტოს რუსეთმა მსოფლიოს და საქართველოს დაუდასტურა, რომ რუსეთი მართლა არის აგრესიული და ოკუპანტი. ამერიკა მიხვდა, რომ ბუში არასწორ პოლიტიკას ატარებდა, ამიტომაც გადაირჩია. სააკაშვილს დაავიწყდა, რომ ამერიკა დემოკრატიული სახელმწიფოა და შეიძლება ცვლილებები მოხდეს. ამერიკაში არჩევნების წინ, ლევან რამიშვილი თავის სტატიაში ვერც უშვებს, რომ იქ ადმინისტრაცია შეიცვლება. ლევან რამიშვილი ხელისუფლებასთან დაახლოებულ ადამიანად ითვლება, გარკვეულწილად იდეოლოგიის გამამართლებლად. საქართველოს ხელისუფლება „დემოკრატების“ მოსვლას ვერც უშვებდა. ახლაც, ხელისუფლების დერეფნებში არის ქილიკი, რომ ობამა მხოლოდ ერთი ვადით იქნება და ისევ „რესპუბლიკელები“ მოვლენ. ამ ლეგენდით ცხოვრობენ. ეს განწყობა არის დღევანდელი ხელისუფლების ელიტაში.

***— გუანტანამოს ბაზაზე მინდა გკითხოთ, პრეზიდენტმა დაადასტურა, რომ საქართველო მზად არის პარტნიორობა ამ საკითხშიც გაუწიოს ამერიკას...***

— ეს არ არის პარტნიორობა, ეს მონობაა, — ყველაფერზე თანახმა ვარ, ოღონდ არ მიმატოვო — ამას ნიშნავს. მე მაინც მგონია, რომ საქართველოში არ არის ის ინფრასტრუქტურა, სადაც შეიძლება გუანტანამოს პატიმრები განთავსდნენ. უაღრესად საშიში პატიმრები არიან, მათ საერთაშორისო დონის ციხე სჭირდებათ, სადაც საზოგადოება დაცული იქნება მათგან, ასევე მათი პირობები შიგნით მეტნაკლებად ასატანი იქნება. ჩვენ ასეთი ციხე არ გვაქვს. თუ ჩვენ გუანტანამოს პატიმრებს უკეთესი პირობები შევუქმენით, ვიდრე ქართველ პატიმრებს, ეს ძალიან გამომწვევი იქნება. ჩვენს პატიმრებს საწოლი არ ექნებათ, მათ კი ცხელი წყალიც არ მოაკლდებათ, ეს იქნება სერიოზული გამოწვევა და დიდი შეურაცხყოფა ქართველი საზოგადოების. საქართველოს ხელისუფლება თვლის, რომ გუანტანამოს პატიმრები უნდა მივიღოთ, მაგრამ ამის პირობები ჩვენ არ გვაქვს. თუ ცალკე ციხე აუშენეს, ასეთ ფეხქვეშ გადებას ამერიკელებისთვის ქართველი საზოგადოება მართლა ვერ აიტანს. ეს ამერიკელებმაც უნდა გაიგონ. იმედი მაქვს, ამერიკის ხელისუფლება ამაზე უარს იტყვის. ისინი უფრო გონივრულები იქნებიან, ვიდრე საქართველოს ხელისუფლება.

# რუსეთი ევროსაბჭოს „მარგინალად“ მიიჩნევს

რუსეთის წარმომადგენელი ევროსაბჭოში სერგეი მარკოვი ევროსაბჭოს „მარგინალს“ უწოდებს და რუსეთის მიმართ მიკერძოებულ პოზიციაში ადანაშაულებს.

— ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა, როგორც მარგინალი რუსეთის კრიტიკას განაგრძობს. არადა, ყველამ იცის, რომ 2008 წლის აგვისტოს მოვლენებში დამნაშავე სააკაშვილი და მისი რეჟიმია — განუცხადა ჟურნალისტებს მარკოვმა, რომლის აზრით,

„ასეთ პირობებში ევროსაბჭოში რუსეთის პრეზიდენტის გამოსვლა მისი მხრიდან გმირობის ტოლფასი იქნებოდა“.

— ვიდრე ასამბლეა ასეთ პოზიციაზე დგას, ნაკლებად სავარაუდოა, რომ რუსეთის პრეზიდენტი იქ სიტყვით გამოვიდეს. ეს მისი მხრიდან გმირობის ტოლფასი იქნებოდა, — დასძინა მარკოვმა.

შეგახსენებთ, რომ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტმა ლუის მარია დე პუჩიმ სააკაშვილსა და მედვედევს შესთავაზა, ერთმანეთს ევროსაბჭოში, ნეიტრალურ მოედანზე შეჰხვედროდნენ, სადაც საშუალება ექნებოდათ, ევროპარლამენტარების წინაშე სიტყვით გამოსულიყვნენ.

„საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ამ პირობას დათანხმდა, რუსულმა მხარემ კი კატეგორიული უარი განაცხადა. რუსეთსა და საქართველოს შორის დიალოგს რუსული მხარე აფერხებს“ — აღნიშნა დე პუჩიმ.

**პირველი**

## ტალიავინის კომისიის დასკვნა სიტუაციას დაძაბავს

ამერიკული გამოცემა „უოლ სთრით ჯორნალის“ ინფორმაციით, საქართველო-რუსეთის ომის შემსწავლელი ევროკავშირის კომისიის, რომელსაც დიპლომატი ჰაიდი ტალიავინი ხელმძღვანელობს, ანგარიში სიტუაცია კიდევ უფრო დაძაბავს.

ამ ინფორმაციას გაზეთი კომისიის სამუშაო ჯგუფთან დაახლოებულ წყაროზე დაყრდნობით ავრცელებს.

კერძოდ, წყაროს აზრით, ანგარიშში თავმოყრილი ფაქტები, როგორც ეს დაგეგმილი იყო, კონტექსტიდან იქნება ამოგლეჯილი.

ამავე წყაროს ინფორმაციით, ომის დაწყების პასუხისმგებლობა ორივე მხარეს დაეკისრება. „უოლ სთრით ჯორნალის“ მტკიცებით, ტალიავინის კომისია ანგარიშს ოთხ საკითხს მიუძღვნის: ვინ დაიწყო პირველმა საბრძოლო მოქმედებები, შეესაბამებოდა თუ არა რუსეთის ქმედებები საერთაშორისო სამართალს, რამდენად შეესაბამება საერთაშორისო სამართალს რუსეთის მიერ აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის აღიარება და დაფიქსირდა თუ არა სამხედრო დანაშაულებები.

— ძნელი წარმოსადგენია, რომ 2008 წლის 7-12 აგვისტოს კონფლიქტში ორივე მხარის დადანაშაულებამ, შეცვალოს დასავლეთში ჩამოყალიბებული აზრი, რომლის მიხედვითაც, ომისთვის ორივე მხარე ემზადებოდა, მიხეილ სააკაშვილმა მისი პროვოცირება მოახდინა, რუსეთმა კი, არაპროპორციული პასუხი გასცა, — წერს ამერიკული გაზეთი.

ტალიავინის კომისია დასკვნას, სავარაუდოდ, 30 სექტემბერს გამოაქვეყნებს. თუმცა, თუ ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრებმა მიიღეს შესაბამისი გადაწყვეტილება, შესაძლოა, დასკვნა გასაიდუმლოვდეს. ამ კომისიის მუშაობისთვის 1,6 მილიონი ევრო დაიხარჯა.

**მედიანიუსი**

## გიორგი ბარამიამ ქართველ და აფხაზ ხალხს მიმართა

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ გიორგი ბარამიამ გუშინ ზუგდიდში მდებარე დადიანების სასახლიდან ქართველ და აფხაზ ხალხს მიმართა და აფხაზეთის ომში რუსეთი კიდევ ერთხელ დადანაშაულა.



— დრომ ყველას დაგვანახა, რომ ამ ინსპირირებული ომით გამარჯვებული დარჩა მესამე ძალა, რომელიც ათეული წლების განმავლობაში მიზანმიმართულად ძმას ძმას აძულებდა, შვილებს მშობლების წინააღმდეგ განაწყობდა და ყოველივე ეროვნულის ჩახშობას ცდილობდა, — აღნიშნა ბარმიამ.

როგორც ბარამიამ აღნიშნა, კრემლის რეჟიმმა ქართველების შემდეგ აფხაზებზე გადაინაცვლა და დღეს აფხაზეთში რუსიფიცირება გაორმაგებული ძალით მიმდინარეობს.

— სწორედ ახლა გვმართებს დიდი გონიერებისა და გამბედაობის გამოჩენა, რათა აფხაზეთი საბოლოოდ აფხაზების გარეშე არ დარჩეს. ვფიქრობ, დადგა დრო, რომ ერთობლივად ავიმაღლოთ ხმა და გადავარჩინოთ ჩვენი მომავალი ყოველივე ამის საფუძველი უნდა იყოს ნდობის აღდგენა და შერიგება, — განაცხადა გიორგი ბარამიამ.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ 1915 წელი გაიხსენა როდესაც დადიანების სასახლეში აფხაზებისა და მეგრელების მთავრების შეთანხმება გაფორმდა. ბარამიას განცხადებით ეს მათმა შთამომავლებმა უნდა შეასრულონ.

ამასთან, გიორგი ბარამიამ აფხაზეთიდან დევნილ ქართველ მოსახლეობასაც მიმართა. როგორც მან აღნიშნა, მიუხედავად იმისა, რომ მათ დაკარგეს ნათესავები, ახლობლები და საკუთარი კერები, არ დაუკარგავთ უმთავრესი — ღირსება და სამშობლოს სიყვარული. მან საერთაშორისო ორგანიზაციებსაც მოუწოდა, ხმა აიმაღლონ აფხაზეთში მიმდინარე მოვლენებზე, რათა გადარჩეს როგორც ქართველი, ისე აფხაზი ერი და რუსეთმა მათი საბოლოოდ გახლეჩა ვერ შეძლოს.

— ქართველთა შერიგების ხელი გამოწვდილია, ჯერი თქვენზეა აფხაზებო, ჩვენ ერთად უნდა ვიცხოვროთ ისეთ აფხაზეთში, სადაც იმეფებს ძმობა და სიყვარული, — დასძინა ბარამიამ. მან მიმართვა აფხაზურად დაასრულა.

აღნიშნული მიმართვის შემდეგ კი აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარემ ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულები: შალერი სიხარულია — ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხის ორდენით, ხოლო რევაზ ერქვანია — ვახტანგ გორგასლის მესამე ხარისხის ორდენით დააჯილდოვა. აღსანიშნავია რომ სოხუმის უნივერსიტეტის პროფესორს ტიტე მოსიას ღირსების ორდენი გადაეცა.

**მედიანიუსი**

## ანკარაში თურქულ-ქართულ-აზერბაიჯანული სამხედრო წვრთნები დაიწყო

თურქეთის ქვეითი ჯარების ანკარას საგანმანათლებლო-სასწავლო ცენტრში თურქულ-ქართულ-აზერბაიჯანული საშტაბო სწავლებები „უსასრულობა-2009“ დაიწყო.

სწავლებები კომპიუტერული მხარდაჭერით ხორციელდება. სწავლების მიზანია, ქვეყნებს შორის კოორდინაციის დახვეწა იმ შემთხვევისთვის, თუ მილსადენებს საფრთხე დაემუქრება.

სწავლებებში მონაწილეობენ 10 ქართველი, 19 თურქი და 13 აზერბაიჯანელი სამხედრო მოსამსახურე.

**მედიანიუსი**

## ქართველი დეპუტატები ამერიკაში გაემგზავრნენ

აშშ-ის წარმომადგენლობითი პალატის მიწვევითა და ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის ორგანიზებით ქართველი დეპუტატები ამერიკაში გაემგზავრნენ.

შეერთებულ შტატებში იმყოფებიან, კერძოდ, ხათუნა გოგორიშვილი, ზურაბ მელიქიშვილი, მურთაზ ზოდელავა, ირაკლი ქავთარაძე, გიორგი ახვლედიანი და გია თორთლაძე.

როგორც მათ ვიზიტთან დაკავშირებით პარლამენტში განმარტავენ, დეპუტატები აშშ-ში დემოკრატიის პარტნიორობის სასწავლო პროგრამის ფარგლებში გაემგზავრნენ.

**პირველი**

# ჩამოართმევენ თუ არა რუსეთს ხმის უფლებას?

ნანა მიშელაშვილი

**1 ოქტომბერს, ევროსაბჭოში ხმაურიანი სხდომა გაიმართება. როგორც ცნობილია, ამ დღეს ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში რუსეთისთვის ხმის უფლების ჩამორთმევის საკითხი განიხილება.**

დისკუსია რუსული დელეგაციის უფლებამოსილების საკითხთან დაკავშირებით 1 ოქტომბერს დილიდან დაიწყება. რამდენიმე კვირის წინ, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 72-მა დეპუტატმა ხელი მოაწერა ინიციატივას რუსეთისთვის ხმის უფლების ჩამორთმევის შესახებ, რაც აგვისტოს მოვლენებს უკავშირდება. ამ ინიციტივის ავტორებს მიაჩნიათ, რომ რუსეთმა არ შეასრულა ევროსაბჭოს რეზოლუციები და აღებული ვალდებულებები.

ევროსაბჭოში ქართულ დელეგაციას საკმაოდ მწვავე დებატები რომ ელის, ამის შესახებ დეპუტატები წინასწარ აცხადებენ. გუშინ ბიუროს სხდომაზე, პარლამენტის თავმჯდომარემ ამ საკითხზე განცხადება გააკეთა.

დავით ბაქრაძე იმედოვნებს, რომ ქართული დელეგაცია ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე წარმატებული იქნება. ბაქრაძემ ხაზი გაუსვა ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტ ლუის მარია დეპუჩის მიერ საქართველოს მიმართ გაკეთებულ განცხადებას.

— ევროსაბჭომ შარშან მიიღო რამდენიმე რეზოლუცია, სადაც პირდაპირ იყო დიალოგის პირობები განსაზღვრული. ეს არის ოკუპირებული ტერიტორიების დეოკუპაცია, დევნილთა დაბრუნება, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და ამ რეგიონების აღიარების უარყოფა. სამწუხაროდ, როგორც პრეზიდენტმა დეპუჩიმ დაადასტურა, არ იყო მზადყოფნა რუსეთის მხრიდან ამ ტიპის დიალოგზე. ეს ადასტურებს, რომ რუსეთის მხარის რიტორიკა, თითქოს მათ პრობლემა აქვთ მხოლოდ საქართველოს




ხელისუფლებასთან და ყველა სხვის მიმართ არიან გახსნილები, არ დასტურდება. მათ არ სურთ დიალოგი ევროსაბჭოს ასამბლეასთანაც, არც მის პრეზიდენტთან. რუსეთი მოძრაობს საერთაშორისო პოლიტიკური დინების წინააღმდეგ, — ასეთი განცხადება გააკეთა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ.

დავით ბაქრაძემ იმედი გამოთქვა, რომ ქართული დელეგაცია ევროსაბჭოში ამჯერადაც ისეთივე წარმატებული იქნება, როგორიც წინა სხდომების დროს იყო.

რაც შეეხება რუსულ მხარეს, მათი დელეგაციის წევრების რიტორიკა ისეთივეა, როგორიც აქამდე იყო. რუსეთის დელეგაციის წევრები მიიჩნევენ, რომ ევროსაბჭო რუსეთს ხმის უფლებას არ შეუჩერებს.

როგორ დასრულდება საკმაოდ მწვავე დებატები ევროსაბჭოში და რა გადაწყვეტილებას მიიღებს საპარლამენტო ასამბლეა, ეს 1 ოქტომბერს გაირკვევა.

## უდო-ს კომისია პირველ სხდომაზე 75 პატიმრის საქმეს განიხილავს

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა ე.წ. „უდო“-ს კომისიის შემადგენლობა წარადგინა.

კომისიის თავმჯდომარედ დიმიტრი შაშკინმა მისი მოადგილე ლევან ზარანდია დანიშნა. თავად სამინისტროს კომისიაში 6 წარმომადგენელი ეყოლება, პარლამენტის ქვოტით კი მის შემადგენლობაში უმრავლესობიდან — გია არსენიშვილი, ხოლო უმცირესობიდან დიმიტრი ლორთქიფანიძე იმუშავებენ.

რაც შეეხება არასამთავრობო სექტორს, განაცხადი 20-მდე კანდიდატს ჰქონდა შეტანილი, რომლიდანაც კომისიის წევრად მინისტრმა ნინო მესტუმრიშვილი დაასახელა.

არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლის კანდიდატურა კომისიაში სამი თვის შემდეგ შეიცვლება.

კომისიის პირველი სხდომა ორ დღეში გაიმართება და ვადაზე ადრე გათავისუფლების მსურველი 75 პატიმრის საქმეს განიხილავს.

შეგახსენებთ, რომ „პატიმრობის შესახებ“ კანონში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე როგორც სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მუდმივმოქმედი კომისიის არსებობის ადგილი და ფორმატი, ასევე კომისიაში შემავალ პირთა წრე შეიცვალა. კერძოდ, კომისიაში 9 წევრი შევა, რომელთაგან 6 სამინისტროს წარმომადგენელი იქნება, დარჩენილ სამ ადგილს კი დეპუტატების და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები როტაციის პრინციპით დაიკავებენ, რომელიც სამ თვეში ერთხელ განხორციელდება. როგორც ცნობილია, აღნიშნული კანონი ძალაში მიმდინარე წლის 1 სექტემბერს შევიდა.

პირველი

## გუდაური-სტეფანწმინდა-ლარსის მონაკვეთზე ავტომობილების მოძრაობა შეიზღუდა

თბილისი-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის გუდაური-სტეფანწმინდა-ლარსის მონაკვეთზე დიდთოვლობის გამო ავტომობილების მოძრაობა შეიზღუდა.

როგორც „მედიანიუსს“ საავტომობილო გზების დეპარტამენტის გზების ადმინისტრირების სამმართველოს უფროსმა ნუგზარ გასვიანმა განუცხადა, აღნიშნულ ტერიტორიაზე თოვა გუშინ შუადღისას დაიწყო და ამ დრომდე გრძელდება. ბოლო ინფორმაციით, ყაზბეგში თოვლის საფარმა 20-25 სანტიმეტრს მიაღწია.

მისივე თქმით, გუდაური-სტეფანწმინდა-ლარსის მონაკვეთზე გაწმენდითი სამუშაოები ინტენსიურად მიმდინარეობს. მისაბმელიანი, ნახევრადმისაბმელიანი და 30 ადგილზე მეტი ტევადობის ავტობუსების მოძრაობა აკრძალულია, მაღალ განვლადობის ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია, ხოლო დანარჩენი სახის ტრანსპორტის გადაადგილება მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების მეშვეობით არის ნებადართული.

ნუგზარ გასვიანის თქმით, სექტემბრის მიწურულისათვის დიდთოვლობის გამო ავტოტრანსპორტის მოძრაობის შეზღუდვა უჩვეულოა, რადგან გზებზე მოძრაობის საგანგებო რეჟიმი უმთავრესად ნოემბრიდან წესდება ხოლმე.

მედიანიუსი

## ძლიერი წვიმების შედეგად ლაგოდეხი დაიტბორა

ძლიერი წვიმების შედეგად ლაგოდეხის რაიონის სოფლებში გიორგეთსა და კაბალში სასოფლო სამეურნეო სავარგულები დაიტბორა. ადიდებული მდინარე კაბალიდან წყალი ქუჩებში მიედინება.

როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი წვერავამ განუცხადა, არსებობს საფრთხე იმისა, რომ რომ მდინარიდან გადმოსული წყალი კაბალის და გიორგეთის მოსახლეობას საცხოვრებელ სახლებში შეუვარდეს.

თითქმის ყველა მდინარეა ადიდებული ყვარლის რაიონშიც.

მედიანიუსი

## „მზიურში“ დაღუპულ ჟურნალისტთა ხეივანი შეიქმნა

ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარის ჰამლეტ გეგიას განცხადებით, ომში დაღუპულ ჟურნალისტთა ხეივნის გახსნასთან დაკავშირებით, ქართული ტელევიზიებით არასწორი ინფორმაცია გავრცელდა.

მისი თქმით, გუშინ ტელევიზიებით გაშუქდა თითქოს „მზიურში“ ჟურნალისტ საშა იოსელიანის ძეგლი დაიდგა, სინამდვილეში ეს ხეივანი უფრო დიდი დატვირთვისაა და პროფესიული მოვალეობის შესრულებისას დაღუპული ყველა ჟურნალისტის ხსოვნის საპატივსაცემოდ შეიქმნა.

— ნოდარ დუმბაძის გადასვენების შემდეგ „მზიურმა“ მან ახალი ფუნქცია შეიძინა. „მზიურში“ გახსნილ ხეივანში ომში დაღუპული ქართველი და უცხოელი ჟურნალისტების სახელები ამოიტვიფრა. ეს კომპლექსი მომავალში უფრო დიდ დატვირთვას შეიძენს და ჟურნალისტური მუზეუმიც გაიხსნება. ამასთან, დაგეგმილია დამსახურებული ჟურნალისტების ვარსკვლავების გახსნაც, — განუცხადა „მედიანიუსს“ ჰამლეტ გეგიამ.

მისივე თქმით, მათი კავშირი მომავალში ჟურნალისტთა დაზღვევის პროგრამის შექმნაზეც იმუშავებს.

მზიურში გახსნილ ჟურნალისტთა ხეივანში კონფლიქტებსა და ომებში დაღუპული 15 ჟურნალისტის გვარი და სახელი ამოიტვიფრა. ესენი არიან: ავთანდილ ადანაია, ხუტა ახალაია, დავით ბოლქვაძე, გულიკო გოდოლაძე, ალექსანდრე თათალა, ალექსანდრე იოსელიანი, ალექსანდრე ტარაპეტიანი, ალექსანდრე კარტოზია, გურამ მგალობლიშვილი, გიორგი პოპიაშვილი, ფილლიპ ჟელესი, პავლე ძიძიგური, გიორგი ჭანია, ალექსანდრე კლიმჩუკი, გიორგი ჩიხლაძე და სტანს სტორიმანი.

მედიანიუსი

## ოფიციალური თბილისი ანგელა მერკელს არჩევნებში გამარჯვებას ულოცავს



ოფიციალური თბილისი გერმანიის კანცლერს ანგელა მერკელს არჩევნებში გამარჯვებას ულოცავს.

— გვინდა, გერმანიის კანცლერს მეორედ გამარჯვება მივულოცოთ და წარმატება ვუსურვოთ. ქართული მხარე იმედოვნებს, რომ ორ ქვეყანას შორის არსებული სამაგალითო და ნაყოფიერი თანამშრომლობა გაგრძელდება და კიდევ უფრო გაძლიერდება, — განაცხადა დღევანდელ ტრადიციულ პრეს-კონფერენციაზე საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ დავით ჯალაღანიამ.

შეგახსენებთ, რომ ანგელა მერკელმა გერმანიის კანცლერის არჩევნებში ხმათა 74% მიიღო. მერკელი გერმანიის კანცლერად მეორე ვადით აირჩიეს.

პირველი

## მოსახლეობისათვის საშეშე მერქანი ხელმისაწვდომი იქნება

საქართველოს რეკგიონების მოსახლეობას დამდეგ ზამთარს საშეშე მერქნის მოპოვებისას პრობლემები არ შეექმნება.

როგორც „მედიანიუსს“ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სატყეო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ, ვანო ჯანუყაშვილმა განუცხადა, მოსახლეობისათვის ტყეკაფების გამოყოფის პროცესი ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე დასრულდა.

ტყეების ინვენტარიზაციის შემდეგ, საქართველოს მასშტაბით სულ 500 000 კვადრატული მეტრი ტერიტორია გამოიყო, სადაც ხეების მოჭრა გარემოსათვის ზიანის მიუყენებლად შეიძლება. მისივე თქმით, ადგილობრივ მკვიდრთა სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებით, საშეშე მერქანი ყველასათვის ხელმისაწვდომი იქნება. კერძოდ, ერთი კუბური მეტრი საშეშე მერქნის ფასი 2-დან 4 ლარამდე მერყეობს. ღირებულება ხის სახეობაზეა დამოკიდებული. წიწვოვანი მცენარის მექრანი ფოთლოვან მცენარისაზე იაფი ღირება.

მედიანიუსი

## ყაზბეგის რაიონი ელექტროენერგიის გარეშეა დარჩენილი

ყაზბეგის რაიონში მოსული ძლიერი თოვლის გამო თითქმის მთელ რაიონს (1900 აბონენტს) დენი არ მიეწოდება, — აცნობეს „მედიანიუსს“ კომპანია ენერგო პრო-ჯორჯიადან.

დიდთოვლობამ დააზიანა ელექტროენერგიის გადამცემი ხაზები და გამოიწვია ს.ს. ენერგო-პრო ჯორჯიას საკუთრებაში არსებული 4 ფიდერის გათიშვა. უამინდობის გამო, დენი არ მიეწოდება ასევე მარნეულის 3 000 და წალკის 4 000 აბონენტს.

მიუხედავად იმისა, რომ აღდგენითი სამუშაოების წარმოებას აფერხებს რთული კლიმატური პირობები, ს.ს. ენერგო-პრო ჯორჯიას სპეციალისტები გადავიდნენ მუშაობის საგანგებო რეჟიმში და სავარაუდოდ, დღის ბოლომდე შეძლებენ გათიშული აბონენტების დიდი ნაწილის ენერგომომარაგების აღდგენას.

მედიანიუსი

## უამინდობის გამო მარნეულისა და წალკის რაიონების ნაწილს ელექტროენერგიას არ მიეწოდება

უამინდობის გამო მარნეულისა და წალკის რაიონების ნაწილი ელექტროენერგიის გარეშე არის დარჩენილი. როგორც "მედიანიუსს" კომპანია ენერგო-პრო ჯორჯიას საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში განუცხადეს, ელექტროენერგია მარნეულის 3.000 და წალკის 4.000 აბონენტს არ მიეწოდება. აღნიშნულ რაიონებში ამ დრომდე თოვს და ძლიერი ქარი ქრის.

კომპანიიის ცნობით, სპეციალისტები საგანგებო რეჟიმით მუშაობენ და თუ მათ ამინდმაც შეუწყო ხელი, სავარაუდოდ, დღის ბოლოსთვის აბონენტთა დიდი ნაწილისათვის ენერგომომარაგების აღდგენას შეძლებენ.

მედიანიუსი

## სტიქიამ თელავის რაიონი დააზარალა

გუშინ მოსულმა ძლიერმა წვიმამ, თელავის რაიონის სამ სოფელს სერიოზული ზარალი მიაყენა. სოფელ ფშაველში მდინარე სტორი კალაპოტიდან გადმოვიდა და სასმელი წყლის ცენტრალური მაგისტრალი დააზიანა. ამ დროისთვის სოფელს სასმელი წყალი არ მიეწოდება.

ამასთან, ლაფანყურში მდინარე სტორი ხიდს ბურჯი გამოაცალა და გზა ჩამოშალა. იქ საავტომობილო მოძრაობა შეზღუდულია.

რაც შეეხება სოფელ შალაურს, აქ მხოლოდ სასმელი წყლის სათავე ნაგებობაა დაზიანებული. რადიო „ჰერეთთან“ საუბრისას თელავის გამგებლის მოადგილე დავით ქსოვრელიშვილი აცხადებს, რომ სპეციალური კომისია უკვე მუშაობს, რომელიც ზარალს ითვლის.

მედიანიუსი

# ირაკლი დოკვაძეს 30-წლიანი ციხე ემუქრება

დასაწყისი მე-4 გვერდზე

გამოაცხადეს, რომ მას ძალიან დიდი სურვილი აქვს, პროცესზე მოვიდეს.

ბრალდებულის დაცვამ დააყენა შუამდგომლობა მოწმე მაისურაძის დაკითხვის თაობაზე. როგორც ირკვევა, ირაკლი დოკვაძემ გოჩა კვირჭიშვილის სახლიდან გამოსვლის შემდეგ სხვაგან გაიარა, შემდეგ კი მის მეგობარ მაისურაძესთან სამსახურში მივიდა.

ირაკლი დოკვაძე მაისურაძესთან ხშირად მიდიოდა და იმ დღესაც სამსახურში მიაკითხა. მაგრამ მოსამართლემ მაისურაძის დაკითხვაზე უარი განაცხადა. ირაკლი დოკვაძე მაისურაძესთან 5-10 წუთს გაჩერდა. მაისურაძის ჩვენება არსებობს საქმეში, რაც ბრალდებამ პირველი ბრალის წაყენების დროს ბრალდების მტკიცებულებად გამოიყენა, თუმცა ახლა სასამართლო მის დაკითხვაზე უარს ამბობს. მიზეზი საქმის გაჭიანურებაა.

გასაკვირი ისაა, თუ ბრალდების მხარეს ირაკლი დოკვაძისთვის ბრალის სამტკიცებლად გამოყენებული ჰქონდა მაისურაძის ჩვენება, ახლა რატომაა მისი დაკითხვის წინააღმდეგი?

**ლუნა ჯიჯელავა:**

— მაისურაძის ჩვენებით, ირაკლი დოკვაძის უდანაშაულობა დასტურდება. მაგრამ რატომღაც ბრალდების მხარემ მისი ჩვენება ბრალდების ერთ-ერთ მტკიცებულებად გამოიყენა. თვით პატიმრობის ვადის გაგრძელების დროს, მოსამართლემ თქვა, რომ დოკვაძის მიერ „ჩადენილ“ დანაშაულ ადასტურებენ მოწმეების მაისურაძის, გაბუნიას ჩვენები და სხვა მტკიცებულებებიო. მაგრამ ამ ეტაპზე მოსამართლემ რატომღაც გამორიცხა მაისურაძის მოწმედ დაკითხვა, დასაკითხთა სიიდან საერთოდ ამოიღო. რადგან ახლა დოკვაძეს მძიმე ბრალდება წაეყენა, ჩვენთვის მნიშვნელოვანია მაისურაძისა და დოკვაძის შეხვედრის მომენტი. საინტერესოა, აღელვებული იყო, თუ არა. ამის მოწმეა მაისურაძე. მაისურაძეს შეუძლია რაღაც ისეთი გამოკვეთოს საქმეში, რომელიც ხელსაყრელი იქნება საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დასადგენად. მაგრამ ბრალდების მხარემ მაისურაძე რატომღაც დასაკითხთა სიაში არ შეიყვანა.

მაისურაძე არის მთავარი მოწმე. თუკი მართლა ირაკლი დოკვაძემ ჩაიდინა ეს დანაშაული და გამოვიდა დანაშაულის ადგილიდან, მაისურაძეა იმის მოწმე, როგორ იქცეოდა დღეს ბრალდებულად ცნობილი პირი. მაისურაძეს შეუძლია თქვას, ეს ადამიანი რა მდგომარეობაში იყო იმ დროს, რაზე საუბრობდა, როგორ გამოიყურებოდა, იყო თუ არა რაიმე ისეთი ნიშანი, რაც გვაფიქრებინებს, რომ ამ კაცს შეიძლებოდა ჩაედინა დანაშაული.

როგორც ირკვევა, წინასწარ გამოძიებაში კვირჭიშვილს ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებები აქვს მიცემული. ის ორჯერაა დაკითხული. პირველი დაკითხვისას განაცხადა, რომ არ ახსოვს, ვინ დაარტყა, თუმცა ალბათობით ამბობს, ალბათ ირაკლი იქნებოდა, რადგან ირაკლის მეტი სხვა არავინ ყოფილაო. მეორე დაკითხვისას უკვე ახსოვს, რომ ერთხელ ჩაარტყა, გონება არ დაუკარგავს, მეორედ ჩაარტყა, გონება არ დაკარგავს, კიდევ ჩაარტყა არ დაუკარგავს, მეუღლეს რომ ჩაარტყა, მაშინაც ესმოდა ხმა, არ დაუკარგავს გონება.

გამოძიება საბრალდებო დასკვნაში მიუთითებს, რომ ბრალდებას დამამძიმებელ გარემოებად მიაჩნია ირაკლი დოკვაძის წარსულში ნასამართლობა და რეაბილიტირება, რომ ირაკლი დოკვაძე რეაბირიტირებულია 67-ე მუხლის პირველი ნაწილით. რატომ არის რეაბილიტაცია დამამძიმებელი გარემოება, გაუგებარია. ამას ვერც ბრალდებულის ადვოკატები ხსნიან და ეს აბსურდად მიაჩნიათ.

არის კიდევ ერთი მომენტი — ირაკლი დოკვაძემ გოჩა კვირჭიშვილს მანქანა 2007 წლის დეკემბერში დაუბრუნა. ბრალის ფაბულაში წერია, რომ ირაკლი დოკვაძემ კვირჭიშვილს მანქანა 2008 წელს დაუბრუნა.

— ირაკლიმ შენიშნა, რომ 2008 წელი კი არა, 2007 წელი იყოო. ამ სიყალბით უნდათ ამტკიცონ, რომ ირაკლი განაწყენებული იყო. სინამდვილეში ირაკლი დოკვაძემ კვირჭიშვილს 2007 წლის დეკემბერში დაუბრუნა მანაქანა და დიდი დრო — წელიწადნახევარზე მეტი იყო გასული. გარდა ამისა, წერენ, თითქოს დანაშაული შელაპარაკების ნიადაგზე მოხდა. ამ დროს გოჩა კვირჭიშვილი ამბობს, ფანჯარაში ვიდექი და უცებ თავში რაღაც მომხვდაო. სად არის აქ ურთიერთშელაპარაკება? საიდან მოიტანა ბრალდებამ, რომ იქ ურთიერთშელაპარაკება მოხდა? ტყუილ ვერსიებს ავითარებენ. მაგრამ რაც უფრო მეტ ტყუილს იტყვი, უფრო მეტად გამოგიჩნდება კუდი, — ამბობს ადვოკატი.

# რუსეთის შეშინება მხოლოდ ეკონომიკური სანქციებით შეიძლება

გერა მამულაშვილი

**გასული წლის აგვისტოს ომზე ტალიავინის მისიის 900-გვერდიანი საგამოძიებო დასკვნა ხვალ, 30 სექტემბერს გამოქვეყნდება. „უოლ-სტრიტ-ჟორნალი" საგამოძიებო მისიის წყაროზე დაყრდნობით წერს, რომ დასკვნა პასუხისმგებლობას ორივე მხარეს — მოსკოვსა და თბილისს დააკისრებს. გამოცემა ასევე წერს, რომ თბილისმა გასულ პარასკევს მისიის ხელმძღვანელს ჰაიდი ტალიავინს ახალი დოკუმენტი გაუგზავნა, რომელიც რუსეთში ქურდობაზე დაჭერილი ჯარისკაცის სასამართლო პროცესის ჩანაწერებს შეიცავს. ჩანაწერების თანახმად, ჯარისკაცი ე.წ. სამხრეთ ოსეთში 4 აგვისტოს გააგზავნეს, ანუ საომარი მოქმედებების დაწყებამდე სამი დღით ადრე.**

„საქართველოს მიაჩნია, რომ ეს ჩანაწერები ამყარებს მის ვერსიას, რომლის თანახმადაც რუსულმა ძალებმა სამხრეთ ოსეთში კონცენტრირება იერიშის მოსამზადებლად ომამდე დაიწყეს", — წერს „უოლ-სტრიტ-ჯორნალი". სტატიაში ასევე აღნიშნულია, რომ საგამოძიებო კომისიამ როგორც იქნა, მოახერხა რუსული სამშვიდობო ძალების ყოფილი მეთაურის, მარატ კულახმეტოვის დაკითხვა. კულახმეტოვი, რომელიც ომის შემდეგ საჯაროდ არ გამოჩენილა, 17 სექტემბერს რუსულ დელეგაციას ჟენევის დისკუსიებზე ახლდა.

ევროკავშირის ეგიდით აგვისტოს ომზე ჩატარებული გამოძიების შედეგები გაეროს, ეუთოს, ევროკავშირს, ასევე რუსეთისა და საქართველოს მთავრობებს გადაეცემა. თავდაპირველად დასკვნის გამოქვეყნება ივლისის ბოლოს იგეგმებოდა, თუმცა, ეს პროცესი სექტემბრის ბოლომდე გახანგრძლივდა.

***„ახალ თაობასთან" ინტერვიუში პოლიტოლოგი ვახტანგ ხმალაძე აცხადებს, რომ ძალიან მნიშვნელოვანია კომისიის მხრიდან პასუხისმგებლობის რა ხარისხი დაეკისრებათ მხარეებს. მისივე თქმით, არანაკლებ მნიშვნელოვანია ამ შეფასებებს რა კონკრეტული მოქმედებები მოჰყვება ევროპული სახელმწიფოების და ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან. ხმალაძე აცხადებს, რომ რუსეთის მოქმედების პოლიტიკური შეფასების გარდა, მის მიმართ ეკონომიკური სანქციების დაწესებაც არის აუცილებელი.***

***— რა შეფასებებს უნდა ველოდოთ ჰაიდი ტალიავინის მისიის საგამოძიებო დასკვნაში?***

— სანამ ეს დასკვნა არ გამოქვეყნდება და საბოლოო დოკუმენტი არ დაიდება, მანამდე ძალიან ძნელია ვთქვათ, თუ რა შედეგები შეიძლება ამ ყოველივეს მოჰყვეს. უბრალოდ, შეუძლებელია ამაზე რაიმე კონკრეტულის თქმა და მხოლოდ ვარაუდების დონეზეა შესაძლებელი პოზიციების დაფიქსირება. ამიტომ მარჩიელობა არ ღირს და აჯობებს ორი დღეც მოვიცადოთ.

***— წინასწარი შეფასებების მიხედვით, ზოგადად რა შინაარსის იქნება ეს დოკუმენტი?***

— თითო-ოროლა გამოჟონილი ინფორმაციების გარდა, რომლებიც, თავის მხრივ, ღმერთმა უწყის, მართალია თუ არა, ჯერჯერობით არაფერი ცნობილი არ არის. ძალიან მნიშვნელოვანი იქნება ის, თუ რა მასალები ექნება კომისიას დადგენილი უკვე უტყუარი ფაქტების სახით. და შემდგომ უკვე ამ ფაქტებზე დაყრდნობით, რა დასკვნები იქნება გაკეთებული. მოგეხსენებათ, ერთი და იმავე ფაქტებზე თუ მიუკერძოებელი არ ხარ, შესაძლებელია სხვადასხვა სახის დასკვნები დაიდოს.



***— თუმცა, წინასწარი შეფასებები მაინც კეთდება; დღევანდელი „უოლ-სტრიტ-ჯორნალი" წერს, რომ საგამოძიებო კომისიის დასკვნა ფაქტობრივად ორივე მხარეს დააკისრებს მომხდარზე პასუხისმგებლობას; თუ მართლაც ასეთი სურათი დაიდება, ამას რა გავლენა ექნება დღევანდელ სტატუს-კვოზე?***

— მოსალოდნელი მართლაც ის არის, რომ ორივე მხარეს დაეკისრება პასუხისმგებლობა იმაზე, რაც გასული წლის აგვისტოში მოხდა. ძალიან მნიშვნელოვანია თუ როგორი იქნება ამ პასუხისმგებლობის ხარისხი, კომისიის მხრიდან დაკისრებული. ანუ ვინ უფრო მეტად და ვინ უფრო ნაკლებად და რაში არის დამნაშავე; ვინ რაში არ მოიქცა სწორად და ა.შ. და უკვე მოსალოდნელ შედეგებსაც აქედან გამომდინარე უნდა ველოდოთ. თუმცა, ერთი რამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ერთი მხარე არის რუსეთი და სწორედ მისი მოქმედებები იქნება შეფასებული. და ისიც გავითვალისწინოთ, თუ როგორია დღეს იმავე ევროპის სახელმწიფოების დამოკიდებულება რუსეთის მიმართ.

ჩვენ ვართ იმის მომსწრენი და მოწმენი, რომ არაერთგზის რუსეთის მოქმედებების შეფასება მკვეთრად უარყოფითად მომხდარა, მაგრამ ამის იქით ევროპის სახელმწიფოები აღარ წასულან. ანუ რაიმე კონკრეტული მოქმედება ევროპული სახელმწიფოების მხრიდან რუსეთის არასწორ მოქმედებაზე, უბრალოდ არ ყოფილა. ჩვენ ეს აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ.

ამიტომ ტალიავინის კომისიის დასკვნის შემდეგ შეგვიძლია ვივარაუდოთ, როგორი იქნება ეს რეაქცია, ანუ ზოგადი შეფასება; მაგრამ ძალიან ძნელი იქნება ვთქვათ, თუ რა კონკრეტული მოქმედებები მოჰყვება ამას ევროპის სახელმწიფოების და იმავე გაეროს მხრიდან. ამის შეფასება დღეს საკმაოდ რთული საქმეა.

***— წმინდა სამართლებრივი თვალსაზრისით ალბათ შეუძლებელია არ შეფასდეს 900 გვერდიან დოკუმენტში რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ღია ოკუპაცია და ანექსია; დაიდება თუ არა ამ დოკუმენტში გარკვეული რეკომენდაციები და მექანიზმები, რომ მხარეებმა სტატუს-ქვოდან გამოსვლა დაიწყონ?***

— ჯერ არ ვიცით, კონკრეტულად რა დაიწერება ამ დოკუმენტში. შეიძლება იგი იყოს ძალიან მკვეთრიც და შეიძლება ასეთი არც იყოს; ადრეც ყოფილა მსგავსი შემთხვევები, კომისიები შექმნილა და შესაბამისი დოკუმენტები და შეფასებებიც დადებულა. შეფასებები შეიძლება იყოს ძალიან განსხვავებული; ვინაიდან აქ გარდა საკითხის სამართლებრივი მხარისა, ძალიან მნიშვნელოვან როლს საერთო-პოლიტიკური სიტუაცია თამაშობს და ის, თუ ვინ არიან შეფასების ადრესატი ქვეყნები.

თუ შეფასების მონაწილე ქვეყნები შედარებით სუსტი ქვეყნებია, ნაკლები გავლენის მქონე სახელმწიფოებია, მათ მიმართ დასკვნები, როგორც წესი, უფრო თამამად იწერება ხოლმე და თუ კონფლიქტის მონაწილენი არიან ის სახელმწიფოები, რომლებიც მნიშვნელოვან როლს თამაშობენ მსოფლიო პოლიტიკურ პროცესებში, მათ მიმართ პირიქით, უფრო ფრთხილი დასკვნები იწერება ხოლმე. ეგ არის და ეგ; და აქ კიდევ ვნახოთ, რა იქნება.

***— რაც შეეხება რუსეთზე ზემოქმედებას, სტრასბურგში ევროსაბჭოში რუსული დელეგაციისთვის ხმის უფლების ჩამორთმევის საკითხი განიხილება. ექნება თუ არა ამ ნაბიჯს რაიმე ქმედითი გავლენა კრემლის დღევანდელ რეალპოლიტიკაზე?***

— ამაზე ზუსტი პასუხის გაცემა გამიჭირდება; ვინაიდან ჩვენ ძალიან ხშირად ვყოფილვართ იმის მოწმენი, რომ ასეთ რეაქციებს ევროსაბჭოს, თუ გაეროს მხრიდან რუსეთი არ აქცევს ყურადღებას. ერთი ყურიდან შეუშვებს და მეორიდან გამოუშვებს ხოლმე და ისევ აგრძელებს იმის კეთებას, რასაც მანამდე აკეთებდა ხოლმე.

ამჯერადაც ვფიქრობ, რომ უფრო ეს არის მოსალოდნელი. ვინაიდან იგივე ხმის უფლების ჩამორთმევით რუსეთი მხოლოდ პოლიტიკურ დარტყმას იღებს. მაგრამ ამით მორჩა, რუსეთი მეტს არაფერს იღებს.

ანუ რუსეთზე შეიძლება გავლენა იქონიოს უფრო ისეთმა ნაბიჯებმა და ისეთმა სანქციებმა, როგორიცაა, მაგალითად, გარკვეული ტიპის ეკონომიკური სანქციები. ან ვთქვათ, სხვა ისეთი ნაბიჯები, რომლებმაც შეიძლება არა მარტო პოლიტიკური, არამედ მატერიალური ზარალიც მიაყენოს რუსეთს. მაგრამ აქ ჩვენ კარგად ვიცით, რომ ევროპა ჯერ კიდევ ძალიან დიდად არის დამოკიდებული რუსეთზე, ენერგორესურსების თვალსაზრისით; და შესაბამისად ნაკლებად მოსალოდნელია, რომ მათ სერიოზული სანქციები გამოიყენონ რუსეთის მიმართ.

***— რუსეთის ოპოზიციის ერთ-ერთმა ლიდერმა, ყოფილმა პრემიერმა მიხაილ კასიანოვმა ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში რუსეთისთვის ხმის უფლების ჩამორთმევას მხარი დაუჭირა; კასიანოვი მოითხოვს გაუქმდეს დოკუმენტი, რომლითაც რუსეთმა ე.წ. სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის დამოუკიდებლობა აღიარა; რამდენად ახდენს გავლენას ამ ტიპის გამოსვლები დღევანდელ ევროპულ საზოგადოებრივ აზრზე?***

— ეს პოლიტიკური თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანი განცხადებებია. ეს ძალიან მნიშვნელოვანია იმიტომაც, რომ დღეს რუსეთს ბრალი ედება აგრესიაში, სხვა სახელმწიფოს ტერიტორიების ოკუპაციაში, საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევაში; ამ შემთხვევაში რუსეთი ამბობს, რომ არაფერი დაურღვევია და იმოქმედა საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად და ამ დროს თავად რუსეთში მოქმედი გავლენიანი რუსი პოლიტიკოსი აცხადებს, რომ ეს ასე არ არის და რომ რუსეთის ხელისუფლებამ დაარღვია ის საერთაშორისო წესები, რის მიხედვითაც უნდა მოქმედებდნენ და ცხოვრობდნენ სახელმწიფოები; კასიანოვის ეს განცხადება, რა თქმა უნდა, მოქმედებს უცხოელი პოლიტიკოსების იმ ნაწილში, რომლებიც ყოყმანობდნენ ფიქრობდნენ, რომ რუსეთი მთლად ასე დამნაშავე არ არის. როცა უკვე გავლენიანი რუსი პოლიტიკოსი აკეთებს ასეთ განცხადებებს, ბუნებრივია, რომ მათზე ასეთი რამ იმოქმედებს.

ანუ რუსეთის მოქმედების ღია კრიტიკული შეფასება თავად რუსი პოლიტიკოსის მხრიდან, ეს არის საკმაოდ მნიშვნელოვანი ზოგადად საერთაშორისო ფონის შესაქმნელად.

***— სოხუმის დაცემიდან თექვსმეტ წლისთავზე როგორ გამოიყურება დღეს ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პერსპექტივები?***

— ძალიან რთულად და ბევრად უფრო რთულად, ვიდრე ეს თუნდაც გასული წლის პირველ ნახევარში იყო. და ძალიან ფრთხილი, სწორი და მიზანმიმართული მოქმედებაა საჭირო ჩვენი მხრიდან იმისთვის, რომ ეს მდგომარეობა ნაბიჯ-ნაბიჯ გამოსწორდეს. შეიქმნას ისეთი პირობები, რომლებიც საშუალებას მოგვცემს გავაერთიანოთ ქვეყანა. სწრაფად და ადვილად ეს ვერ მოხდება. მაგრამ არასწორი მოქმედებების შემთხვევაში კიდევ უფრო გაუარესდება არსებული მდგომარეობა.

***— როგორ ნაბიჯებს დგამს ამ მხრივ დღევანდელი ხელისუფლება?***

— მე ვერ ვხედავ რაიმე გეგმაზომიერ ნაბიჯებს, რომლებმაც არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებას შეიძლება ხელი შეუწყოს. უპირველეს ყოვლისა მხედველობაში მაქვს ქვეყანაში არსებული შიდა მდგომარეობა. შიდა პოლიტიკა და დემოკრატიის ხარისხი, რომელიც დღეს უაღრესად დაბალია. ამის გაუმჯობესებას და გაუმჯობესებისკენ ნაბიჯებს ვერ ვხედავ; და თუ ეს არ მოხდა, მაშინ შეუძლებელია საქართველოში ისე აეწყოს ქვეყნის ცხოვრება, რომ ის სასურველი გახდეს ვინმესთვის.

***— დაბოლოს, საქართველოში ამერიკული სამხედრო ბაზების შესაძლო განლაგება რამდენად დადებითად წაადგება ამ პროცესს?***

— ცალკე ამის შეფასება უბრალოდ შეუძლებელია; თუ არ იქნა იგი უფრო ზოგად კონტექსტში განხილული, ანუ ბაზების განლაგებასთან ერთად, კიდევ სხვა რა ნაბიჯები იქნება გადადგმული. თორემ თუ მხოლოდ სამხედრო ბაზების განლაგება მოხდა და სხვა მხრივ რაღაცნაირად უსაფრთხოების უზრუნველყოფის ზომები მიღებული არ იქნა, ჩემი აზრით, მხოლოდ ბაზების განლაგება კარგს არაფერს მოგვცემს.


## X-XIII საუკუნის ხობის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი



აქ მოღვაწე ბერებმა საქართველოს შემოუნახეს კვართი ყოვლადწმიდა ღვთისმშობელისა, წმიდა ნაწილები, წმ. თამარ მეფის გულსაკიდი ჯვარი და სხვა სიწმიდეები.

გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს.

ფოთისა და ხობის მიტროპოლიტის გრიგოლის ლოცვა-კურთხევით დაიწყო ტაძრის რესტავრაცია.

დარეკეთ ჯეოსელიდან, ბილაინიდან და მაგთიდან ნომერზე 700 607 და შეეწიეთ ამ წმიდა საქმეს.

ზარის ღირებულებაა 1 ლარი.

ინფორმაციისათვის დარეკეთ
895 955 129

ს.ს. „სახალხო ბანკი"-ს ხობის ფილიალი, ბანკის კოდი: 220101465. მიმღები ღვთისმშობლის ხარების სახელობის დედათა მონასტერი.

ანგ.№ 36010892


## დონეცკში საქართველოს ორი მოქალაქე დააკავეს

უკრაინელმა სამართალდამცავებმა დონეცკში საქართველოს ორი მოქალაქე დააკავეს, რომელიც ავტომანქანის გატაცებაში არიან ეჭვმიტანილნი.

ადგილობრივი მილიციის ინფორმაციით, 1960 წელსა და 1979 წელს დაბადებულმა საქართველოს მოქალაქეებმა 2009 წლის 5 მაისს გაიტაცეს დახურული სააქციო საზოგადოების კუთვნილი „გაზელის" მარკის მიკროავტობუსი. მილიციელებმა „გაზელი" მფლობელს დაუბრუნეს.

მედიანიუსი

## მოსკოვში ხასავიურტის რაიონის ხელმძღვანელი მოკლეს

27 სექტემბერს მოსკოვში დაღესტანის ხასავიურტის რაიონის ხელმძღვანელი ალიმსულთან ალტახანოვი მოკლეს. რუსული მედიის ინფორმაციით, ოთხმა უცნობმა პირმა ავტომატებით დაცხრილა ალტახანოვი და მისი მცველი. ხასავიურტის რაიონის ხელმძღვანელი საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა, მცველი კი, გადარჩა.

ადგილობრივმა მილიციამ დააკავა „მიცუბიშის" მარკის ავტომანქანის მძღოლი, რომელმაც ქილერები მკვლელობის ადგილზე მიიყვანა. სამართალდამცავებმა მანქანიდან ამოიღეს ორი „კედრისა" და ერთი „კალაშნიკოვის" ტიპის ავტომატები.

მედიანიუსი


## მეტალურგიული და სამთო მრეწველობის მუშაკთა პროფესიული კავშირის

განცხადება

გაცნობებთ, რომ 2009 წლის 13 ოქტომბერს გაიმართება მეტალურგიული და სამთო მრეწველობის მუშაკთა პროფესიული კავშირის რიგგარეშე ყრილობა.

მისამართი: ქალაქი რუსთავი, გაგარინის ქ.12.

დღის წესრიგი:

1. **პროფკავშირის კომიტეტის ანგარიში;**
2. **სარევიზიო კომისიის ანგარიში;**
3. **არჩევნები: ა. პროფკავშირის კომიტეტისა; ბ. სარევიზიო კომისიისა.**

მეტალურგიული და სამთო მრეწველობის მუშაკთა პროფესიული კავშირის გამგეობა


## დაღესტანში მილიციის მაღალჩინოსანი მოკლეს

დაღესტანში ადგილობრივი შსს-ს სისხლის სამართლის სამძებროს სამმართველოს უფროსის მოადგილე, მილიციის პოდპოლკოვნიკი ალიმ-სულთან ატუევი მოკლეს. ატუევთან ერთად მოკლეს მისი დისშვილი, მილიციის ლეიტენანტი აბდულა მაგომედგაზიევი. რუსული მედიის ცნობით, მკვლელობა ყიზილიურტას რაიონის სოფელ მიათლიში მოხდა. სამმა უცნობმა პირმა მილიციელები ავტომატური იარაღით დაცხრილა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. ატუევის მკვლელობის ერთ-ერთი ვერსია მისი პროფესიონალური საქმიანობაა. ის ყიზილ-იურტას რაიონში ბანდიტიზმთან ბრძოლას კურატორობდა.

მედიანიუსი

# „ჩვენებურები“ ოქტომბერში მეშვიდედ ჩატარდება

ეკა ირემაშვილი

საერთაშორისო ფესტივალი „ჩვენებურები“ წელს უკვე მეშვიდედ ოქტომბრის დასაწყისში გაიმართება. „ჩვენ არც ისე ბევრნი ვართ, რომ ერთმანეთს ხმა ვერ მივაწვდინოთ“, — ასეთია ფესტივალის დევიზი.

„ჩვენებურები“ 2004 წელს კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ აკურთხა. ფესტივალის პრეზიდენტი გიული ალასანიაა, სამხატვრო ხელმძღვანელი — ანზორ ერქომაიშვილი, ხოლო საორგანიზაციო კომიტეტს დარეჯან კუხიანიძე ხელმძღვანელობს.

— უწმინდესი და უნეტარესი ყოველთვის დიდი ინტერესით და სიყვარულით ადევნებდა თვალყურს ჩვენს ფესტივალს და საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველთა საქმიანობას. გვლოცავდა, გვაკურთხებდა, ესწრებოდა კონცერტებს, საპატრიარქოში იწვევდა ჩვენებურებს. მისი სითბო და ყურადღება განსაკუთრებით ახარებდათ სამშობლოდან სხვადასხვა დროს გადახვეწილ ახალ თუ ძველ ემიგრანტებს. არასოდეს დაგვავიწყდება მისი მიმართვა ჩვენებურებისადმი: „ჩვენი ეკლესია ცდილობს თავისი წვლილი შეიტანოს თქვენს დაბრუნებაში. ღვთის შეწევნით გვჯე-



რა, ჩვენი ფესვი არ დაიკარგება, რომ სამშობლოსა და ქართული კულტურის სიყვარული ჩვენებურების მომავალ თაობაშიც გაგრძელდება და იქნება ისეთივე ძლიერი, როგორც თქვენშია. უნდა იცოდეთ, რომ ადრე თუ გვიან, სამშობლოში უნდა დაბრუნდეთ, რადგან მხოლოდ აქ შეძლებთ თქვენი შესაძლებლობების სრულად გამოვლენას. ვერანაირი კეთილდღეობა ვერ გადაწონის იმ ბედნიერებას, რასაც ღვთისა და სამშობლოს მსახურება ჰქვია. სამშობლო გელოდებათ! ღმერთს ებარებოდეთ, რათა იხაროთ ორსავე სოფელსა შინა! სიყვარულით თქვენთვის მლოცველი ილია II“. ასეთი მიმართვის შემდეგ ჩვენ უფლება არ გვაქვს, რომ გავჩერდეთ, აღარ ჩამოვიყვანოთ ჩვენებურები საქართველოში და აღარ მოვაწყოთ მსგავსი ფესტივალები, — აცხადებენ ფესტივალის ორგანიზატორები.

ფესტივალის პრეზიდენტი ქალბატონი გიული ალასანია კი აცხადებს:

— სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეები არასოდეს წყვეტდნენ კავშირს თავის სამშობლოსთან. სამშობლოსადმი ლტოლვა და ნოსტალგია მშობლიურ კერას სხვადასხვა მიზეზებით მოწყვეტილი ქართველებისათვის ძველებურად მძაფრია. უცხოეთში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის რწმენა, რომ სამშობლოში ახსოვთ და უყვართ ისინი.

— ჩვენი ფესტივალი მიზნად ისახავს საზღვარგარეთის ქართულ დიასპორებთან კულტურული კავშირების აღდგენასა და შენარჩუნებას, ქართული ფოლკლორის პოპულარიზაციას. მასში მონაწილეობენ საქართველოში მოღვაწე, ასევე ქართული დიასპორის წარმომადგენლებით დაკომპლექტებული შემოქმედებითი ჯგუფები და ის უცხოური კოლექტივები, რომელთა რეპერტუარში დიდი ადგილი უჭირავს ქართულ სიმღერასა და ცეკვას, — აცხადებენ ფესტივალის ორგანიზატორები.

გასულ წელს აგვისტოს მოვლენებთან დაკავშირებით, ფესტივალის ორგანიზატორებს „ჩვენებურების“ გამართვა არც უფიქრიათ, მაგრამ რიგით მეექვსე საერთაშორისო ფესტივალი, საზღვარგარეთ მცხოვრები ქართული დიასპორის უშუალო აქტიურობითა და ინიციატივით მოეწყო.

ფესტივალის ორგანიზატორების გადაწყვეტილებით, წლევანდელ „ჩვენებურებს“ საქართველოს სხვადასხვა ქალაქები უმასპინძლებენ.

— ფესტივალში, ტრადიციულად, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში მოღვაწე ქართული ფოლკლორული ანსამბლები, ცალკეული შემსრულებლები, ასევე ხალხური სიმღერისა და ცეკვის მოყვარული უცხოელები მიიღებენ მონაწილეობას. ფესტივალს ხშირად სტუმრობენ არა მხოლოდ ფოლკლორული კოლექტივები, არამედ საზღვარგარეთ მოღვაწე კამერული ორკესტრები, პიანისტები, მხატვრები და მოქანდაკეები, — აცხადებენ ორგანიზატორები.

# მსოფლიო ეკონომიკაზე „დიდი ოცეული“ იზრუნებს

ტრადიციულად განვითარებული და ახალი ქვეყნების დიდი ოცეული უახლოეს მომავალში მუდმივმოქმედი ორგანოს ფუნქციებს შეიძენს, რომელიც მსოფლიო ეკონომიკის კოორდინირებაზე დაიწყებს ზრუნვას.

ასეთი მოსაზრება აშშ-ის ადმინისტრაციის მაღალი რანგის მოხელემ გამოთქვა.

მისი ინტერვიუ რეიტერის სააგენტომ ვინაობის გამხელის გარეშე გამოაქვეყნა. ინტერვიუს ტონალობას მრავალი საერთაშორისო ექსპერტის მოსაზრებას იზიარებს. ამ მოსაზრების თანახმად, მსოფლიო ეკონომიკურ ურთიერთობებში სულ უფრო დიდი როლი უნდა ითამაშონ განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებმა, რომლებიც დღემდე „დიდი რვიანის“ შემადგენლობაში შემავალი განვითარებული ქვეყნების ჩრდილში იმყოფებოდნენ.

საუბარი ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების კლუბის გაფართოვების შესახებ დიდი ოცეულის ლიდერთა შეხვედრის ფონზე მიმდინარეობს. ეს შეხვედრა ამჟამად აშშ-ის ქალაქ პიტსბურგში მიმდინარეობს.

ამ შეხვედრის დროს უკვე გავრცელდა ინფორმაცია საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ გადაწყვეტილებების მიღების სისტემის შეცვლის შესახებ, რომელიც მიზნად ხმების უფრო ადეკვატურად განაწილებას ითვალისწინებს.

ასე მაგალითად, დღეისათვის ჩინეთს მსოფლიო სავალუტო ფონდში ხმების 3.7% ეკუთვნის, საფრანგეთს კი — 4.9, მაშინ, როდესაც ჩინეთის ეკონომიკა თავისი მოცულობით საფრანგეთისას 50%-ით აღემატება.

იმავდროულად, პიტსბურგის მახლობლად საპროტესტო დემონსტრაციები მიმდინარეობს. პილიციამ დემონსრანტების წინააღმდეგ რეზინის ტყვიები გამოიყენა.

„დიდი ოცეულის“ წარმომადგენელთა წინა შეხვედრა, რომელიც ლონდონში გაიმართა, ასევე საპროტესტო აქციებით და ანტიგლობალისტების პოლიციასთან დაპირისპირებით აღინიშნა.

ამჯერად არეულობა დაიწყო მას შემდეგ, რაც ასეულობით დემონსტრანტმა ნებართვის გარეშე სამიტის გამართვის ადგილამდე მისვლა გადაწყვიტა.

გავრცელებული ცნობების თანახმად, „დიდი ოცეული“ საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობის კოორდინაციის ახალ ორგანოდ უნდა იქცეს.

მსოფლიოს მსხვილი სახელმწიფოები უკვე რეცესიიდან გამოსვლის შესახებ ალაპარაკდნენ, რაც იმას ნიშნავს, რომ ახლო მომავალში მთავრობებმა ეკონომიკური სტიმულირების პაკეტები უკან უნდა გაიწვიონ.

აღსანიშნავია, რომ საზოგადოების ფართო მხარდაჭერა ჰპოვა რამდენიმე სახელმწიფოს პოზიციამ, რომლებმაც ბანკების უმაღლესი რანგის მენეჯერებისათვის უზარმაზარი პრემიების გადახდის წინააღმდეგ გაილაშქრეს. სამომავლოდ მზადდება შეთანხმება, რომელმაც ამ სფეროში „მთავარი დარტყმის“ მიმართულება უნდა განსაზღვროს.

აშშ-ის ფინანსთა მინისტრის, ტიმოთი გეიტნერის თქმით, ბონუსების და ხელფასების შეზღუდვის მიმართულებით დიდმა ოცეულმა უკვე გარკვეულ კონსენსუსს მიაღწია. ახლო მომავალში თითოეული ქვეყანა ამ სფეროში საკუთარ სტანდარტებს დაადგენს, ამ პროცესს კი „დიდი ოცეულის“ ფინანსური სტაბილურობის საბჭო დააკვირდება.

მანამდე დიდი ბრიტანეთის ფინანსთა მინისტრმა ალისტერ დალრლინგმა ბანკირების გასაგონად თქვა, რომ „მათი წვეულება“ უკვე დამთავრდა და დაუმატა. რომ ბანკირები უნდა მიხვდნენ, სამყარო მუდმივად იცვლება.

თეთრი სახლის წარმომდგენლების თქმით, ფინანსური რეგულირების რეფორმა მიმდინარე სამიტის დღის წესრიგის უმნიშვნელოვანესი მომენტია, მაგრამ არც გლობალური ეკონომიკური დისბალანსის პრობლემის დავიწყება შეიძლება.

აშშ-ის პრეზიდენტი ბარაქ ობამა კაპიტალის გლობალურ ნაკადებში ამ დისბალანსის გათანაბრების კამპანიას სათავეში ჩაუდგა.

ასე მაგალითად, აშშ ჩინეთის, ინდოეთისა და ბრაზილიის მსგავს სწრაფად განვითარებად ქვეყნებს საკუთარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე ორიენტირებისა და სავაჭრო დეფიციტის შემცირებისაკენ მოუწოდებს.

# რუსეთ-საქართველოს ომზე ფილმის გადაღებები იწყება

ეკა ირემაშვილი

ცნობილი კინორეჟისორი რენი ჰარლინი რუსეთ-საქართველოს ომის შესახებ ფილმის გადაღებებს იწყებს.

ბლოკბასტერ „მეკლდეურისა“ და „ღრმა ლურჯი ზღვის“ რეჟისორმა უკვე დაასრულა ფილმის გადაღებისთვის მზადება და მსახიობების შერჩევა.

— მინდა გადავიღო ფილმი, რომელიც ადამიანური ყოფის პირობებზე მოგვითხრობს. თუნდაც ცოტა ადამიანმა ნახოს იგი, ოღონდ ანტისაომარი განწყობა დაინახოს და ომის საშინელებაზე დაფიქრდეს. ამ შემთხვევაში მივიჩნევ, რომ რაღაც გამომივიდა“, — აცხადებს რეჟისორი.

მიუხედავად იმისა, რომ ფილმის სიუჟეტის შესახებ ჯერჯერობით არ საუბრობენ, რამდენიმე დეტალი უკვე მაინც გახმაურდა — ფილმი ასახავს ამერიკელი ჟურნალისტისა და ოპერატორის ისტორიას, რომლებიც 2008 წლის აგვისტოში საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩნდნენ.

ფილმის პროდიუსერი დავით იმედაშვილია. ფილმის გადაღების იდეა საქართველოში გაჩნდა. პროექტის ავტორები ძმები გიორგი და დავით იმედაშვილები არიან, რომელთაც სპონსორის მოძებნა ჰ ოლივუდში სცადეს. ამერიკელი რეჟისორი რენი ჰარლენი პროექტს გაეცნო და საჭირო თანხაც გაიღო.

— ფილმის გადაღების იდეა საქართველოში გაჩნდა. იდეით ამერიკელი პროდიუსერები დაინტერესდნენ. შევხვდით მათ და ფილმის გადაღების დეტალებზე შევთანხმდით, შეხვედრას ფილმის მენეჯერები, ძალოვანი უწყებების და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები დაესწრნენ.

ჰოლივუდმა გორში ფილმის გადაღებისთვის 10 მლნ დოლარი უკვე გამოყო. ასე რომ, გორში საომარი მოქმედებები ისევ განახლდება, ქალაქში მძიმე ტექნიკა შემოვა, იფრენს ავიაცია, იქნება აფეთქებები და ქალაქის თავზე კვლავ იფრიალებს რუსული დროშა — ყველაფერი მხოლოდ რუსეთ-საქართველოს ომის ამსახველი ფილმის გადაღებების პროცესში მოხდება.

ფილმის გადაღების პროცესი მთელი ქვეყნის მასშტაბით იგეგმება. კერძოდ, იქ, სადაც რუსეთ□საქართველოს ომის დროს საომარი მოქმედებები ვითარდებოდა. მასშტაბური გადაღებები გორში 12 ოქტომბერს დაიწყება და 16 ოქტომბერს დასრულდება.

ფილმთან დაკავშირებული სხვა დეტალები ამ დროისთვის არ კონკრეტდება, ასევე არ ხმაურდება მასში მონაწილეთა ვინაობა. სავარაუდოდ, მასში მონაწილეობას როგორც ქართველი, ასევე ამერიკელი მსახიობები მიიღებენ. ფილმის გადაღებისას მიყენებულ ზარალს ჰოლივუდი აანაზღაურებს. პროექტის მენეჯერები უკვე აწარმოებენ მოლაპარაკებას ქალაქის ცენტრში მდებარე ორგანიზაციებთან და მცხოვრებლებთან.

— ფილმის გადაღებები საქართველოში და ლოს-ანჟელესშია დაგეგმილი. მასში მონაწილეობას უცხოელი მსახიობები მიიღებენ. კონკრეტულად რომელი მსახიობები, ამას გადაღებების დასრულებამდე ვერ გეტყვით. რაც შეეხება გადაღებებისთვის საჭირო თანხას, მას როგორც ქართული, ისე ამერიკული მხარე დაფარავს, — განმარტავს ფილმზე მომუშავე შემოქმედებითი ჯგუფი.

რუსეთ-საქართველოს ომის თემაზე მიძღვნილ ფილმზე მუშაობა, სავარაუდოდ, მაისში დასრულდება. ფილმის პრემიერა კი ამერიკაში მომავალი წლისთვის, რუსეთ-საქართველოს ომის ორი წლისთავზე — 8 აგვისტოსთვის არის დაგეგმილი.

# რუსთაველის თეატრი დრამატურგებისთვის უორკშოფს ატარებს

ეკა ირემაშვილი

შოთა რუსთაველის სახელობის თბილისის სახელმწიფო აკადემიური თეატრი დრამატურგებისთვის უორკშოფს ატარებს და დაინტერესებულ პირებს დრამატურგების უორკშოფში მონაწილეობის მისაღებად იწვევს.

ამის პარალელურად, რუსთაველის თეატრში პიესების კონკურსიც იწყება, სადაც მსურველებს საკუთარი ნამუშევრების წარდგენის შესაძლებლობა ეძლევათ. გამარჯვებული პიესები კი თეატრის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით რუსთაველის თეატრის ექსპერიმენტულ სცენაზე განხორციელდება.

უორკშოფში მონაწილეობის მისაღებად შერჩეული იქნება მხოლოდ 15 დრამატურგი. მონაწილეობის მსურველებს აუცილებლად უნდა ჰქონდეთ პროფესიული გამოცდილება დრამატურგიაში, სასურველია ფლობდნენ ინგლისურ ენას. რუსთაველის თეატრი პიესების კონკურსს 1 ოქტომბრიდან იწყებს.

უკვე გადაწყვეტილია, რომ გამარჯვებული ათი პიესა რუსთაველის თეატრის ექსპერიმენტულ სცენაზე დაიდგმება.

# მწერლებმა ყველაზე გავლენიანი წიგნები დაასახელეს



მსოფლიოს ინგლისურენოვანმა მწერლებმა განსაზღვრეს იმ წიგნთა სია, რომლებმაც, მათი აზრით, ბოლო 25 წლის განმავლობაში მსოფლიო ლიტერატურის განვითარებაზე უდიდესი ზეგავლენა მოახდინეს.

ლიტერატურული ჟურნალის „ვასაფირის“ მიერ მომზადებული ანკეტა 25-მა მწერალმა შეავსო, მათ შორის ბლეიქ მორისონმა, ამით ჰაუდ-ჰურიმ და ინდრა სინგჰამ.

თითქმის ყველა მათგანმა აღნიშნა, რომ მათ შემოქმედებაზე დიდი ზეგავლენა იქონია გაბრიელ გარსია მარკესის წიგნმა „მარტოობის ასი წელი“.

ყველაზე გავლენიანი წიგნების სიაში მოხვდნენ აგრეთვე ვლადიმირ ნაბოკოვის „ლოლიტა“, სალმან რუშდის „სატანური ლექსები“ და მაიკლ ონდატჯეს „ინგლისელი პაციენტი“.

გამოკითხვა ჟურნალის დაარსებიდან 25-ე წლისთავთან დაკავშირებით გაიმართა.

ნიგერიელი მწერლის, ჩიკა უნიგვეს თქმით, რომელმაც ასევე მიიღო მონაწილეობა გამოკითხვაში, მარკესმა სრულიად შეცვალა რეალობაზე არსებული შეხედულება.

„ვერ დავასახელებ ვერც ერთ მწერალს, რომელმაც მისი პროზის ზეგავლენა არ განიცადა“, — განაცხადა მან.

გარდა ამისა, ყველაზე გავლენიანი წიგნების სიაში მოხვდნენ აგრეთვე ბარაქ ობამას მემუარები „მამაჩემის სიზმრები“, აგრეთვე შიმუს ჰინის, ტედ ჰიუზის, ჯ.მ. კუძეის, ვ.ს. ნაიპოლის წიგნები.

მოამზადა გენადი თვაურმა


## განცხადებები

● აბიტურიენტებს მოვამზადებ ქართულ ენასა და ლიტერატურაში მაღალ დონეზე, შეღავათიან ფასად. ტელ: 52-87-00.

● შიშები, ნევროზი, უძილობა, დეპრესია, კლიმაქსური ფონი, ჭარბთმიანობისგან განკურნება ეპილაციის გარეშე, 100%-ით. ბიომალამოთი, უმტკივნეულოდ. ტელ: 34-02-38; 899 90-54-78 ქეთევანი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან გათავისუფლება, დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ასევე იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა და ტკივილი შარდვისას, მამაკაცური ფუნქციის სწრაფი აღდგენა-შენარჩუნება. მკურნალობა 100%-იანი გარანტიით. ტელ: 34-02-38 ან 858 968-915 ექიმი ქ-ნი მეგი.

● სიმაღლეში სწრაფი ზრდა თვეში 3-5 სმ. მომატებით, 25 წლამდე გარანტიით, ასევე გახდომა-გასუქება აკრძალვების გარეშე, თვეში 5-დან 20 კგ-მდე, უვნებლად მიღებული შედეგის სტაბილური შენარჩუნებით, მკურნალობა 100%-იანი შედეგით, იმუნიტეტის გაძლიერებით. ტელ: 34-02-38 ან 895 293-299 ექიმი ქ-ნი ინგა.

● მხოლოდ მცენარეულ ნედლეულზე დამზადებული პროდუქციით ვმკურნალობთ: ნევროზს, უძილობას და გულ-სისხლძარღვთა დაავადებებს. ტელ: 898-201-101 იკითხეთ ირინა.

● შევიძენ ყველა სახის წიგნებს, გამოცემულს 1917 წლამდე, ტელ: 855 29-40-39 ლაშა.

● იყავით ტანადნი და ჯანმრთელნი! წონაში სწრაფად კლება და მომატება, ჭარბთმიანობა, თმის ცვენა, ორგანიზმის გაწმენდა უნიკალური მცენარეული საშუალებებით, ოპერაციის გარეშე საკვერცხის კისტის, მიომას, ჩიყვის, კუჭის წყლულის, ბუასილის მკურნალობა 100%-იანი შედეგით, უკუჩვენების გარეშე. ტელ: 34-02-38; 855 49-50-38 ნინო.

● იყიდება! ნებისმიერი სახეობის, ასაკის, ზომის და რაოდენობის წიწვოვან და ფოთლოვან ხე-მცენარეთა ნერგები. ფასი 5-დან 50 ლარამდე. ტელ: 96-62-96 საღამოს, მობ: 895-97-30-15.

● მამაკაცებისთვის! იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი) მოგვარება მცენარეული პროდუქციით. შედეგი 100%-იანია. ტელ: 57-66-90 (საღამოს); 899-25-44-14 ექიმი, ქ-ნი მზია.

● იყიდება მიწის ნაკვეთი თბილისის ზღვაზე 1500მ². კვმ-ის ფასი 22 დოლ. (ლოტკინის მთაზე ტრამვაის ხაზთან). 855 63-14-17.

● პროსტატიტით გამოწვეული პრობლემების მოხსნასა და მამაკაცური პოტენციის მოწესრიგებაში დაგეხმარებით ამერიკული მცენარეული პრეპარატებით. ტელ: 855-98-49-35 კონსულტანტი ბელა.

● სიმაღლეში ზრდა სწრაფად და ეფექტურად 2-დან 25 წლამდე თვეში 3-4 სმ. მცენარეული პრე-პარატებით. ტელ: 858-46-36-74; 35-17-39 ექიმი ქეთევანი.

● ვმკურნალობ მამაკაცურ პრობლემებს, იმპოტენციას, პროსტატის ადენომას, შარდის შეკავება-შეუკავებლობას მცენარეული პრეპარატებით ხელმისაწვდომ ფასად. ტელ: 899 53-68-18, 35-17-39 ექიმი ქეთევანი.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 74-81-41, 871 33-01-61.

# ნუ გავყვებით გავლილ გზას

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ვალი სანაკრებო მატჩებისთვის გუნდში მოსკოვის „სპარტაკში“ მოთამაშე ალექსს უხმო. რა არის ამაში გასაკვირიო, იკითხავთ. რა და ბრაზილიის ნაკრები რომ ძლიერი ფეხბურთელების ნაკლებობას არ განიცდის, ფეხბურთის მოყვარულთათვის არახალია და კოპაკაბანას პლაჟზეც შესაძლოა აღმოაჩინო ისეთი ფეხბურთელი, ნებისმიერ ნაკრებს რომ გამოადგება. თუმცა, დუნგამ ძალიან შორს გაიხედა — ბრაზილიიდან რუსეთისკენ, ხოლო რა მანძილია ამ ქვეყნებს შორის მსოფლიოს რუკაზე სახაზავითა და მასშტაბით ძალიან იოლი გამოსათვლელია.

ჰოდა, შე დალოცვილო, დუნგამ თუ გაიხედა ამ სიშორეზე, ჩვენ რა დაგვემართა, მართალია მტრულად განწყობილ, მაგრამ ორი ფეხის ნაბიჯზე მყოფ სამეზობლოში რომგავიხედოთ. თუ მაინცდამაინც კავკასიონის ქედი და სავიზო რეჟიმი გვიშლის ხელს, დავინახოთ რა ხდება რუსეთში, პრესის, ინტერნეტისა და ტელევიზიის ნაკლებობას ხომ არ განვიცდით 21-ე საუკუნეში.

მალხაზ ასათიანი, დავით მუჯირი, გოგიტა გოგუა, ალექსანდრე ამისულაშვილი, დავით კვირკველია, ლაშა სალუქვაძე, ნუკრი რევიშვილი, გოჩა ხოჯავა, ლევან გვაზავა — აი, ამათ დაკარგვაში კი მიგიძღვით ბრალი. ამათგან ზოგი უმიზეზოდ მოკვეთეთ ნაკრებიდან, ზოგიც საერთოდ არ ყოფილა გამოძახებული. ვერ დავიჩემებთ, რომ ყველა მათგანი სასურველი და გამოსადეგი იქნებოდა ეროვნული ნაკრებისთვის, მაგრამ თამამად შეიძლება ითქვას, რომ ნაკრებში გამოძახებულ ეროვნულ ჩემპიონატში მოთამაშე ზოგიერთ ფეხბურთელს, რომლებზე სწრაფადაც ევროპაში სარეკლამო ბანერები მოძრაობენ, იქნებ აჯობონ კიდეც. ეს რაც შეეხება რუსეთს, თორემ მის გარდა კიდევ რამდენ საინტერესო საფეხბურთო ქვეყანაში არიან გაბნეული ქართველი ფეხბურთელები, რომლებიც ტონის მიმცემად ითვლებიან თავიანთ გუნდებში, ვინ იცის.

რაც შეეხება მკლავის მოჭრას — მართალია, თავისივე „დასმულ“ კაცს უტა არსაკიძესავით არავინ მოქცევია, ბოლომდე ვერ გაწირეს, მაგრამ თბილი ადგილი კი დაატოვებინეს. ეს ის ადგილია, სადაც ყოფნის დროსაც ოპოზიცია 30-დან 50 მილიონამდე ლარის შეჭმა-გაფლანგვაში ედავებოდა ახალკაცს. წასვლის წინ კი თქვა ახალკაცმა — პრეზიდენტის პოსტს ნაკრების არასახარბიელო შედეგის გამო ვტოვებო, მაგრამ ამ ზღაპრის იმათაც არ სჯერათ, ჯერაც რომ ზღაპრის ასაკიდან არ გამოსულან. ნაკრების უშედეგობის გამო ათავისუფლებენ მწვრთნელს (ამას პრეზიდენტი აკეთებს) და არა თავის თავს. თუმცა, ჩვენი ლოგიკაც ხომ ამაშია — ახალკაცს მკლავის მოჭრის ნაცვლად თბილი ადგილი დაატოვებინეს. არა იმიტომ, რომ ხეკორძულას წყლის დალევის ნაცვლად, სხვა რამეს რომ ჭამდა, არამედ ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმა აიძულეს ასე მოქცეულიყვნენ.

ეს არცთუ მცირე ექსკურსი მომავალი პრეზიდენტის, რომელიც უკვე დარწმუნებით ვიცით, ვინც იქნება, გასაგონადაც იყოს. ფეხბურთის გულშემატკივრები უკვე ამბობენ, რომ ზვიად სიჭინავა ახალკაცი-2 იქნება. ამის მიზეზად კი მთავრობიდან სიჭინავას ლობირებას ასახელებენ, რაც მის წინამორბედსაც ჰქონდა. დანამდვილებით ვერავინ იტყვის, რომ ახალი პრეზიდენტი მთავრობის კაცი იქნება, მაგრამ ფაქტია, სახელმწიფოს რამდენიმე ჩინოსანმა მისი კანდიდატურა იმიტომ მოიწონა, რომ სიჭინავამ ზუგდიდში შესანიშნავი ბაზა ააშენა და ფეხბურთი აალორძინა. ამასთან, ახალკაცის წასვლა და მისი მოსვლის ამბავი ერთდროულად გაჟღერდა.

თუ მაინცდამაინც ამ კრიტერიუმით უნდა აგვერჩია პრეზიდენტი, სიჭინავაზე ნაკლები საქმეები არც „ამერის“ და არც „ზესტაფონის“ პრეზიდენტებს აქვთ ნაკეთები. თუმცა, „ამერის“ პრეზიდენტ ზურაბ ფოცხვერიას ბოლოს საქმეები აერია და კლუბი საერთოდ დაშალა, ხოლო „ზესტაფონის“ მფლობელ ილია კოკაიას ბაზის მშენებლობასთან დაკავშირებით პრობლემები სწორედ მთავრობასთან ჰქონდა. ჰოდა, აბა მათ ვინ დანიშნავდა.

ასეა თუ ისე, პრეზიდენტად ისევ „დასმული“ კაცი მოდის და არა არჩეული. სწორედ ეს აშინებს ქართველ გულშემატკივარს. თუ სიჭინავა ისევ ახალკაცის მიერ „გაკვალული გზის“ გაგრძელებას აპირებს, წელიწად-ნახევრის შემდეგ, შესაძლოა, საფეხბურთო რუკიდანაც გავქრეთ.

ჰოდა, სანამ რუკიდან გავქრებოდეთ და წყალს არ წივულივართ, ნუ დავიბრალებთ ხეკორძულას წყლის დალევას და ისეთი საქმის კეთებას, რაც არ გვიკეთებია და შევეცადოთ სხვისი გაფუჭებული სანამ დროა, გამოვასწოროთ.

## მატერაციმ სტანდარტები მოითხოვა

ფეხბურთის თითქმის ყველა გულშემატკივარისთვის მატერაცის გვარი 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ მატჩთან ასოცირდება, სადაც თავს უფლება მისცა ზინედინ ზიდანისთვის შეურაცხყმოფელი სიტყვები ეთქვა. ამ სიტყვების გამო მატერაციმ უმალ მიიღო ზიდანის თავური გულმკერდში, რის გამოც ზიზუ თავის ბოლო ოფიციალურ მატჩში გაძევებულ იქნა მოედნიდან.

ახლა კი ბილწსიტყვაობით განთქმული მატერაცი სამართლიანობისთვის ბრძოლას აპირებს. მისი ობიექტი ტურინის „იუვენტუსის“ ფეხბურტელი ფელიპე მელო გახდა, რომელიც არასპორტულად მოიქცა იტალიის ჩემპიონატის მე-5 ტურის მატჩში, როდესაც მსაჯის მისამართით ბურთი ისროლა. თუმცა, მატერაცი ირწმუნება, რომ მელომ ბურთის სროლას ყურთგაუგონარი სიტყვებიც მიაყოლა.

— იცით, რა უთხრა მელომ მსაჯს? მოდით, გაგიმხელთ ამ საიდუმლოს — შენი დედა... ერთ-ერთ არაფრისმომცემ და არაპრესტიჟული ტურნირის მატჩისას მე მოედნიდან იმიტომ გამაძევეს, რომ მსაჯს ვუთხარი შეცდომით დანიშნული პენალტის გამო უნდა რცხვენოდეს, მელოს კი უარესი აპატიეს. ამის გამო პროტესტს გამოვთქვამ მსაჯობის სისტემის წინააღმდეგ. უკეთესი იქნება, თუ ყველა ფეხბურთელი ერთ სტანდარტში მოექცევა, — განაცხადა მატერაციმ.

ალსანიშნავია, რომ მატერაცი ზემოთ აღნიშნულ მატჩს საერთოდ არ ესწრებოდა და საინტერესოა, საიდან იცის, რა უთხრა მელომ მსაჯს.

ასეა, ზოგი ფეხბურთელი დიდებული თამაშით აპირებს გულშემატკივარს თავი დაამახსოვროს, ზოგიც — გრძელი ენით.

## ლივერპულს პრინცმა დაუმიზნა

საუდის არაბეთის პრინცი ფაისალ ბინ ფად ბინ აბდულა აპირებს 350 მილიონი გირვანქა სტერლინგი გადაიხადოს და „ლივერპულის“ აქციათა 50 პროცენტი შეიძინოს.

— ჩვენ გვინდა ვიყიდოთ იმ კლუბის აქციების 50 პროცენტი, რომლის დავალიანება 245 მილიონ გირვანქას შეადგენს. ამ საქმის ფასი, რომელიც მალე დასასრულს მიუახლოვდება, 200-დან 350 მილიონამდე შეადგენს, — განაცხადა პრინცმა.

თავად „ლივერპულის“ მხარე კი რაიმე კომენტარისგან თავს იკავებს. ცნობილია მხოლოდ ის, რომ პრინცი „ლივერპული“ — „ჰალის“ (6:1) საშაბათო მატჩს დაესწრო და მისი დასრულების შემდეგ „ლივერპულის“ საფეხბურთო აკადემიის საუდის არაბეთში მშენებლობას მოაწერა ხელი.

შეგახსენებთ, რომ ამ წუთისთვის „ლივერპულის“ მფლობელები ამერიკელი ბიზნესმენები ტომ ჰიკსი და ჯორჯ ჯილეტი არიან. მათ ერთდროულად იყიდეს 2007 წელს „ლივერპული“ 218,9 მილიონ გირვანქად და მას შემდეგ ამაოდ ცდილობენ ერთმანეთისგან გამოისყიდონ გარკვეული ნაწილი.

გეტყვით იმასაც, რომ ჟურნალ „ფორბსის“ შეფასებით „ლივერპულის“ ღირებულება (ვალების გარეშე) მილიარდი დოლარია, რითიც მსოფლიოში მხოლოდ 3 კლუბს — „მანჩესტერს“, „რეალსა“ და „არსენალს“ ჩამორჩება.

## უფროსმა კლიჩკომ ტიტული დაიცვა



მსოფლიოს კრივის საბჭოს (ვბც) ვერსიით, 38 წლის ვიტალი კლიჩკომ მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული სუპერმძიმე კატეგორიაში მექსიკური წარმოშობის ამერიკელ მოკრივე კრის არელოასთან ბრძოლაში დაიცვა. ჩხუბი, რომელიც ლოს ანჯელესში გაიმართა, მეათე რაუნდში შეწყდა. ეს იყო კლიჩკოს 38-ე მოგება ჩატარებული 40 ბრძოლიდან, ხოლო არეალომ 28-ე ბრძოლაში პირველი მარცხი იწვნია.

ბრძოლის მონაწილეებიდან თავიანთი ჩხუბების დიდი ნაწილი ნოკაუტით ჰქონდათ მოგებული: კლიჩკოს — 96 პროცენტი, ხოლო არელოას — 82 პროცენტი. ამის გამო სპეციალისტები წინასწარ საუბრობდნენ, რომ მათ ჩხუბს ბოლომდე ჩატარება არ ეწერა.

სპეციალისტების აზრის მიუხედავად, მოკრივეებმა ბრძოლა განსხვავებული სტილით დაიწყეს. კლიჩკო თავისი გრძელი ხელების მეშვეობით ცდილობდა დისტანციაზე ემუშავა, ამასთან, ცდილობდა მარცხენა ჯები გამოეყენებინა და მეტოქისთვის შემხვედრი დარტყმები დაეხვედრებინა, პლუს კარგად მოძრაობდა ფეხებით და რინგზე სწორად გადაადგილდებოდა და არ ცდილობდა თავის დაცვას, რადგან ამის აუცილებლობას ვერ ხედავდა.

ასეთი ჩხუბები კი ამერიკაში არ მოსწონთ და ბოლო დროს სწორედ ამიტომ ალაპარაკდნენ ამ წონაში კარგი მოკრივეების ნაკლებობაზე. მათ ვერ დაინახეს უფროსი კლიჩკოსგან, რასაც მისგან მოელოდნენ — მწვავე, ნოკაუტირებელ დარტყმებს. თუმცა, ამერიკელი გულშემატკივარი გაცილებით გაწბილებული დარჩა თავისი თანამემამულის ჩხუბით. არელოა მათ საჩემპიონო ქამრის დაბრუნებას ჰპირდებოდა, მაგრამ ამაოდ.

იცოდა რა მეტოქის ძალა, არელომ არანაირი ტექნიკური არსენალი არ შესთავაზა მეტოქეს, რითიც პრობლემებს შეუქმნიდა — მხოლოდ ჯიუტად მიიწევდა წინ და თავში იმდენი შემხვედრი დარტყმა გაეპარა, რამდენიც მის წინა 27 ბრძოლაში არ მიუღია. მსაჯების დათვლით კლიჩკოს 802 დარტყმიდან, მიზანს 301 უწია, ხოლო არელომ სულ მეტოქეს 86-ჯერ მოარტყა სახიფათოდ.

10 ჩატარებული რაუნდიდან, ამერიკელისთვის ყველაზე გამოსარჩევი მე-4 და მე-8 იყო, როდესაც კლიჩკოს რაღაცით მიუახლოვდა. აქედანაც მსაჯებმა (ყველამ არა) არელოას უპირატესობა მხოლოდ ერთში მიანიჭეს.

ალსანიშნავია, რომ არელოას მანამდე ჩატარებული 27 ბრძოლიდან 8 რაუნდზე მეტი არც ერთში არ უჩხუბია და სწორედ მე-9-10 რაუნდები გამოდგა მისთვის გადამწყვეტი. კლიჩკომ არ დაინდო დაღლილი მეტოქე და მძლავრი დარტყმების მთელი სერია მიაყოლა.

ისიც უნდა ვთქვათ, რომ 10-რაუნდის შემდეგ ამერიკელი მოკრივე მაინც არ გამოიყურებოდა ისე, რომ მალე რინგზე წაიქცეოდა, მაგრამ მწვრთნელმა ჰენრი რამირესმა მისი ბრძოლის გაგრძელება აღარ ისურვა. არელოა ცოტა ხანი მაინც იქაჩებოდა რინგისკენ, მაგრამ მწვრთნელმა დაარწმუნა, რომ ბრძოლა არ უნდა გაეგრძელებინა.

— კრისს ძალიან ბევრი დარტყმა გაეპარა და ამის საშიშროება კიდევ იყო, ამიტომ მომდევნო დარტყმებს შესაძლოა, მის ჯანმრთელობაზე ემოქმედა. ერთი წაგებული ბრძოლით არაფერი წყდება, მას შეუძლია კიდევ მოიპოვოს მსოფლიოს ჩემპიონობა, მაგრამ თუ კლიჩკოსთან ბრძოლისას ჯანმრთელობას დაკარგავდა, ამის შანსი არ დარჩებოდა, ამიტომ ვამჯობინე ბრძოლა შეეწყვიტა, — განაცხადა რამირესმა.

— ბრძოლა ჩემთვის უფრო ძნელი გამოდგა, ვიდრე ველოდი. ჩხუბის დროს ჩემი დარტყმები ძალიან ხშირად აღწევდა მიზანს, მაგრამ არელოას შესანიშნავი გამძლეობა აღმოაჩნდა. ძალიან გამიკვირდა, რომ მე-11 რაუნდში რინგზე არ გამოვიდა. კრისი ერთ-ერთი ყველაზე უხერხული მეტოქე გამოდგა ჩემთვის, ვინც კი შემხვედრია, — აღიარა კლიჩკომ.

გეტყვით იმასაც, რომ სამი მსაჯიდან ერთმა კლიჩკოს უპირატესობა 10-ვე რაუნდში აღიარა, ხოლო ორმა — 9 რაუნდში მიანიჭა უპირატესობა.

## გვიდოლინიმ ლაციოს მოუბოდიშა

იტალიის ჩემპიონატის ბოლო ტურში რომის „ლაციომ“ შინ 1:2 წააგო „პარმასთან“, რომლის მთავარმა მწვრთნელმა ფრანჩესკო გვიდოლინიმ „ლაციოსა“ და მის გულშემატკივარს ბოდიში მოუხადა მისი გუნდის პირველი გატანილი გოლის დროს თავისი ფეხბურთელების მოქმედებისთვის.

„პარმას“ მიერ გატანილი პირველი გოლისას რომაელთა ფეხბურთელი რობერტო ბარონიო მინდორზე ეგდო და სამედიცინო დახმარებას ითხოვდა, მაგრამ არც მსაჯმა და არც „პარმას“ ფეხბურთელებმა თამაში არ გააჩერეს და საბოლოოდ, „ლაციოს“ კარში გოლი გავიდა.

— დავინახე, რომ „ლაციოს“ ფეხბურთელი მოედანზე იწვა და ჩემს შეგირდებს ვუყვიროდი, რომ ბურთი მოედნის გარეთ გადაეგდოთ, მაგრამ მათ ჩემი ნათქვამი არ გაიგონეს. ძალიან არ მინდა ფეხბურთში ასეთი გოლები გავიდეს. ფეარ-პლეის პრინციპებს დიდი ხანია მხარს ვუჭერ და ამ ეპიზოდის შესახებ უკვე ვესაუბრე ფეხბურთელებს. იმედი მაქვს, ასეთი რამ არ განმეორდება — „ლაციოს“ კი ბოდიშს ვუხდი, — განაცხადა გვიდოლინიმ.

## შედეგები

### ფეხბურთი

**მსოფლიოს ჩემპიონატი (20)**

| | |
|---|---|
| ბრაზილია-კოსტა რიკა | 5:0 |
| ჩეხეთი-ავსტრალია | 2:1 |
| ს.აფრიკა-ემირატები | 2:2 |
| უნგრეთი-ჰონდურასი | 0:3 |

**ინგლისი. პრემიერლიგა**

| | |
|---|---|
| სანდერლენდი-ვულვზი | 5:2 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

| | |
|---|---|
| პლიმუთი-ნოტინგემი | 0:1 |

**იტალია. სერია ა**

| | |
|---|---|
| კატანია-რომა | 1:1 |
| კიევო-ატალანტა | 1:1 |
| ლაციო-პალერმო | 1:1 |
| იუვენტუსი-ბოლონია | 1:1 |
| ნაპოლი-სიენა | 2:1 |
| პარმა-კალიარი | 0:2 |
| უდინეზე-ჯენოა | 2:0 |
| მილანი-ბარი | 0:0 |

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ალმერია-რასინგი | 2:2 |
| მალიორკა-ვალიადოლიდი | 3:0 |
| ოსასუნა-ხიხონი | 1:0 |
| ესპანიოლი-ხერესი | 0:0 |
| სარაგოსა-ხეტაფე | 3:0 |
| დეპორტივო-ვილეარელი | 1:0 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ბეტისი-კართაგენა | 0:0 |
| სოსიედადი-უესკა | 2:0 |
| ტარაგონა-ნუმანსია | 0:1 |
| ელჩე-კორდობა | 3:0 |

**გერმანია. ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| ფრაიბურგი-გლადბახი | 3:0 |
| ჰოფენჰაიმი-ჰერტა | 5:1 |

**საფრანგეთი. I ლიგა**

| | |
|---|---|
| ლე მანი-ლანსი | 3:0 |
| ლილი-ნიცა | 1:1 |
| ბორდო-რენი | 1:0 |

**ჰოლანდია. ეredivizioni**

| | |
|---|---|
| ბრედა-ფეინოორდი | 0:2 |
| გრონინგემი-ვიტესი | 1:0 |
| სპარტა-ჰერენვენი | 0:2 |
| ნაიმეგენი-ჰერაკლესი | 0:2 |

**ბელგია. პრო ლიგა**

| | |
|---|---|
| ანდერლეხტი-ბეერსხოტი | 1:0 |
| მუსკრონი-ბრიუგე | 1:1 |

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| რიდი-ლინცერი | 5:2 |

**შვეიცარია. სუპერლიგა**

| | |
|---|---|
| ლუცერნი-ბელინცონა | 2:0 |
| სიონი-გრასჰოპერსი | 2:3 |
| ციურიხი-ქსამაქსი | 1:2 |

**თურქეთი. სუპერლიგა**

| | |
|---|---|
| გალათასარაი-ერჩიესი | 1:1 |
| დენიზლი-მანისა | 1:1 |
| ქაისერი-ქაშიმფაშა | 0:0 |

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

| | |
|---|---|
| ასტერასი-ლევადიაკოსი | 2:1 |
| ერგოტელისი-პანთრაკიკოსი | 4:0 |
| ატრომიტოსი-პაოკ | 0:0 |
| კავალა-ირაკლისი | 1:0 |
| აეკ-პანათინაიკოსი | 0:1 |

**რუსეთი. პრემიერლიგა**

| | |
|---|---|
| ტერეკი-ლოკომოტივი | 2:1 |
| სპარტაკი(მ)-ტომი | 5:0 |
| ყუბანი-კრ.სოვეტოვი | 0:0 |

**ჩეხეთი. გამბრინუსლიგა**

| | |
|---|---|
| პრჟიბრჟამი-ბუდეოვიცე | 3:1 |
| სიგმა-იაბლონეცი | 0:1 |
| კლადნო-ბოჰემიანსი | 3:2 |

*(კლადნოელთა პირველი გოლი დიმიტრი ტატანაშვილმა გაიტანა)*

**პოლონეთი. ექსტრაკლასი**

| | |
|---|---|
| შლიონსკი-რუხი | 0:0 |
| პოლონია-არკა | 3:1 |

**დანია. სასლიგა**

| | |
|---|---|
| მიდტიულანდი-სონდერიისკე | 0:2 |
| რანდერსი-კიოგე | 1:1 |
| სილკებორგი-ბრონდბიუ | 4:1 |
| ოლბორგი-კოპენჰაგენი | 1:2 |

**ნორვეგია. ტიპელიგა**

| | |
|---|---|
| ბოდო გლიმტი-ვალერენგა | 0:2 |
| ვიკინგი-ალესუნდი | 1:1 |
| ლინი-ტრომსო | 0:1 |
| სანდერფიორდი-სტარტი | 1:0 |
| სტაბეკი-სტრომგოდსეტი | 3:1 |
| მიოლდე-რუსენბორგი | 0:2 |

**შვედეთი. ალსვენსკა**

| | |
|---|---|
| მალმიო-ჰამარბი | 3:1 |
| ტრელებორგი-ჰელსინბორგი | 4:2 |

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

| | |
|---|---|
| ჰიკ-მიუპა | 1:0 |
| ლახტი-ჰაკა | 2:4 |
| მარიეჰამნი-იარო | 2:1 |
| როვანიემი-ტურკუ | 0:4 |

**აშშ. მლს**

| | |
|---|---|
| ვაშინგტონი-სან ხოსე | 1:2 |

**ბრაზილია. სერია ა**

| | |
|---|---|
| გოიასი-გრემიო | 2;1 |
| ინტერნასიონალი-ფლამენგო | 0:0 |
| კურიტიბა-ნაუტიკო | 2:0 |
| სან პაულუ-კორინთიანსი | 1:1 |
| ფლუმინენსე-ავაი | 3:2 |
| ატლეტიკო(მ)-სანტოსი | 3:1 |
| ბოტაფოგო-ვიტორია | 1:3 |
| რესიფე-სანტა ანდრე | 2:1 |

### კალათბურთი

**მერიკის ჩემპიონატი. ქალები**

| | |
|---|---|
| ვენესუელა-დომინიკების რესპ. | 87:82(დდ) |
| პუერტო რიკო-ჩილე | 61:49 |
| კუბა-კანადა | 49:59 |
| ბრაზილია-არგენტინა | 71:48 |

### ფრენბურთი

**ევროპის ჩემპიონატი. ქალები**

| | |
|---|---|
| იტალია-საფრანგეთი | 3:1 |
| სერბეთი-სლოვაკეთი | 3:0 |
| ჰოლანდია-პოლონეთი | 3:0 |
| აზერბაიჯანი-ჩეხეთი | 2:3 |
| ბულგარეთი-ბელარუსი | 3:1 |
| თურქეთი-გერმანია | 2:3 |
| ესპანეთი-ხორვატია | 3:2 |
| რუსეთი-ბელგია | 3:2 |

### ხელბურთი

**მსოფლიოს თასი. ქალები**

| | |
|---|---|
| ნორვეგია-რუმინეთი | 27:28 |
| დანია-გერმანია | 28:28(6:8პ) |

### ჩოგბურთი

**ტოკიო. ვტა. პაპდი**

| | |
|---|---|
| ლისიცკი-შნიდერი | 6:4;6:0 |
| ვესნინა-მარტინესი | 6:3;6:2 |
| რეზაი-ერანი | 6:2;6:2 |
| კლეიბანოვა-მორიტა | 6:1;6:4 |
| პავლუჩენკოვა-სუარეს ნავარო | 6:1;7:6 |
| დულკო-სავაი | 6:3;6:0 |
| ბამერი-პეტკოვიჩი | 5:7;4;6 |
| კანეპი-ჩანგი | 3:6;3:6 |
| ივანოვიჩი-საფაროვა | 4:6;6:7 |
| პენეტა-ვინჩი | 1:6;2:6 |
| ლი-კორნე | 6:4;6:0 |
| პეტროვა-სუგიამა | 6:0;6:1 |
| ბარტოლი-კირსტეა | 6;3;6:0 |
| ჰანტუჩოვა-კრეიბასი | 6:3;6:3 |
| დუშევინა-ბონდარენკო ა. | 1:6;7:5;6:1 |
| რიბარიკოვა-რადვანსკა!უ. | 6:4;6:4 |
| საფინა-ჩანგი | 6:7;6;4;5:7 |
| ბონდარენკო!კ.-გრონეფელდი | 6:3;6:1 |
| სტოსური-გლატჩი | 7;5;6:0 |
| ჩენგი-მირზა | 5:7;6:2;6:3 |
| რადვანსკა!ა.-მაკაროვა | 7:5;6:3 |
| კუზნეცოვა-პეტკოვიჩი | 5:7;6:4;3:6 |
| რაზანო-ბენეშოვა | 6:3;6:7;0:6 |
| შარაპოვა-სკიავონე | 4:6;7:5;6:1 |
| პენგი-მედინა გარიგესი | 6:3;6:3 |

მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა

## დღის კალენდარი

### 29 სექტემბრისთვის



**წლის 272-ე დღე, ახალ წლამდე დარჩა 93 დღე.**

### საეკლესიო კალენდარი

მე-17 შვიდეული სულთმოფენობიდან. სამშაბათი.შემდგომი დღესასწაული ჯვრის ამაღლებისა.

ხსენება მოწამე ქართველთა, ისააკ და იოსებისა, კარნუ - ქალაქში წამებულთა (808). დიდმოწამე ეფემია ყოვლადქებულისა (304); მოწამე სებასტიანესი (I); მოწამე მელიტინასი (II); მოწამე ვიქტორისა და სოსთენისა (დაახლ. 304); ღირსი დოროთეოზისა, მეგვიპტელ მეუდაბნოისა (IV); მოწამე ლიუდმილასი (927).

წმიდა მოწამეები ისააკ და იოსებ, ღვიძლი ქართველი ძმები, კარნუს ქალაქში სარკინოზთაგან წამებულები. დედამ, კეთილმა და ღვთისმოშიშმა ქრისტიანმა ქალმა, ქრისტიანული რწმენით აღზარდა ვაჟიშვილები. როცა წამოიზარდნენ, მათ წერილით მიმართეს ბიზანტიის იმპერატორს ნიკიფორე პირველს, რომელსაც ნებას თხოვდნენ კონსტანტინოპოლში ჩასვლისა და მის სამსახურში შედგომისათვის. როდესაც დადებითი პასუხი მიიღეს, გამგზავრებისას ქალაქის ამირას ბრძანებით დააკავეს და ძმებს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს. დასჯის ადგილას წმიდა მოწამეებმა მუხლი მოიყარეს და მხურვალე ლოცვა აღუვლინეს უფალს, რის შემდეგაც მათ თავები მოჰკვეთეს. მოგვიანებით მათ საფლავზე ტაძარიც აღაშენეს, რომელიც ყოვლადწმიდა სამების სახელად იქნა განათლებული.

წმიდა დიდმოწამე ეფემია ყოვლადქებული ასული იყო ქრისტიანი მშობლებისა - სენატორ ფილოფრონისა და ფეოდისიასი. წმიდანი ევნო ქალაქ ქალკიდონში ქრისტეს სახელისათვის, ბოსფორის სრუტის სანაპიროზე, კონსტანტინეპოლის მახლობლად. ქალაქ ქალკიდონის მახლობლად მისი წმიდა ნაწილები პატივით მიაბარეს მიწას. შემდეგში წმიდა დიდმოწამე ეფემიას საფლავზე დიდებული ტაძარი აღაშენეს. სწორედ ამ ტაძარში ტარდებოდა IV მსოფლიო საეკლესიო კრების სხდომები.

წმიდა მოწამე სებასტიანე პავლე მოციქულის მოწაფე იყო. იგი მტკიცედ აღიარებდა თავის რწმენას ქრისტესი და ამისათვის მოწამეს თავი მოჰკვეთეს. მისი სხეული, რომელიც მტარვალებმა ზღვაში გადააგდეს, ანგელოზებმა კუნძულ როდოსზე გამოიტანეს უხრწნელად.

წმიდა მოწამე მელიტინა ქალაქ მარკიანოპოლში ცხოვრობდა იმპერატორ ანტონინე პიუსის დროს. წმიდანი თავდადებული ქრისტიანი იყო და თავისი ქადაგებებით მან მრავალი წარმართი მოაქცია ქრისტეს სჯულზე, რისთვისაც იმპერატორის ბრძანებით თავი მოჰკვეთეს.

ჩეხეთის დედოფალი წმიდა მოწამე ლიუდმილა ჩეხეთის მთავარმა ბორივოიმ შეირთო ცოლად. ისინი ქრიტიანულ ეკლესია-ტაძრებს აშენებდნენ თავიანთ სამშობლოში და მღვდელმსახურებსაც იწვევდნენ ბიზანტიიდან მათთვის ღვთის მსახურების აღსასრულებლად.

### დაიბადნენ:

1518 — იაკობო ტინტორენტო, იტალიელი მხატვარი. გარდაიცვალა 1594 წელს.

1547 — მიგელ სერვანტესი, ესპანელი მწერალი. გარდაიცვალა 1616 წელს.

1758 — ჰორაციო ნელსონი, ინგლისური ფლოტის ადმირალი. გარდაიცვალა 1805 წელს.

1821 — სულხან ბარათაშვილი, ქართველი ისტორიკოსი. გარდაიცვალა 1866 წელს.

1864 — მიგელ უნამუნო, იტალიელი მწერალი და ფილოსოფოსი. გარდაიცვალა 1936 წელს.

1880 — ნიკო ლორთქიფანიძე, მწერალი. გარდაიცვალა 1944 წელს.

1901 — ენრიკო ფერმი, იტალიელი ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი. გარდაიცვალა 1954 წელს.

1904 — ნიკოლოზ ოსტროვსკი, რუსი მწერალი. გარდაიცვალა 1936 წელს.

1931 — ანიტა ეკბერგი, შვედი კინომსახიობი.

1931 — ჯეიმს ვოტსონ კრონინგი, ამერიკელი ფიზიკოსი.

### გარდაიცვალნენ:

1560 — გუსტავ I, შვეციის მეფე.

1910 — ჰომერ ვინსლოუ, ამერიკელი გრაფიკოსი.

1913 — დიზელ რუდოლფი, გერმანელი ინჟინერი.

1927 — აინტოვენ მილიამი, ჰოლანდიელი ფიზიოლოგი - ელექტროკარდიოგრაფიის ფუძემდებელი, ნობელის პრემიის ლაურეატი.

### მოვლენები:

1783 წელი — ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-მ რუსეთის ქვეშევრდომობა მიიღო.

1908 წელი — საერთაშორისო კონფერენციამ აკრძალა ბავშვებისათვის ღამით მუშაობა.

1911 წელი — იტალიამ ომი გამოუცხადა თურქეთს.

1916 წელი — ჯონ როკფელერი მსოფლიოში პირველი მილიარდერი გახდა.

1973 წელი — სამხრეთ-აღმოსავლეთ მექსიკაში მიწისძვრის შედეგად დაიღუპა 700 ადამიანი და ათიათასობით უსახლკაროდ დარჩა.

1977 წელი — კოსმოსში გაუშვეს ორბიტული სადგური "სალუტ-6".

1982 წელი — დასრულდა მსოფლიოს გარშემო შვეულმფრენით შემოფრენა.

1988 წელი — ნობელის პრემია მიენიჭა გაეროს სამშვიდობო ძალებს.

### ღირსსახსოვარი დღე:

ყრუ-მუნჯთა საერთაშორისო დღე.

**მედიანიუსი**

## შვეიცარიის ხელისუფლებამ რომან პოლანსკი დააპატიმრეს

ციურიხის კინოფესტივალის ორგანიზატორების თქმით, შვეიცარიის ხელისუფლებამ ამ კინოფორუმზე სტუმრად ჩასული რეჟისორი რომან პოლანსკი დააპატიმრეს.

იგი 1978 წელს პოლანსკის სახელზე აშშ-ის ხელისუფლების მიერ გამოწერილი ორდერის საფუძველზე დააკავეს.

ფესტივალის დროს პოლანსკის რეჟისორულ მოღვაწეობასთან დაკავშირებით ჯილდო უნდა მიეღო.

ფესტივალის ორგანიზატორების თქმით, პოლიციამ იგი ციურიხის აეროპორტში ჩასვლის შემდეგ დააკავა. ორგანიზატორების თქმით, ისინი ამ შემთხვევით მეტად აღელვებულები არიან.

ფესტივალის ორგანიზატორების თქმით, პოლანსკის დაჯილდოების ცერემონიალი მაინც გაიმართება, რათა მაყურებელმა რეჟისორისათვის სოლიდარობის გამოხატვა შეძლოს და მის ტალანტს პატივი მიაგოს.

როგორც მიმომხილველები აღნიშნავენ, ახლო მომავალში შვეიცარიის ხელისუფლებს რომან პოლანსკის აშშ-ის ხელისუფლებისათვის გადაცემის საკითხის განხილვა მოუწევთ. ბერნსა და ვაშინგტონს შორის არსებობს შეთანხმება ეჭვმიტანილთა ექსტრადიციის შესახებ.

რომან პოლანსკიმ აშშ 1978 წელს დატოვა. 13 წლის მოსწავლე-მოდელთან ინტიმური ურთიერთობისათვის მას პატიმრობა ემუქრებოდა.

რეჟისორმა არასრულწლოვანთან კავშირში თავი დამნაშავედ ცნო და შედეგად პროკურატურამ რეჟისორს ხუთი სხვა ბრალდება მოუხსნა, გაუპატიურების ბრალდების ჩათვლით.



შემდეგ პოლანსკიმ აშშ მოულოდნელად დატოვა და მოსამართლემ მისი დაკავების ორდერი გამოწერა. ეს ორდერი დღემდე ძალაში რჩება.

ამ მიზეზით 76 წლის რეჟისორი, რომელიც საფრანგეთში ცხოვრობს, აშშ-ში ჩასვლას ვერ ახერხებს. გარდა ამისა, შესაძლო ექსტრადიციის შიშით დიდ ბრიტანეთში სტუმრობასაც ერიდება.

რომან პოლანსკის ადვოკატებმა განაცხადეს, რომ თავის დროზე, რეჟისორის საქმის განხილვის დროს, პროცედურული დარღვევები იქნა დაშვებული.

წლეულს ამერიკელმა მოსამართლემ ეს დარღვევები აღიარა, მაგრამ რეჟისორს აშშ-ში დაბრუნება და ბრალდებების მოხსნის თხოვნის წარდგენა შესთავაზა. რეჟისორის ადვოკატებმა პასუხად განაცხადეს, რომ პოლანსკის აშშ-ში დაბრუნება არ შეუძლია, რადგან მაშინვე დააპატიმრებენ.

რომან პოლანსკის საქმის დასრულებას პირველად არ ცდილობენ. 1997 წელს რეჟისორმა დაზარალებული გოგონას ოჯახთან შეთანხმებას მიაღწია და კომპენსაციაც გადაიხადა.

მიუხედავად ამისა, საქმე არ დახურულა. ახალმა მოსამართლემ პოლანსკის მისი სასამართლო პროცესის პირდაპირ ეთერში ტრანსლაციის სანაცვლოდ ყველა ბრალდების მოხსნა შესთავაზა. რეჟისორმა უარი განაცხადა.

რომან პოლანსკიმ კომუნისტური პოლონეთი 1960-იანი წლების დასაწყისში დატოვა. იგი გახლავთ არაერთი ფილმის ავტორი, რომლებიც მსოფლიოში დიდი პოპულარობით სარგებლობენ. მის პირველ გახმაურებულ ფილმად იქცა 1968 წელს გადაღებული „როზმარის ბავშვი".

1969 წელს რომან პოლანსკის ორსული ცოლი შარონ თეითი და მისი სამი მეგობარი ჩარლზ მენსონის დაჯგუფების წევრებმა დახოცეს. ამ ტრაგედიის შედეგად ღრმად შეძრული რეჟისორი ევროპაში გადავიდა, სადაც ფილმების გადაღებას აგრძელებდა.

1974 წელს იგი აშშ-ში დაბრუნდა და გადაიღო ფილმი „ჩინური კვარტალი", რომელშიც მთავარი როლი ჯეკ ნიკოლსონმა შეასრულა.

მის ბოლოდროინდელ ფილმებს შორის ყველაზე ცნობილია „პიანისტი" (2002), რომლისთვისაც მან საუკეთესო რეჟისორის ოსკარი მიიღო.

თუმცა, აშშ-ში მისთვის წაყენებული ბრალდების გამო რომან პოლანსკი დაჯილდოების ცერემონიალს არ დასწრებია და კინოაკადემიის პრიზი მხოლოდ ნახევარი წლის შემდეგ მიიღო.

## ჩინეთში ოთხფრთიანი დინოზავრი იპოვეს

ჩინელმა პალეონტოლოგებმა აღმოაჩინეს ჩიტის მსგავსი დინოზავრის ჩონჩხი, რომელსაც წინა და უკანა კიდურები ბუმბულით ჰქონდა დაფარული. როგორც მკვლევარები ვარაუდობენ, ნამარხი ცხოველი, რომელსაც სახელად „ანქიორნის ჰაქსლი" უწოდეს, ფრინველებსა და დინოზავრებს შორის გარდამავალ რგოლს წარმოადგენდა. შესაბამისი სტატია ჟურნალ „ნეიჩაში" უნდა გამოქვეყნდეს. მეცნიერები ფრინველის მსგავსი დინოზავრების გაქვავებულ ნაშთებს წარსულშიც შეხვედრიან. ახლად აღმოჩენილ დინოზავრს წინა, უკანა კიდურები და კუდი უხვად აქვს შებუმბლული. ისინი



ფორმით ფრინველის ფრთებს და კუდს ჰგვანან. მეცნიერების თქმით, ნამარხი ცხოველი შესანიშნავად არის შემონახული. იგი ჩინეთის ლიაონინის პროვინციაში აღმოაჩინეს.

მეცნიერების ვარაუდით, ეს ცხოველი გარდა იმისა, რომ დინოზავრებისა და ფრინველების ევოლუციის გარდამავალ რგოლს წარმოადგენს, სახეობიდან სახეობისაკენ ბუმბულის განვითარების პროცესის შესწავლის ახალ შესაძლებლობებს ხსნის. ახალი აღმოჩენა იურის პერიოდის მიწურულს, ე.წ. ოქსფორდის საუკუნეს (160 მილიონი წლის წინ) უკავშირდება. ამგვარად, ამ ნამარხის ასაკი ფრინველების სხვა წინაპრების, 150 მილიონი წლის წინ მცხოვრები არქეოპტერიქსების ასაკს აღემატება. გარდა ამისა, „ანქიორნის ჰაქსლი" ფრინველისებრი დინოზავრების ყველაზე ძველი წარმომადგენელია.

პალეონტოლოგები ჩინეთში დინოზავრების ნამარხ ნაშთებს შესაშური რეგულარობით პოულობენ. გასული წლის ბოლოს ჩინეთის აღმოსავლეთით, შანდუნის პროვინციაში, ქალაქ ჩჯუჩენის მახლობლად მსოფლიოში უდიდესი „დინოზავრების სასაფლაო" აღმოაჩინეს. აქ უძველესი ხვლიკების 7600-მდე ძვალი აღმოაჩინეს. უმეტესობა მეზოზოური ერის გვიანი ცარცის პერიოდს განეკუთვნება, დროს, როდესაც დინოზავრების სწრაფი გადაშენება დაიწყო.

დინოზავრების ძვლები პირველად შანდუნში 1960-იან წლებში ნავთობის ძებნის დროს იპოვეს. მას შემდეგ ნაპოვნი გაქვავებული ნაშთების საერთო წონამ 50 ტონას გადააჭარბა.

გასული წლის მარტში ჩინელი გეოლოგები დინოზავრების კიდევ რამდენიმე „სასაფლაოს" გადააწყდნენ.

## დედოფლის კორონაციის შესახებ საუკეთესო სასკოლო თემა პოლ მაკარტნის დაუწერია

ლივერპულის ბიბლიოთეკაში ნაპოვნია საშინაო დავალება, რომელიც მოსწავლე პოლ მაკარტნიმ 1953 წელს ბრიტანეთის დედოფლის, ელისაბედ მეორის მეფედ კურთხევასთან დაკავშირებით დაწერა.

ეს ხელნაწერი არქივში 50 წლის განმავლობაში ინახებოდა. ის რომ საშინაო დავალება ფონდში მოხვდა, ბიბლიოთეკარების დამსახურება სულაც არ არის.

საქმე ისაა, რომ პოლ მაკარტნის თხზულება ასეული სხვა მოსწავლის თხზულებებს შორის საუკეთესოდ მიიჩნიეს. ეს ნამუშევრები ბრიტანეთის ახალი მონარქის ტახტზე ასვლასთან დაკავშირებით გამოცხადებული კონკურსის ფარგლებში იქნა წარგდენილი.

როგორც ჩანს, ანსამბლ „ბითლზის" მომავალი ვარსკვლავი, რომელიც ამ თხზულების დაწერისას 10 წლის იყო, ფართო საზოგადოების წინაშე პირველად სწორედ მაშინ წარდგა დედოფლის შესახებ საუკეთესო თხზულების ავტორისათვის დაწესებული ჯილდოს გადაცემის ცერემონიალის დროს.

მიუხედავად იმისა, რომ მაკარტნის შეფასება რამდენიმე გრამატიკული შეცდომის გამო უმაღლესი არ იყო, ავტორმა მაინც დაიმსახურა ჯილდო, რომელიც მას ლივერპულის ლორდ-მერმა გადასცა.

თავის თხზულებაში მომავალი მუსიკოსი „მშვენიერი ახალგაზრდა დედოფლის, ელისაბედის" შესახებ წერს. იგი ბაკინჰემის სასახლეში დანიშნულ ცერემონიალს ვილჰელმ დამპყრობლის კორონაციას ადარებს, რომელიც 900 წლით ადრე მოხდა. ახალგაზრდა მაკარტნის თქმით, დღევანდელი ბრიტანელი მონარქი უფრო სიყვარულის საშუალებით მართავს ქვეყანას, ვიდრე ძალის საშუალებით.

აღსანიშნავია, რომ მოსწავლის აკურატული კალიგრაფიით დაწერილი თხზულება ავტორის მომავალი კარიერის შესახებ რამდენიმე მინიშნებას შეიცავს. ასე, მაგალითად, მისი მომრგვალებული ინგლისური „ბი" ძალიან ჰგავს იმ ასოს, რომელიც მოგვიანებით პოლ მაკარტნიმ ლეგენდარული ანსამბლის დოლზე „ბითლზის" წარწერის დროს გამოიყვანა.




პოლ მაკარტნი „სადედოფლო" თემას მოგვიანებით, 16 წლის შემდეგ დაუბრუნდა, თუმცა საეჭვოა, რომ მისი მორიგი თხზულება რაიმე პრიზს დაიმსახურებდა.მისი შინაარსი საკმაოდ სარისკოა. მოკლე სიმღერა სახელწოდებით „ჰერ მაჯესთი" — „მისი უდიდებულესობა" ალბომ „ები როუდს" აგვირგვინებს. მასში არის ასეთი სიტყვები „მისი უდიდებულესობა ძალიან საყვარელი გოგოა, ოდესმე იგი ჩემი გახდება".

ავტორის ამ თავისუფალი ფანტაზიის მიუხედავად, დედოფალმა ელისაბედ II-მ 1997 წელს პოლ მაკარტნი ბრიტანეთის იმპერიის რაინდად აკურთხა.

**მოამზადა გენადი თვაურმა**

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. სახელმწიფო ევროპაში; 2. ეთერზეთოვანი მცენარე, ყვავილი; 3. ვირტუოზი ქართველი ხელბურთელი; 4. ვაშლის ქართული ჯიში; 7. უძველესი ქართული სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 9. უბანი თბილისში; 12. სხვადასხვა ნაწილებისგან შეკოწიწებული რამ; 14. ცეცხლსასროლი იარაღის მწარმოებელი იტალიური ფირმა; 15. ქონება, რომელსაც ატანენ საპატარძლოს მშობლები გათხოვებისას; 17. ნიჟარაში ბინადარი, რბილსხეულიანი ცხოველი; 20. ბურთიანი ჰოკეის ინგლისური სახელწოდება.

**თარაზულად:** 5. აგროკონსორციუმი საქართველოში; 6. კინოფესტივალი, გამოფენა, რომელიც ორ წელიწადში ერთხელ იმართება; 8. სპორტის ოლიმპიური სახეობა; 10. ქიმიური ელემენტი, აირი; 11. სპეციალური სათხილამურო ფეხსაცმელი; 13. საფრანგეთის ნაკრებისა და „იუვენტუსის" ფეხბურთელი; 16. სიცოცხლის გავრცელების არე დედამიწაზე; 18. თხრობითი ხასიათის ლექსი; 19. ფულის ერთეული ირანში; 21. საკვები პროდუქტების მწარმოებელი შვეიცარიული ფირმა; 22. საიდუმლო გულისნადები; 23. იატაკის ხის საფარი.

**შეადგინა თ. გოგინაშვილმა**

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის და სკანვორდის პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 5. სინეკურა; 7. პროლოგი; 8. კორიფე; 10. მარტინი; 12. იმედა; 13. ვალსი; 14. კომანდორი; 18. მასრა; 20. სალათა; 23. ასაბია; 24. რაში; 25. ჰამაკი; 26. მინა; 27. ალიყური.

**შვეულად:** 1. სირენა; 2. ვაშლი; 3. კრინტი; 4. ირონია; 6. აპრიორი; 9. მაგმა; 11. გლოსერი; 15. ნადიბანი; 16. სალამე; 17. მარაკანა; 19. ამანათი; 21. მარსელი; 22. ასტამი.

**სკანვორდის პასუხები:**

1. ფარა; 2. ფრაუ; 3. ამბიცია; 4. ბია; 5. ილი; 6. ოქრო; 7. რაცია; 8. ურა; 9. აგა; 10. კომეტა; 11. ლედი; 12. აფრა; 13. რომა; 14. დუ; 15. სუმო; 16. ეტლი; 17. აპრიორი; 18. ალ; 19. უნია; 20. მახრა; 21. კრემაცია; 22. არკა; 23. აკა; 24. მული; 25. ემე; 26. ბიზნესი; 27. მიიო; 28. პიეხა; 29. ბუ; 30. ნანსუკი; 31. მაზრა; 32. ზრო; 33. ლაზიერი; 34. ქალამანი.

**სურათებზე:** ჯენიფერ ლოპესი; დიდიე დროგბა.

# კანცლერი მერკელი პრიორიტეტს სამუშაო ადგილების შენარჩუნებას ანიჭებს



გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა ბუნდესტაგის არჩევნებში მისი პარტიის გამარჯვების შემდეგ განაცხადა, რომ კანცლერის პოსტზე მეორე ვადით ყოფნის განმავლობაში მისი პრიორიტეტი ევროპაში უდიდესი ეკონომიკის მქონე ქვეყნის წარსული კეთილდღეობის დაბრუნება იქნება.

უახლოეს მომავალში დაიწყება მოლაპარაკება ანგელა მერკელსა და ლიბერალურ თავისუფალ დემოკრატებს შორის. ეს პარტია მერკელმა კოალიციისათვის ყველაზე შესაფერისად მიიჩნია.

კანცლერს მიაჩნია, რომ მისი პარტიის, ქრისტიან-დემოკრატიული კავშირისა და ქრისტიან-სოციალური კავშირის კონსერვატიული ბლოკისათვის ლიბერალურ დემოკრატებთან კოალიცია ეკონომიკის გაჯანსაღების საუკეთესო ინსტრუმენტად იქცევა.

სოციალ-დემოკრატებმა, რომლებიც მანამდე mlrrmcr-csfy მინისტრების პორტფელებს იყოფდნენ, კვირას გამართულ არჩევნებში ბოლო ათწლეულების უმძიმესი მარცხი იწვნიეს.

თავის ტრიუმფალურ გამოსვლაში ანგელა მერკელმა განაცხადა, რომ კრიზისის დროს მას ყველა გერმანელის კანცლერად ყოფნა სურს და რომ სამუშაო ადგილების დაცვა და შექმნა მის „უმაღლეს მიზნად" იქცევა.

მისი თქმით, დღეს კიდევ შეიძლება ზეიმი, მაგრამ ხვალიდან მძიმე სამუშაო იწყება.

არჩევნების ოფიციალური შედეგები ჯერ კიდევ არ არის გამოქვეყნებული, მაგრამ მსხვილი გერმანელი მაუწყებლების ინფორმაციით, mlrrmcr ბლოკმა ამომრჩევლების 33%-ის მხარდაჭერა მოიპოვა, სოციალ-დემოკრატებმა 23%, რაც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ უარეს შედეგს წარმოადგენს.

თავისუფალ დემოკრატებს ხმა ამომრჩევლების 15%-მა მისცა. მემარცხენე პარტიამ 12% მოაგროვა, მწვანეთა პარტიამ 10%.

ექსპერტების თქმით, კონსერვატორი და თავისუფალი დემოკრატი დეპუტატების გაერთიანება ბუნდესტაგში 48%-იან კოალიციას შექმნის, რაც სტაბილური უმრავლესობის მთავრობის შექმნის შესაძლებლობას იძლევა.

სოციალ-დემოკრატიული პარტია, რომელიც ბოლო ოთხი წლის განმავლობაში გერმანული „დიდი კოალიციის" უცვლელი უმცროსი პარტნიორი იყო, მთავრობის მიღმა დარჩა.

სოციალ-დემოკრატების ლიდერმა ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერმა განაცხადა, რომ მისი პარტია „ფხიზელი ოპოზიციონერი" გახდება და ბრძოლას გააგრძელებს.

იმავდროულად, უცხოეთის ზოგიერთმა ლიდერმა ანგელა მერკელს უკვე გამარჯვება მიულოცა.

თეთრი სახლის წარმომადგენლების თქმით, აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაქ ობამამ განაცხადა, რომ ძლიერი მთავრობის პირობებში ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა კვლავაც განმტკიცდება და გაღრმავდება.

თავის მხრივ, კანცლერმა მერკელმა განაცხადა, რომ თავისუფალი დემოკრატების ლიდერ გუიდო ვესტერველესთან სწრაფ და გაბედულ მოლაპარაკებებს გამართავს. სავარაუდოა, რომ ეს უკანასკნელი ახალ კოალიციაში საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტს დაიკავებს.

თავად ვესტერველემ განაცხადა, რომ ახალი მთავრობა შესაბამისად მოიქცევა. მისი თქმით, ამიერიდან გერმანიისა და მისი ხალხის სახელით „ნამდვილი მუშაობა" იწყება.

# მოლდავეთის პრემიერმა რუსეთს დნესტრისპირეთიდან ჯარების გაყვანა მოსთხოვა

მოლდავეთის ახალმა პრემიერ-მინისტრმა ვლად ფილატმა პოსტის დაკავებისთანავე რუსეთის ჯარების დნესტრისპირეთიდან გაყვანა მოითხოვა.

კრემლის წარმომადგენლებისათვის ამ მოთხოვნის შესახებ დსთ-ის წევრი ქვეყნების ინტელიგენციის ფორუმიდან გახდა ცნობილი. ეს ფორუმი კიშინიოვში გაიმართა.



მოლდავეთის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა მიხაი გიმპუმ განაცხადა, რომ რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი სერგეი ნარიშკინი ამ პრობლემის გადაწყვეტის აუცილებლობას იზიარებს.

როგორც გაზეთი „კომერსანტი" აღნიშნავს, პრემიერ-მინისტრი ფილატი დნესტრისპირეთის რაიონიდან რუსეთის ჯარების გაყვანას მანამდე მიღწეული სტამბულის შეთანხმების საფუძველზე მოითხოვს.

მან რუსეთს ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებები შეახსენა და განაცხადა, რომ მათ შესრულება სჭირდება. მისი თქმით, ეს პროცესი საერთაშორისო საზოგადოებრიობამ უნდა გააკონტროლოს.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლების თქმით, ამ საკითხში რუსეთის პოზიცია უცვლელი რჩება. მას არ მიაჩნია, რომ რაიმე საერთაშორისო შეთანხმებები ირღვევა.

რუსეთის ჯარები დნესტრისპირეთში იარაღის საწყობებს იცავენ.

მიმომხილველების თქმით, დსთ-ის წევრი ქვეყნების ინტელიგენციის ფორუმი რუსეთმა მოლდავეთის ახალი ხელისუფლების გაცნობის მიზნით გამოიყენა. კრემლს სურს გამოარკვიოს, არის თუ არა მათგან დსთ-დან გამოსვლის, რუმინეთთან გაერთიანების ან ნატოში გაერთიანების მსგავსი რაიმე მკვეთრი ნაბიჯი მოსალოდნელი.

ცნობილია, რომ მოლდავეთის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი მიხაი გიმპუ პრორუმინული და მთლიანობაში ანტირუსული მიმართულების პოლიტიკოსია.

კრემლს, რომელმაც პრეზიდენტის არჩევნებში ფსონი ყოფილ პრეზიდენტ ვლადიმირ ვორონინზე დადო, კიშინიოვის პოლიტიკურ ავანსცენაზე გამოსულ ახალ პირებთან დამოკიდებულების გარკვევა ესაჭიროება.

# TV პროგრამა

## სამშაბათი 29 სექტემბერი

08.00 ან. სერ. "პიტი და კენტროფი" 08.30 სერ. "**ჯგუფი**" 09.00 დოკ. ფილმი "საუცხოო ქმნილებები" 10.00 სერ. "**ვერონიკა მარსი**" 11.00 სერ. "**ელიზა და რივომბროზა**" 12.00, 16.00, 20.00 მოამბე 12.30 თოქ-შოუ "გოლი" 14.30 მოამბე ოსურ ენაზე 15.00 სერ. "**გზა ავონლეასკენ**" 16.30 ან. სერ. "პიტი და კენტროფი" 17.00 სერ. "**ზურგის ქარი**" 18.00 დოკ. ფილმი "ვენეცია და სენერისიმა" 19.05 სერ. "**ვერონიკა მარსი**" 20.45 "სიზმარვიზია" 21.00 სერ. "**ჩემი მიწა**" 22.00 ჩვენებურები 22.40 **ფეხბურთი**. ჩემპიონთა ლიგა 00.45 მოამბე 01.10 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა 02.10 მხ. ფილმი "**მარტოხელა გმირი**" (12) (ბ. უილისი)

19.00 ან. ფ."პიტი და კენტროფი" 19.25 "სიზმარვიზია" 19.40 სერ. "ელიზა და რივომბროზა" 20.30 დოკ. ფილმი "საუცხოო ქმნილებები" 21.25 მხ.ფ."**ფილდერის არჩევანი**" 22.00 ცხოვრება მშვენიერია 23.00 მხ. ფილმი "**ყავა და სიგარეტი**" (U)

07.30 დილა მშვიდობისა 10.00 სერ. "**შურისძიების ცეცხლში**" 11.00 კომედი შოუ 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.30 კურიერი 12.20 სერ. "**დონა ბარბარა**" 13.30 ბიზნეს-კურიერი 14.00 სერ. "**უფროხილდი ანგელოზს**" 15.25 სერ. "**ჩვენი ოფისი**" 15.50 სერ. "**გულის ძახილი**" 16.50 სერ. "**დონ ხუანი და ლამაზმანი**" 18.30 სერ. "**ჩვენი ოფისი**" 19.00 სერ. "**გზა დიდებისკენ**" 19.50 სერ. "**დონა ბარბარა**" 22.00 ჯეოსტარი 22.40 **ჩემპიონთა ლიგა**. "ფიორენტინა" – "ლივერპული" 00.40 პატრული 01.00 ლიგის მიმოხილვა 01.40 სერ. "**ცუდი გოგოები**"

08.30 სერ. "ბარტ ვულფი" 09.00 მულტფილმი "საოცარი მითები და ლეგენდები" 10.00 სერ. "**დორის დუკის იდუმალი ცხოვრება**" 11.00 სერ. "**მარია ემილია**" 12.00 სერ. "**სი-ეს-აი**" 13.00 მხ. ფილმი 15.00 სერ. "დინოტოპია" 16.00 სერ. "**კარაბინერები 3**" 17.00 "ფარული კამერა" 17.30 სერ. "**ასა**" 18.00 დოკ. ფილმი "სამყაროს უთვალავი ფერი" 18.30 სერ. "**სინიორ ვიანელო**" 19.00 სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" 21.00 სერ. "**მარია ემილია**" 22.00 მხ. ფილმი 23.30 სერ. "**სი-ეს-აი**" 00.30 მხ. ფილმი

07.45 სერ. "**გაქცევა 4**" 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00 ქრონიკა 10.00 სერ. "**ვიქტორია**" 11.20, 12.40, 14.45 ტვ-მარკეტი 11.40 სერ. "**განრისხებული ანგელოზი**" 13.00 სერ. "**ღირსების საქმე**" 15.00 სერ. "**კლონი**" 16.00 სერ. "**ცხელი ძაღლი**" 17.30 დოკ. ფილმი "ყველაზე, ყველაზე, ყველაზე" 18.00 სერ."**სიყვარულის აჩრდილი**" 19.05 სერ. "**ვიქტორია**" 21.00 სერ. "**განრისხებული ანგელოზი**" 22.00 სერ. "**ცხელი ძაღლი**" 23.00 სერ. "**გაქცევა 4**" 00.45 ქრონიკა 01.00 მხ. ფ."**თავზეხელაღებული ბიჭები**" (U) (ჩ. შინი) 02.35 მხ. ფილმი "**მეტსახელად მორიელი**" (U) (ა. დელონი)

08.00, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30 "დრო" 08.15 მულტფილმი 08.55 მხ. ფილმი "**გურუ**" 10.30, 19.30 სერ. "**დაშნათა დედოფალი**" 11.45, 21.00 სერ. "**ცხოვრების ქარცეცხლში**" 12.40 მხ.ფ."**სად არის წვეულება**" 14.50 პერსონა 15.20 მხ. ფ. "**თანამონაწილე**" 18.00 დოკ. ფილმი 19.00 ნოვოსტი 23.00 მხ.ფ."**ვერონიკა გერინი**" 00.30 მხ. ფილმი "**წაიკითხე ტუჩების მიხედვით**"

ერთსულოვნება 09.10 დილის პროგრამა "განთიადი" 10.00 სტუდენტური დოკ. ფილმების ფესტივალი –დოკ. ფილმი "რომ მოვკვდები, მერე გეტყვი", "ქართული გიმნაზიის დაკარგული ისტორია" 10.30 ნიამორი 11.00 პატრიარქის მოგზაურობა სამეგრელოში, 1-ლი ნ. 11.30 ერთსულოვანი ოჯახი 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.05 საგალობელი 12.05, 15.05 საეკლესიო კალენდარი 12.10 დოკ. ფილმი "სოსო ჩხაიძე" 13.30 კონცერტი 15.10 მულტსერ. "რედვოლი" 15.35 მხ. ფილმი "**ვიკინგები**" 17.15 დოკ. ფ."ველური ბუნება" 17.30 დედა ეკლესია 18.05 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 18.30 ნიამორი 19.15 სტუდენტური დოკ. ფილმების ფესტივალი –დოკ. ფილმი "ვის უხმობს ზარი", "რაღაც სევდა" 19.40 მხ. ფილმი "**თუში მეცხვარე**" 1-ლი ს. 21.05 ახალი აღთქმის განმარტება 21.30 პატრიარქის მოგზაურობა სამეგრელოში, მე-2 ნ. 22.00, 00.00 სიახლენი 22.15 პატრიარქის მოგზაურობა სამეგრელოში, მე-2 ნ. 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 სტუდენტური დოკ. ფილმების ფესტივალი –დოკ. ფილმი "ვის უხმობს ზარი", "რაღაც სევდა"

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით**

# 10 ოქტომბერს თურქეთი სომხეთთან დიპლომატიურ ურთიერთობებს დაამყარებს



თურქეთის პრემიერ-მინისტრის, რეჯეპ ტაიპ ერდოგანის თქმით, 10 ოქტომბერს თურქეთი სომხეთთან დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენის შეთანხმებას მოაწერს ხელს.

შეთანხმებას, ერდოგანის თქმით, ორი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრები მოაწერენ ხელს, რის შემდეგაც დოკუმენტს პარლამენტში რატიფიკაციისათვის გადაგზავნიან.

ოსმალეთის იმპერიის არსებობის უკანასკნელ წლებში დაღუპული სომხების მიმართ ანკარა და ერევანი პრინციპულად განსხვავებულ მიდგომას ამჟღავნებენ. მრავალი წლის განმავლობაში თურქეთი მსოფლიოს არაერთი ქვეყნისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციის მხრიდან პირველი მსოფლიო ომის დროს სომხების მასობრივი მკვლელობის გენოციდად გამოცხადების მოწოდებებს ეწინააღმდეგება.

სომხეთის მონაცემებით, 1915 წლის მოვლენების შედეგად 1.5 მილიონი ადამიანი დაიღუპა. ანკარა ამ რიცხვს გაზვიადებულს უწოდებს და ამტკიცებს, რომ გენოციდი არ ყოფილა.

მიუხედავად ამ წინააღმდეგობებისა, მიმდინარე წლის აპრილში ორმა სახელმწიფომ ურთიერთობების ნორმალიზების „საგზაო რუკა" შეათანხმა.

ამ მიმართულებით ვითარების ნორმალიზაციაში მნიშვნელოვანი წვლილი უნდა შეიტანოს სომხეთის პრეზიდენტის სერჟ სარქსიანის ვიზიტმა თურქეთში, რომელიც 14 ოქტომბრისათვის არის დაგეგმილი. ამ ვიზიტის დროს იგი თურქეთისა და სომხეთის საფეხბურთო ნაკრებების საპასუხო საკვალიფიკაციო მატჩს დაესწრება, რომლებიც მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ნაწილში გასვლის უფლებისათვის იბრძვიან.

# ირანმა დასავლეთს სამხედრო მანევრებით უპასუხა

ირანის სახელმწიფო ტელევიზიის ინფორმაციით, სამხედრო მანევრების დროს ქვეყნის შეიარაღებულმა ძალებმა მცირე სიშორის ორი რაკეტა და მრავალჯერადი გამოყენების სარაკეტო დანადგარი გამოსცადეს.

გამოქვეყნებული ცნობების თანახმად, არმიამ რაკეტები „ტონდარ-69" და „ფატეჰ-110" გამოსცადა. სახელმწიფო ტელევიზიამ აჩვენა კადრები, რომელზეც სტარტია გადაღებული, თუმცა რაკეტების ტექნიკური მახასიათებლების შესახებ არაფერი თქმულა.

დასავლეთის ექსპერტების ვარაუდით, „ფატეჰის" ტიპის რაკეტას სამიზნის დაზიანება 170 კმ-ის მანძილზე შეუძლია, „ტონდარს" კი 150 კმ-ის მანძილზე.

ირანის ისლამური რევოლუციის მცველთა კორპუსმა, შეიარაღებული ძალების ელიტურმა ქვეგანაყოფმა ფართომასშტაბიანი სამხედრო მანევრების „დიდი წინასწარმეტყველი 4"-ის დაწყების შესახებ გამოაცხადა.

მანევრების დროს ირანს მოქმედების დიდი რადიუსის მქონე რაკეტის „შაჰაბ-3"-ის გამოცდაც აქვს გადაწყვეტილი. ირანის განცხადებით, ამ რაკეტას, რომელიც პირველად 2008 წლის ივლისში გამოსცადეს, 2 ათასი კმ-ის დაფარვა შეუძლია. იმ შემთხვევაში, თუკი ეს ინფორმაცია სინამდვილეს შეესაბამება, გარდა ისრაელისა, რაკეტა სპარსეთის ყურეში აშშ-ის სამხედრო ბაზებსაც შეიძლება მისწვდეს.

დასავლეთის ექსპერტების ვარაუდით, სინამდვილეში „შაჰაბ-3"-ის მოქმედების რადიუსი 1.3 ათას კილომეტრს აღწევს.

სპეციალისტების ვარაუდით, ირანის მიერ მოქმედების უფრო ფართო რადიუსის ახალი რაკეტის გამოცდის განცხადება მოწმობს, რომ 2008 წლის ივლისში ირანმა „შაჰაბის" ახალი მოდიფიკაცია გამოსცადა. შესაძლოა, ლაპარაკია „შაჰაბ 3ბ"-ზე, რომელიც, ოფიციალური თეირანის მონაცემებით 2.5 ათასი კმ-ის დაშორებით მდებარე სამიზნეს სწვდება.

როგორც მიმომხილველები აღნიშნავენ, ირანი იმედოვნებს, რომ „შაჰაბი" ბირთვული მუხტების ტარებას შეძლებს, მაგრამ ეს საკმაოდ რთული ამოცანაა.

ირანის მიერ სამხედრო მანევრების დაწყება დასავლეთის ქვეყნებთან ისედაც დაძაბული ურთიერთობის გაუარესების მიზეზად შეიძლება იქ-



ცეს. დასავლეთი ეჭვობს, რომ ირანი ბირთვული იარაღის შექმნას ცდილობს. მიმომხილველების თქმით, მიმდინარე სამხედრო მანევრები საერთაშორისო საზოგადოების ბრალდებებზე ირანის თავისებურ პასუხად უნდა იქნას მიჩნეული.

გასულ კვირას, პარასკევს, ირანმა დასავლეთის ზეწოლით აღიარა, რომ ქვეყნის დედაქალაქის მახლობლად, ქალაქ ყუმთან ურანის გამამდიდრებელი კიდევ ერთი საწარმოს მშენებლობა მიმდინარეობს.

აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის და საფრანგეთის განცხადებით, ირანის ხელისუფლება მისი არსებობის დამალვას ცდილობდნენ. დასავლეთის ქვეყნები გარდა ამისა, ამტკიცებენ, რომ მსგავსი ობიექტის მშენებლობა ირანის მიერ გაეროს ბირთვული ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს წინაშე ნაკისრი ვალდებულებების დარღვევას ნიშნავს.

მიუხედავად ამისა, ირანის პრეზიდენტი მაჰმუდ აჰმადინეჟადი ამტკიცებს, რომ მეორე საწარმოს მშენებლობა სააგენტოს წესებს არ ეწინააღმდეგება. გარდა ამისა, იგი ამ საწარმოში გაეროს ინსპექტორების დაშვებას ჰპირდება.

მიმდინარე წლის 1 ოქტომბერს თეირანის წარმომადგენლები ირანის პრობლემატიკასთან დაკავშირებით გაეროს უშიშროების საბჭოს ხუთი მუდმივმოქმედი წევრის, აშშ-ის, გერმანიის, დიდი ბრიტანეთის, რუსეთისა და საფრანგეთისაგან შემდგარი ჯგუფის წარმომადგენლებს შეხვდებიან.

მოამზადა გენადი თვაურმა

## სამგლოვიარო განცხადებები

### ნელი სამხარაძის გახსენება



ჩვენო სანატრელო და საოცრად კეთილო ნელი, შენ ვერ გაუძელი ჩვენი ერთადერთი შვილის გარდაცვალებას, 2002 წლის ივნისში გამოგვეცალე ხელიდან.

ძალიან ძნელია უშენობა, ვლოცულობ შენთვის და რამაზისთვის.

დღეს, 29 სექტემბერია, გილოცავ დაბადების დღეს. ძალიან გვაკლიხარ და ყველას გვენატრები. ნათელში გამყოფოს უფალმა.

მეუღლე კუკური სამხარა ე

შპს „ნადიკვარის" თანამშრომლები სამძიმარს ვუცხადებთ ლიზიკო ჯაფარიძეს მამის

**გრიგოლ (ჭუჭა) ჯაფარიძის**

გარდაცვალების გამო და თანავუგრძნობთ ოჯახს.

მაგული, კუკური ცაგარეიშვილები ოჯახით სამძიმარს უცხადებენ მაიას, სოსოსა და კესის დედის, სიდედრისა და ბებიის, ექიმ

**ნანა წურწუმიას**

გარდაცვალების გამო.

### ღირსების ღირებულებას აღმერთებდი!

**(თემურ ონიანი გარდაიცვალაო...**

ადამიანთა მიწიერი ყოფიერება ისეთია, რომ ჩვენ მუდმივად ველოდებით — ცნობიერად და გაუცნობიერებლად, მძაფრად და რუდუნებით, მორჩილად და დაუმორჩილებლად, მაგრამ არასდროს ველოდებით აღსასრულს, რამეთუ მიგვაჩნია, რომ ეს უფლის პრეროგატივაა და, ალბათ, ამაში ვლინდება ყველაზე მკაფიოდ ჩვენი მართლმადიდებლობა.

ჩვენო თემურ, ჩვენ, ძმები ონიანები, შენს გამოჯანმრთელებას ველოდით, რაშიც ძალუმად უნდა შეგშველებოდა შენში დაბუდებული უდიდესი ღირსების ღირებულება, ქვეყნის, გვარისა და მოყვასისადმი უშურველად გამეტებული ენერგია სიყვარულისა, მაგრამ უზენაესი სამართალი ჩვენთან, ცხადია, აღარაფერს ათანხმებს და ნუგეშად ისღა უნდა დავიტოვოთ, რაც უმთავრესიცაა, რომ ადამიანები ჩვეულებრივ სხეულის გარდაცვალებას მივტირით და იქამდე ვემონებით განცდებს, რომ სულის განსაწმენდად ამაღლების იდუმალების არსებობა გვავიწყდება.

ასეა ახლაც: თავზარი დაგვცა ცნობამ შენი გარდაცვალების შესახებ, მაგრამ ისე გვინდა შთავიგონოთ და ეს მართლაც ასეცაა, რომ შენს სულს შენივე სხეული ამძიმებდა და მან სრული სიმსუბუქე და განწმენდა იზიარა.

მშვიდობიანია შენი გზა უფლის საუფლოსაკენ, ჩვენო თემურ.

თენგიზი, გოგლა, თემური, გიგი ონიანები

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

**საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2009 წლის 29 სექტემბრის ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი დააფიქსირა:**

აშშ დოლარი — 1,6825
ევრო —2,4035
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7536
რუსული რუბლი — 0,0533

**ამინდის პროგნოზი 29 სექტემბრისთვის**

__აღმოსავლეთ საქართველო:__ ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 13-21, ღამით — 7-11
__დასავლეთ საქართველო:__ ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 15-1§, ღამით — 8-12
__სამხრეთ საქართველო:__ ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 7-14, ღამით — 9-8







ქართული ფლორის საოცრება

## „სალხინო"

უებარი წამალი

"სალხინო" აწესრიგებს შარდ-სასქესო ორგანოების მოქმედებას, როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა,შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი, გამონადენი, ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში, შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, აგვარებს თესლის ნაადრევ გამოყოფას, აღადგენს სექსუალურ სისუსტეს. წამალი გამოიყენება მასტიტების, მასტოპათიების, ჭრილობების, კანისა და ლორწოვანის ჩირქოვანი და ანთებითი პროცესების დროს; პირის ღრუს, სასუნთქი და საშარდე სისტემის ჩირქოვანი ანთებითი დაავადებების: ბრონქიტის, რინიტის, გინგივიტის, პაროდონტიტის, პიელონეფრიტის, კოლპიტის, ენდომეტრიოზის, პროსტატიტის, ცისტიტის, შარდის შეუკავებლობის, ქოლეცისტიტის, კოლიტის, ბუასილის მკურნალობისა და პროფილაქტიკისათვის; კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოქმედების მოსაწესრიგებლად, რბილი ქსოვილების ჩირქოვანი ანთებითი პროცესების სამკურნალოდ.

პრაქტიკამ დაადასტურა ისიც, რომ "სალხინო" სარძევე ჯირკვლების დაავადებების დროს ხსნის ტკივილებს მკერდის, ბეჭის და იღლიის არეში. მასტოპათიების შემთხვევაში, უნარი აქვს გაიწოვოს სიმსივნური წარმონაქმნები. თუ გამოიყენებთ "სალხინო"-ს მშობიარობის შემდეგ (პროფილაქტიკის მიზნით), აიცილებთ მასტიტს და შეინარჩუნებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით. „სალხინო"-ში შემავალი უნიკალური ნივთიერებების არსებობა და მისი უებარი სამკურნალო თვისებები შემოწმებულია და დამტკიცებულია სხვადასხვა ქვეყნების ათეულობით სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების ლაბორატორიებში, კლინიკებსა და კათედრებზე. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

"სალხინოს" შესახებ ვრცლად ინფორმაცია მოთავსებულია ვებგვერდზე www.salkhino.ge წამალი იკითხეთ აფთიაქებში.


# ნუ გავყვებით გავლილ გზას

*„ხეკორ ულას წყალი მისვამს,*
*მცხეთა ისე ამიგია,*
*დამიჭირეს, მკლავი მომჭრეს,*
*რატომ კარგი ავიგია".*

**მთლად ასე კონსტანტინე გამსახურდიასავით გამართულად არ უთქვამს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ყოფილ პრეზიდენტ ნოდარ ახალკაცს უმცროსს, მაგრამ მისი წასვლის წინ ნათქვამი სიტყვები დაახლოებით ასე ჟღერდა.**

თურმე ნოდარ ახალკაცის მუშაობის პერიოდში მხოლოდ კარგი საქმეები კეთდებოდა და ამ შედეგს ქართული ფეხბურთი უახლოეს მომავალში ნახავს. ახალკაცისა და მისი გუნდის აღმოჩენილი ყოფილა ის ნიჭიერი თაობა, რომელმაც წელს პალანგის საერთაშორისო ტურნირი მოიგო (17-წლამდელებმა ფინალში აზერბაიჯანის ნაკრები დაამარცხეს) და იმ ახალგაზრდული ნაკრების ბირთვი, რომელმაც ახლახან თურქეთის ნაკრებს 4:0 მოუგო.

თქვა ეს ახალკაცმა და წავიდა — წავიდა ისე, რომ ბევრი კითხვა უპასუხოდ დატოვა. არადა, რამდენი კითხვა დაგროვდა მის მუშაობასთან დაკავშირებით, თავადაც კარგად იცის.

საქართველოში ნიჭიერი თაობა სულ იზრდებოდა, მთავარი იყო როგორ განვითარდებოდა მისი მომავალი. ამიტომ იმ ნიჭიერი ახალგაზრდების აღმოჩენას ახალკაცი თავისთავს ნუ დააბრალებს — ამ ფეხბურთელების აღმოჩენა პატარა საქართველოში ძალიან იოლია საქმეა. მთავარია, მათ გარდა რომ ნიჭიერი ახალგაზრდები არიან და უკვალოდ იკარგებიან, ისინი აღმოაჩინო და მისცე გზა, თორემ ლევან ყენია, ლევან მჭედლიძე, ჯანო ანანიძე, ამირან სანაია თუ სხვები არც ახალკაცის გარეშე დაიკარგებოდნენ ქართული ფეხბურთიდან და თავიანთი საკლუბო კარიერა ისე აიწყვეს და ახალკაცჯუნიორს მასში წვლილი არ მიუძღვით.

მოდით, ამ საკითხს ახლა სხვა მხრიდან შევხედოთ. ამ ნიჭიერ თაობას თავი ეგრევე ეროვნულ ნაკრებში რომ უკრეს და ჯერ კიდევ ძვალმზარდი ბიჭები წვერებიან ფეხბურთელებს რომ დაატაკეს, ამით რა მოვიგეთ — არც არაფერი, პირიქით, ეს თაობა თანატოლებს მოვაშორეთ, სადაც უფრო საჭირო და გამოსადეგი იქნებოდა ქართული ფეხბურთისთვის და წაგებულის მენტალიტეტს შევაჩვიეთ. სამაგიეროდ, ნაკრებში გადაჭარბებული ნორჩი თაობის გამო დავკარგეთ ის ფეხბურთელები, რომლებიც ამ ეტაპზე უფრო გამოსადეგი იქნებოდნენ.

მოდით, თქვენის ნებართვით სულ ახალ ამბავს მოვიყვანთ მაგალითად. ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელმა კარლოს დუნგამ მომა-

გაგრძელება მე-9 გვერდზე

# მაგრიტის მუზეუმიდან მისი „ოლიმპია" გაიტაცეს



ბელგიელი მხატვარი სიურეალისტის, რენე მაგრიტის ერთ-ერთი ნამუშევარი, რომელიც 750 ათას ევროდ არის შეფასებული, მისი სახლმუზეუმიდან დღისით მზისით გაიტაცეს.

მხატვრის მიერ 1948 წელს შექმნილი „ოლიმპია" ორმა ბოროტმოქმედმა მოიპარა, რომელთაგან ერთ-ერთი შეიარაღებული იყო.

მხატვრის მუზეუმი ბრიუსელის ჩრდილოეთ რაიონში მაგრიტების ოჯახის ყოფილ სახლში იყო განთავსებული.

სურათზე „ოლიმპია" გამოსახულია მაგრიტის მეუღლე, ჟორჟეტა. ზურგზე წამოწოლილ ქალს მუცელზე ზღვის ნიჟარა ადევს.

სურათი სახლში განთავსებული მუდმივმოქმედი ექსპოზიციის ნაწილს წარმოადგენდა. ამ სახლში მხატვარი თითქმის 24 წლის განმავლობაში მუშაობდა.

სურათი მუზეუმიდან ხუთშაბათს, გახსნიდან ცოტა ხნის შემდეგ გაიტაცეს.

ქურდებმა მუზეუმის ექვსი თანამშრომელი შიდა ეზოში გაიყვანეს, სურათი კედლიდან ჩამოხსნეს და გაუჩინარდნენ.

როგორც ამბობენ, ძარცვის მომენტში მუზეუმში ორი დამთვალიერებელი იყო. მძარცველებს იარაღი არ გამოუყენებიათ და არავინ დაშავებულა.

მაგრიტის მუზეუმში მოხვედრა მხოლოდ მისაწვევების საშუალებით არის შესაძლებელი. ქურდები მუზეუმში ერთ-ერთმა თანამშრომელმა შეუშვა, რომელსაც არც კი უფიქრია, რომ სტუმრებს სურათის გატაცება სურდათ.

მაგრიტის ნამუშევრებმა კონცეპტუალურ ხელოვნებასა და პოპ არტზე დიდი ზეგავლენა მოახდინეს. მაგრიტის სტილშია გაფორმებული ანსამბლ „როლინგ სთოუნზის" ერთ-ერთი ალბომის გარეკანი, გადაღებულია „ოაზისის" ერთ-ერთი კლიპი.

თავის სურათით მაგრიტი ცდილობდა ადამიანები იმ მაგიის შესახებ ჩაეფიქრებინა, რის გარეშეც სამყარო ვერ იარსებებდა. ამ მიზნით იგი ყველასთვის კარგად ცნობილ საგნებს მათთვის უჩვეულო გარემოში გამოსახავდა.

რენე მაგრიტი (1898-1997) სიურეალიზმის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელია. იგი 1930-დან 1954 წლამდე რიუ ესეგემში ცხოვრობდა. მუზეუმში მისი ნივთების უმეტესობა დღემდე ხელუხლებლად არის შემონახული.

## ასტროპროგნოზი 29 სექტემბრისთვის

**ყველამ გაითვალისწინეთ!**

__ეს დღე მშვიდად გაატარეთ.__

**ვერძი** — სიყვარულში გიმართლებთ, საღამო მშვენიერი იქნება. **კურო** — რისკი არ არის გამართლებული, ეს დღე მშვიდად გაატარეთ. **ტყუპები** — ფულს შოულობთ, ნავაჭრით კმაყოფილი დარჩებით. **კირჩხიბი** — არ გარისკოთ, დღეს არ ღირს. **ლომი** — პოზიტიური დღეა, ყველაფერი გამოგივათ. **ქალწული** — არ აყვეთ სხვებს, ყური მიუგდეთ ინტუიციას. **სასწორი** — წარმატებული დღეა, თამამად იმოქმედეთ. **ღრიანკალი** — საღამოს ახალ ამბავს გაიგებთ, გახარებული ხართ. **მშვილდოსანი** — წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი. **თხის რქა** — არ გარისკოთ, დღეს არ ღირს. **მერწყული** — ჰარმონიული დღეა, შინაგან თავისუფლებას იგრძნობთ. **თევზები** — დაისვენეთ და გაერთეთ, სერიოზულ საქმეს დღეს ნუ წამოიწყებთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეებს!**

## კროსვორდი ა



**შვეულად:** 1. რაიმეს გარდაქმა, შეცვლა; 2. მგზავრთა გადაყვანა, ტვირთის გადაზიდვა შუალედური პუნქტის გავლით; 3. სპილენძის შემცველი, ლურჯი ფერის მინერალი; 5. მოსავლის ამღები სასოფლო-სამეურნეო მანქანა; 7. პოლონელი კომპოზიტორი, დიპლომატი; 9. სტადიონი კარდიფში; 13. საფრანგეთის ნაკრებისა და „რეალის" ფეხბურთელი; 15. სახალხო დღესასწაული ესპანეთსა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში; 16. იოსებ სტალინის ლიტერატურული ფსევდონიმი; 18. ყველაზე დიდი მდინარე საფრანგეთში.

**თარაზულად:** 4. ტურისტთა, მოგზაურთა გზამკვლევი ცნობარი; 6. ფრანგული ლიქიორი; 8. მდინარეების შემსწავლელი ჰიდროლოგიის ნაწილი; 10. პირველი მსოფლიო ჩემპიონი ქალი ჭადრაკში; 11. ფულის ერთეული ლატვიაში; 12. სამი ან მეტი მუსიკალური ბგერის ჰარმონიული შეერთება; 14. ფირმის, ორგანიზაციის კანტორა; 17. კათოლიკე მღვდელი ბელგიასა და საფრანგეთში; 19. პოეტური ქმნილება; 20. სისხლის ჩაქცევის შედეგად წარმოქმნილი შენადედი; 21. საქართველოს სამბისტთა ნაკრების მწვრთნელი; 22. საფოსტო გზავნილება; 23. უკრაინული ფარმაცევტული ფირმა.

შეადგინა თ. კოპალეიშვილმა

## იუმორი



* * *

— გაიგე, ნიკომ სპარსული ხალიჩა იყიდა.
— მერე?
— მასთან სტუმრად ვინც მიდის, ყველას ფეხსაცმლის გახდას აიძულებს.
— გასაგებია, ხალიჩა ხომ სპარსულია.
— ჰო, მაგრამ კედელზე უკიდია...

* * *

— შენ ვინა ხარ?
— მძინარე მზეთუნახავი.
— მერე, ასე საშინელი რატომ ხარ?
— ეს-ესაა გავიღვიძე.

* * *

— ჩემი ქორწინების ვიდეო ნახე?
— ვნახე. ეგ რა პორნოგრაფია გადაგიღია?
— თავიდან უნდა გენახა, ყვავილები, საჩუქრები, ჯვრისწერა, მილოცვა, სუფრა თავშია...

* * *

— ადრე თუ გვიან, ადამიანს იმდენი გამოცდილება უგროვდება, რომ მუშაობაში ხელს უშლის...

* * *

— უცოლო მამაკაცებს არ ესმით, თუ რა ბედნიერებაა იყო ცოლიანი...
— თუმცა, ეს არც ცოლიან მამაკაცებს ესმით...

## ტესტი

### ადვილად ანებებთ თუ არა თავს მავნე ჩვეულებებს?



1. ადვილია თქვენი რაიმეში დარწმუნება?
2. როდესაც რამეს აკეთებთ, კოლეგების საქმიანობა თუ გაინტერესებთ?
3. ძნელი ხომ არ იყო თქვენთვის სწავლის დროს ერთი გამოცდიდან მეორეზე გადართვა?
4. შეგიძლიათ თუ არა ბოლომდე მიიყვანოთ საქმე, თუ ახალი, უფრო საინტერესო გელით?
5. თუ გიჭირთ უარი თქვათ ჩვეულებაზე, რომელიც არ მოგწონთ?
6. ადვილად გადადიხართ თუ არა ერთი საქმიდან მეორეზე?
7. თუ გიფუჭებთ ხასიათს თქვენი გეგმების უმნიშვნელო დარღვევა?

**პასუხები**

უარყოფითი პასუხები თითო ქულით შეაფასეთ.

**3 ქულაზე ნაკლები:** ადვილად ეჩვევით ახალ პირობებს, ახალ ადამიანებს. უცნობი სიტუაცია, მოულოდნელი დაბრკოლება არ იწვევს თქვენს გაღიზიანებას. ინტერესების ფართო წრე გაქვთ, თუმცა შეიძლება ცოდნა შედარებით ზედაპირულია. ყოველთვის არ ცდილობთ მიზნის მიღწევას და ხანდახან გიჭირთ საქმის ბოლომდე მიყვანა. მონოტონურობას შემოქმედებით მიდგომას ამჯობინებთ.

**3-6 ქულა:** აუცილებლობის შემთხვევაში შეგიძლიათ საკუთარი პოზიციის დაცვა, თუმცა იმის აღიარებაც შეგიძლიათ, რომ ცდებოდით. შეგიძლიათ მავნე ჩვევაზე უარის თქმა და ნებისმიერ საქმეს შემოქმედებითად უგებით.

**6 ქულაზე მეტი:** განეკუთვნებით იმ ადამიანების კატეგორიას, რომლებსაც არ სჩვევიათ თავიანთი შეხედულებების და ჩვევების შეცვლა. თქვენ საიმედო, მიზანმიმართული ადამიანი ბრძანდებით და, როგორც წესი, ცდილობთ მიზნის მიღწევას. ამასთან, თქვენი მიზანმიმართულობა ხანდახან ჯიუტობაში შეიძლება გადაიარდოს. მრავალს ზედმეტად პრინციპულად მიაჩნიხართ, რადგან წვრილმანების დათმობაც არ გსურთ.